NZ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული მნათობი

სახელგამი
1927

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყდა მხატვარ ა. რ ო დ ჩ ე ნ კ ო ს
წარწერა მხატვარ ვ. წ ი ლ ო ხ ა ნ ი ს

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროლეტარული მწერლობა

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა
ასოციაციის ყოველთვიური ორგანო.

№ 2

თებერვალი

გარეგნის საბ. საქ. ...
...
...

ტ ფ ი ლ ი ს ი
სახელმწიფო გამომცემლობა
1927

ს. მ. უ. ს. პოლიგრაფიულ ტრესტის მე-3 სტამბა.

შეკვეთა № 1205 მთავლიტი 398. ტირაჟი— 2000.

ნიკო ახლამაზაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენები მოდიან!

პეტრე და პავლე

— ეჰ, პეტრეჯან, კაი კაცი ხარ, მშრომელი, პატიოსანი; ცოლიც კარგი გყავს, ქალიც, მაგრამ, არ გეწყინოს, პირში გეტყვი, ის ბიჭი, მიხაკო არაფრად ვარგა...

პეტრემ გაიღიმა.

— შენც ამერიკა აღმოაჩინე აი!

— არა გჯერა?

— დალოცვილო, იძახი ორჯერ ორი ოთხიაო, და როგორ არ დაგიჯერო! მიხაკო რომ კარგი მყავდეს, რაღა მინდა, ბედნიერი ვიქნებოდი, ჩემო პავლე!

— რა გინდა, კაცო, ხელობა იცი, იყავ, იმუშავე. ერთი ლუკმა პური ჭამე პატიოსანი შრომით...

— ეჰ, ჩემო პავლე, ჩემი ბედი იყო, აგეთი შვილი უნდა გამომსვლოდა, რას იზამ!

ასეთი ლაპარაკი სწარმოებდა პატარა სადალაქოში ორ მეგობარ-დალაქ პეტრესა და დურგალ პავლეს შორის.

სადალაქო ეკუთვნოდა თვითონ პეტრეს. ის უკვე სამოც წელს გადაცილებული მოხუცი იყო, სიბერისაგან წელში მოკაკულიყო და ფეხებს ძლივს დაათრევდა, მაგრამ მაინც მუშაობდა თავისთვის მარტოდ-მარტო, ორიოდე გროშს იღებდა და ცოლ-შვილს ჰკვებავდა.

მას ორი შვილი ჰყავდა — ვაჟი: მიხაკო ოცდა ორი წლისა და ქალი ფეფო თექვსმეტი წლისა. უკანასკნელი თუთუნის ფაბრიკაში მუშაობდა და ამგვარად თავის დაუძლურებულ მამას ეხმარებოდა ოჯახის კვებაში.

რაც შეეხება მიხაკოს, ეს იყო ყოვლად უვარგისი ადამიანი როგორც თავის ოჯახისა, ისე თავის თავისთვის.

მას მამამ თავისი ხელობა შეასწავლა; თვრამეტ წლამდე ის ერთგულად მუშაობდა მამის სადალაქოში, მაგრამ შემდეგ გული აი-

ცრუა მუშაობაზე და დაიწყო უსაქმოდ ხეტიალი. დადიოდა ვიღაც საეჭვო პირებთან, ყომარბაზობდა, ლოთობდა და ძლიერ ხშირად ღამე შინ არ ეძინა.

როდესაც მამა უსაყვედურებდა მის საქციელზე, ის უშვერი სიტყვებით ლანძღავდა მას, აგინებდა და საცემრად მიიწევდა. ერთხელ სადალაქოს კარების მინებიც კი ჩაუმტვრია.

დედას და დას ხომ სიცოცხლე ჩამწარებული ჰქონდათ მისგან, მაგრამ შიშით ხმა ვერ გაეცათ.

ერთი ბოთლი ღვინო

ერთ დღეს დურგალი პავლე შევიდა თავის მეგობრის პეტრეს სადალაქოში.

— გამარჯობა, პეტრეჯან!—მიაძახა მან.

— ღმერთმა გაგიმარჯოს ჩემო კეთილო მეგობარო, სხვა რა ამბავია?

— მშვიდობა,—უპასუხა პავლემ, ჯიბიდან ამოიღო ბორჯომის ბოთლით სავსე ღვინო, რამდენიმე თავი თალიბი ხახვი, ნახევარი თორნის პური და კუთხეში მდგარ პატარა მაგიდაზე დააწყო.

— პატარა დრო გავატაროთ, ჩემო პეტრე; გორიდან ნათესავი მომივიდა და ცოტა ღვინო მომიტანა; გემო ვნახოთ,—უთხრა პავლემ და მაგიდას გვერდზე მოუჯდა.

— რადა, პავლეჯან, რად ირჯებოდი, განა უმაგისოდ არ იქნება!—მიუგო პეტრემ და კმაყოფილი ისიც მაგიდას მოუჯდა მეორე მხრიდან.

სწორედ ამ დროს ქუჩიდან მოისმა წკრიალა ხმაზე სიმღერა:

„მე ავარად დავდივარ,
ღამე შინ არ შავდივარ;
მამაჩემსა ჰგონია
კარგი რამე გავზრდილვარ!...“

ორივე მეგობარს, პეტრესაც და პავლესაც, სახეზე უსიამოვნება გამოეხატათ. პეტრემ პირი დააღო, რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ თქმა ვეღარ მოასწრო. სადალაქოში შემოვიდა ყმაწვილი კაცი, ცოტათი გადაკრული, ორი ნაბიჯი გადადგა წინ და, თითქო გაქვავდაო, ღიმილით მიაჩერდა მაგიდასთან მჯდომ პეტრესა და პავლეს.

ეს იყო პეტრეს შვილი მიხაკო, ნახევრად დაგლეჯილი ტანისამოსით და რაღაც მანქანებით ნაშოვნი სრულიად ახალი ჩექმებით. მან ერთი ნაბიჯი კიდევ გადადგა წინ და იკითხა:

— ქეიფობთ?

— ვქეიფობთ.—ცივად უპასუხა პავლემ.

— მეც ვქეიფობ,—სთქვა მიხომ, ბოთლს ხელი დააავლო და მაღლა ასწია.

— ეს ღმერთმა ადღეგრძელოს ის ავარა, რომელიც არც თავისთვის არის, არც დისთვის, არც დედ-მამისთვის და სხვისთვის ხომ არ არის და არა, ეს ნაღდია!—წარმოსთქვა მან, ბოთლი მოიყუდა და ნახევრამდე გამოსუტა.

პეტრე და პავლე ჩუმად შეჰყურებდენ ამ სურათს.

მიხაკომ ცოტა შეისვენა, ერთი ხახვი დააყოლა ღვინოს და განაგრძო:

— ესეც, ჩემო ძვირფასო მამავ და ძია პავლე, ღმერთმა ადღეგრძელოს წასვლელ-დამრჩენი!—სთქვა მან, ღვინო ძირამდე გამოსუტა, ცარიელი ბოთლი დადგა მაგიდაზე და ხახვის ჭამით გარედ გავიდა.

პეტრე და პავლე გაშტერებული შეჰყურებდენ ერმანეთს.

ბედს ვერ წაუხდალ

გავიდა სამი-ოთხი წელიწადი.

მიხაკო სადღაც გადიკარგა და მისი აღარაფერი ისმოდა.

პეტრე მთლად მოუძლურდა, ველარ მუშაობდა. ვაივაგლახით მიდიოდა სადალაქოში, გააღებდა, დახედავდა და მერე ისევ სახლში ბრუნდებოდა.

ეძებდა ისეთ ოსტატს, რომელიც იმუშავებდა მის გაწყობილ სადალაქოში და მას ქირად მისცემდა განსაზღვრულ საფასურს, მაგრამ ასეთი მან ვერ იშოვა.

მთელი ოჯახის შენახვა საბრალო ფეფოს დააწვა კისერზე.

ის ეხლა უკვე ოცი წლის ქალი იყო. დაუღალავად მუშაობდა ძველ ადგილზე და მუშაობით აღებული გროშები სახლში მიჰქონდა უნაკლულოდ.

კარგი რამ იყო დაქალებული ფეფო; ტანწერწეტა, შავთვალწარბა და მოხდენილი გულმკერდი ჰქმნიდენ მას საყვარელ არსებად. თვით მათსავე ფაბრიკაში არა ერთი თაყვანის მცემელი ჰყავდა და ენატრებოდა მასთან დამეგობრება, შეუღლება, არა ერთხელ მიუღია ფრთხილი წინადადება, მაგრამ ის ისე იქცეოდა, ვითომ არ ესმის არაფერი; თავს არავის უყადრებდა, ახლოს არავის იკარებდა და მთელი თავისი არსებით მოხუც დედ-მამასთან იყო.

თვით იმ უბანშიაც, სადაც ისინი სცხოვრობდენ, მრავლად

ჰყავდა მთხოვნელები, მაგრამ ფეფომ არც ერთი მათგანი არ გახადა ღირსი.

— ფეფო, ამდენი მთხოვნელები გყავს და რატომ არ გათხოვდები?—ჰკითხა ერთხელ მეზობლის ქალმა ლიზამ.

— ქალო, მე რომ გავთხოვდე, მერე ჩემს დედ-მამას რაღა ვუყო? ისეთი არავინ მთხოულობს, რომ მეც და დედ-მამაც შეგვინახოს და ჩვენისთანაგ ლახები კი, რომელთაც იმდენი ვერ აუღიათ, რომ თავისი თავი შეინახონ, მე რად მინდა... ხომ იცი, ჩემო ლიზიკო, ნათქვამია გლახა გლახას აეკიდა, ორივე გლახები იყვნენო...

— მართალი ხარ, ფეფოჯან, მაგრამ აგრე ხომ არ დაბერდები?

— ვინ იცის, შეიძლება ასეც დავბერდე; ბედს ვერ წაუხვალ, რაც ბედს სურს, ის უნდა გადამხდეს თავს... აი, ისე რომ იყოს, რომ მამა მუშაობდეს, როგორც წინად მუშაობდა, მაშინ კიდევ ჰო, მაგრამ ახლა ჩემი გათხოვება ყოვლად შეუძლებელია...

— უჰ! გენაცვალე მაგ კოკობ ძუძუებში! აი მაგ ძუძუებში, ბურთებივით რომ გიწყვია უბეში!—უცებ მოაძახა ქუჩის კარებიდან ძალზე დამთვრალმა იაკობ მირონაშვილმა, მისმა მეზობელმა.

ფეფო საჩქაროდ მიიმალა თავის სახლში.

— რა ჭირი გახდა ეს იაკობი, შიშით ეზოში ველარ გავსულვარ!—უკმაყოფილოდ წამოიძახა ფეფომ, როდესაც მან სახლში შეირბინა.

— ყურს ნუ უგდებ, გენაცვალოს დედა, დეე იყბედოს, რამდენიც უნდა,—უთხრა დედამ.

ფეფო დამშვიდდა დედის სიტყვებით, მაგრამ იაკობის საქციელი მას ძლიერ სწყინდა. უწინ იაკობი ჩუმად იყო, მიხოსი ეშინოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მიხო დაიკარგა, გათამამდა, აღვირი აიშვა და, ვინ იცის, რა სიტყვებს არ ეუბნებოდა ფეფოს.

იაკობი ორმოცი წლის კაცი იყო, ხელობით მეწაღე, სცხოვრობდა მარტოდ-მარტო. კარგი ხელოსანი იყო, მაგრამ, საუბედუროდ, კვირაში ორ-სამ დღეს მუშაობდა, დანარჩენ დროს კი სულ ლოთობაში ატარებდა. მან ჯერ ისევ ერთი წლის წინად სცადა ფეფოს დაჰპატრონებოდა, მაგრამ ცივი უარი მიიღო. როცა ფხიზელი იყო, ხმას არ სცემდა ფეფოს, ხოლო სიმთვრალის დროს კი ხშირად უმასპინძლდებოდა უწმაწური სიტყვებით.

ამიტომ იყო, რომ მის გამოჩენისთანავე ფეფო გულისხეთქით გარბოდა და იმალებოდა.

კვირა დილა იყო, პეტრე გაჭირვებით მივიდა ეკლესიაში წირვის მოსასმენად. ის წყნარად იდგა ღვთისმშობლის ხატის წინაშე, სასოებით ლოცულობდა და ჩიფჩიფით შესთხოვდა მას დაებრუნებინა მისთვის სიმხნე და ჯანმრთელობა, რათა წინანდებურად შესძლებოდა შრომა და ოჯახის რჩენა...

წირვის გათავების შემდეგ ის სახლისკენ გაეშურა. ერთბაშად მან ჯერ მხნედ იგრძნო თავი, თითქო ძალა მიემატაო, მაგრამ ოციოდე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ ისე მოდუნდა, რომ ფეხებს ძლივსღა ადგამდა. დიდი გაჭირვებით მივიდა თავის სახლში და მაშინვე ლოგინში ჩაწვა.

— რა დაგემართა მამა?—ჰკითხავდა ცრემლმორეული ფეფო.

მაგრამ პეტრეს პასუხი ველარ გაეცა, გაჭირვებით აჩიფჩიფებდა ტუჩებს და თვალებს საცოდავად ლულავდა.

ფეფო საჩქაროდ გაიქცა ექიმთან, რომელიც მას გზაში შეხვდა და პირდაპირ გამოჰყვა ავადმყოფთან, მაგრამ ვერც ექიმმა და ვერც წამალმა მას ვერაფერი უშველა.

მეორე დღეს დილით ადრე პეტრემ სული განუტევა.

ფეფოსა და მის დედის წივილ-კივილზე მთელი ეზოს მცხოვრებნი ფეხზე დადგენ და მათი ბინისკენ გაეშურენ.

ფეფო ისტერიულად გაჰკიოდა, დედა მისი კიდევ გულსაკლავად მოსთქვამდა და მეზობლებსაც ატირებდა.

უცებ, თითქო მიწიდან ამოძვრაო, ოთახის კარებში გამოჩნდა მიხაკო. მწუხარებით სავსეს სახე საშინლად დაჭბრეცოდა, გული ძალზე უცემდა და თვალებზედაც ცრემლი მოსდგომოდა.

— მამა! მამა! საყვარელო მამავ!—დაიღრიალა საშინელი ხმით, ელვასავით ეცა მიცვალებულს და ზედ დაეკონა.

— დაწყნარდი, მიხაკო, დაწყნარდი, ვაჟკაცი ხარ,—ამშვიდებდა მეზობელი დედაკაცი.

— ვაიმე, მამა, ვაიმე!—გულსაკლავად ქვითინებდა ის:—ეს არის ჩვენი სიცოცხლე?! ამიტომ გაჯავრებდი, მამა?! ამიტომ ვიყავი შენი ურჩი?! მაპატიე, მამა მაპატიე... სიტყვას გაძლევ დღეიდან, რომ ავარობას თავს ვანებებ, პატიოსნად ვიქნები, ვიშრომებ... დედისა და პატარა ფეფოს ჯავრი ნუ გექნება, მე ვუპატრონებ იმათ... დღე და ღამეს გავასწორებ, ვიმუშავებ და იმათ შევინახავ, არაფერს მოვაკლებ!..

როდესაც ქვითინით გული მოიოხა, წამოდგა, დედასთან მივი-

და, თავი კალთაში ჩაუდო და დიდხანს ულბობდა ცრემლით კალთას.

— სად იყავ, შვილო, აქამდის, სად დამეკარგე?—ჰკითხა დედამ.

მიხაკომ თავი მაღლა აიღო, იქვე მდგომი ფეფო ცალი ხელით თვისკენ მიიზიდა, ორივეს ერთად მოეხვია და წყნარად წარმოსთქვა.

— მაპატიეთ, აქამდე მე გიჟი ვიყავი, არაფერი მესმოდა; დღეს კი მეზიზღება წარსული, შევიგნე ის არარაობა, რასაც ჩვენი სიცოცხლე ეწოდება... დღეიდან მე ავარა მიხო აღარ ვარ, პატიოსანი მშრომელი ვარ, პატიოსანი მუშა... მხოლოდ პატიოსანი შრომით მინდა არსებობა და ადამიანად ყოფნა!

ამ სიტყვებთან ერთად ის წამოდგა, მიცვალებულისკენ გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და ჩუმად, უსიტყვოდ დიდხანს დასცქეროდა მას. თვალებიდან მსხვილი ცრემლები მოგორავდენ მის მწუხარე სახეზე.

— ჭკუაზე მოვიდა,—წასჩურჩულა ერთმა იქ მყოფმა მეზობელმა მეორეს.

მეც აძა ვარ

მამის დასაფლავების მეოთხე დღეს მიხომ გააღო მისი სადალაქო, გაფერთხა მტვერი, გასწმინდა იქაურობა და იმ დღიდან დაიწყო მუშაობა.

ეს იყო ავარა მიხაკოს ახალი ცხოვრების დაწყების დღე. ეხლა უკვე პატიოსანი მშრომელი იყო. მუშაობდა დღისით, ღამით კი სახლიდან გარეულ არ გამოდიოდა, იჯდა შინ და წიგნებს კითხულობდა, საუბრობდა. დედაც და დაც კმაყოფილნი იყვენ ბედით, უხაროდათ მიხაკოს მოჭკვიანება. უხაროდათ პეტრეს მეგობრებსაც და ძლიერ კმაყოფილნი იყვენ მიხაკოს ყოფა-ქცევით.

— აბა, მიხაკოჯან, წვერი მომპარსე, ცოტა გამალამაზე, იქნება ამ სიბერის დროს შევუყვარდე ვინმეს!—უთხრა სადალაქოში შემოსულ გაბრიელმა, მსხვილი ჯოხი კუთხეში მიაყუდა, ქუდი იქვე საკიდზე დაჰკიდა და მძიმედ ჩაჯდა სარკის წინ მდგარ ძველ სავარძელში.

— დაბრძანდით, დაბრძანდით, ძვირფასო ძია გაბრიელ,—ღიმილით მიუგო მიხაკომ,—ისე გაგალამაზოთ, რომ რამდენი ქალიშვილიც შეგხვდეს გზაში, სულ უკან აგედევნოს...

— ჰო, ჰო, მიხოჯან, მიყავი სიკეთე,—კვლავ იხუმრა გაბრიელმა,—მართალია ჩემს ბებრუკუნა დედაკაცს არ მოეწონება ახალგაზრდა ქალებთან რომ მნახავს, მაგრამ არა უშავსა რა, ჯერ იუცხოვებს, ბოლოს კი მიეჩვევა და ბედს შეურიგდება...

მიხაკომ დაიწყო პარსვა.

სადალაქოში შემოვიდა ახალგაზრდა კაცი.

— გამარჯობა მიხაკო,!—მხიარულად მიესალმა ის.

— გაგიმარჯოს, ჩემო თეოფილე,—მხიარულადვე უპასუხა მიხაკომ:—სხვა, სადა ხარ?

— მე მეკითხები, სადა ხარო? შენ, შენ სადა ხარ, თორემ მე სულ აქა ვგდივარ, ქალაქს არ მოვცილებივარ!

— მეც აქა ვარ, აი, ვმუშაობ,—ღიმილით უპასუხა მიხაკომ.

— ახლა მეც ვხედავ, რომ აქა ხარ, აქამდე სად იყავი?

— აქამდე გიჟი ვიყავი, სად დავრბოდი, სად არა, მე თვითონ არ ვიცი!

— მაინც?

— ბაქოში, როსტოვში, სტავროპოლში, ბათუმში...

— ბიჭოს! შენ მთელი ქვეყანა მოგივლია! ხომ არ მუშაობდი?

— როგორ არა, ცოტ-ცოტა ყველგან წავიმუშავე...

— სახლში როგორ არიან?

— კარგად არიან... ფეფო განაგრძობს ფაბრიკაში მუშაობას... ვეუბნები: ნუ მუშაობ მეთქი, მაგრამ არ შვება, ცოდვა ხარო...

— ყოჩაღ, ქალო, ყოჩაღ!—მოუწონა თეოფილემ.

— სხვა, ცოლს ხომ არ თხოულობ?

მიხაკომ ღიმილით შეხედა.

— ცოლს დიდი ცომი უნდა...

ამასობაში მიხომ პარსვა გაათავა და გაბრიელიც ფეხზე წამოდგა.

— აგრე, ჩემო მიხაკო, ყოველგვარ საქმეში დაფიქრება სჯობია, თორემ დაუფიქრებლად რაიმე საქმის დაჭერა არაფრად ვარგა... ნახვამდის!—უთხრა გაბრიელმა და გარეთ გავიდა.

თეოფილე კი სადალაქოს დაკეტვამდე არ მოსცილებია მიხაკოს, რომელიც დაწვრილებით უამბოდა თავის მოგზაურობის ამბავს და თავგადასავალს.

ფეფოს უბედურება

უკვე ბნელდებოდა როდესაც მიხაკო სახლში მივიდა.

ფეფო ამ დროს ყოველთვის შინ იმყოფებოდა და ახლა ძლიერ გაიკვირვა, რომ იქ არ დახვდა.

— ფეფო სად არის?—იკითხა მან.

— არ ვიცი, შვილო, ჯერ არ მოსულა,—უპასუხა დედამ.

მიხაკოს უცბად რაღაც ფიქრმა გაჰკრა. ერთ წამს დაფიქრე-

ბული იდგა, შემდეგ დაჯდა მაგიდასთან, ჯიბიდან დაჭმუჭნული ბონები ამოიღო და თვლა დაუწყო.

ჯერ ნახევარიც არ დაეთვალა, რომ ფეფო შემოვიდა ოთახში და ჩუმრად კამოდის გვერდზე დაჯდა.

— რად დაიგვიანე, ფეფო?—ჰკითხა მიხაკომ.

ფეფომ პასუხი არ გასცა.

— სტირი, შვილო?—ჰკითხა დედამ და თვალებში მიაჩერდა ფეფოს.

ამის გაგონებაზე მიხაკომ ბონებს თავი დაანება და ფეფოსთან მივიდა. ის მართლა სტიროდა.

— რა გატირებს?—ჰკითხა აღელვებულმა და შეშინებულმა მიხაკომ.

— ჩემი უბედურება!—მიუგო ფეფომ და მწარედ ატირდა.

— რა მოგვიდა, მითხარი!—დაუყვირა მიხაკომ.

— ის იყო მუშაობა გავათავეთ და გამოვდიოდით ფაბრიკიდან,—დაიწყო ტირილით ფეფომ,—მე და ერთი ჩემი ამხანაგი ნატო,—გაგვაჩერა ჩვენმა ახალმა გამგემ და გვითხრა: ცოტახანს დარჩით, კანტორაში კოლოფებია დაბნეული და დააწყვეთო... იქ ერთ კუთხეში აუარებელი კოლოფები ეყარა უწესრიგოდ... დავიწყეთ დალაგება.., რამდენიმე წუთის შემდეგ ნატო დაითხოვა გამგემ—მარტო ფეფო დაალაგებსო... ნატოს წასვლისთანავე რაღაც სიტყვებით დამიწყო ლაპარაკი... მე ხმას არ ვცემდი... მან ხელები მომხვია ტანზე... ვეცადე განთავისთფლებას, მაგრამ ვერ მოვახერხე... ამწია, დივანზე დამახეთქა... ამ დახეთქების დროს თავი დავკარი დივნის მაგარ ნაწილს და ცნობა დამეკარგა... როდესაც გონს მოვედი, გავიგე, რა საქმეც იმან დამმართა, მაგრამ, რას ვიზამდ!—დაამთავრა ფეფომ და ტირილს უმატა.

მიხო აღელვებული იდგა ერთ ალაგას.

მოხუცი დედა ჩუმად სტიროდა, ფეფოს თავზე ხელს უსვამდა, ეალერსებოდა და ჰკოცნიდა.

— მაშ დედა შემერთოს ცოლად, თუ მე იმას შენი შეგინება შევარჩინო!—წამოიძახა გააფთრებულმა მიხაკომ და ოთახში წინ და უკან სიარული დაიწყო.

— შვილო, არაფერი არ აიტეხო, გენაცვალოს დედა!—წაიჩიფჩიფა დედამ.

მაგრამ მიხაკოს არაფერი გაუგია, აღშფოთებული დადიოდა, მუშტებს ჰკუმავდა, ხანდახან შედგებოდა და კბილების კრაჭუნით ვილაცას ემუქრებოდა.

შფოთში და უძილობაში გაატარა მიხაკომ მთელი ღამე.

დილა ჯერ კარგად არ გათენებულიყო, რომ მიხაკო წამოდგა, გამონახა თავისი ძველი ბებუთი, ჩაიდო უბეში და გარეთ გამოვიდა.

დამიჭერენ,—ჰფიქრობდა ის,—დედაც და დაც უპატრონოდ დამრჩებიან, მაგრამ რა ვქნა, სხვა გზა არა მაქვს...

სამი საათი მეტი დადიოდა ის ქალაქის ქუჩებში; ხან სწრაფად მიდიოდა ნერვებ-აშლილი, ხან წყნარად, ხან შეჩერდებოდა ღრმად დაფიქრებული.

„რა ვუყო მოხუც დედას?.. როგორ დავტოვო ის ულუკმაპუროდ?.. ვინ უპატრონებს ჩემს შეურაცხყოფილ დას?..“—ჰფიქრობდა მიხაკო.

— შვილო, შვილო, არ დამტოვო უპატრონოდ!—მისძახოდა მას იდუმალი ხმა.

ეს მოხუცი დედა უძახდა მას.

„მაშ მე ხელები შეკრული მაქვს?!—მწარედ გაიფიქრა მან:—მაშ მე არ უნდა ავატირო ჩემი დის ნამუსის შემგინებელის მშობელი?!.. არა, არა!.. მან უნდა ნახოს მასზე სასიკვდილოდ მოღერებული ბებუთი! მე უნდა ვნახო თვალით მისი სიკვდილის შიშით შეპყრობილი დაღრეჯილი სახე!.. მე უნდა ვნახო ის სასიკვდილოდ განგმირული!“ — გადასწყვიტა მან და ფეხს აუჩქარა.

— შვილო, შვილო, არ დამტოვო უპატრონოდ!—კვლავ მოსძახის იდუმალი ხმა.

ხიდის ყურზე შეჩერდა. ფიქრს მიეცა.

— მოწყალებას მოიღე, შენს გახარებას! —შემოესმა უცებ ხრინწიანი ხმა.

მოიხედა და წელში ორად მოკაკული მოხუცი დედაკაცი დაინახა, საცოდავად დაჭყანული, ძალზე გამხდარი ხელი გაეშვირა მოწყალების მოლოდინში და ჩაცვივნულ ოდნავ მბჟუტავი თვალებით მისჩერებოდა მას.

„საბრალო დედაკაცი!“—გაიფიქრა მან და თავისი მოხუცი დედა წარმოუდგა თვალწინ.

მაშინალურად ამოიღო ჯიბიდან ერთი ბონი და მოხუც დედაკაცს ხელში ჩაუდო.

„ვინ იცის, უჩემოდ დედაჩემსაც ასე მათხოვრობა დასჭირდეს!“ —კვლავ გაიფიქრა და მიმავალ მათხოვარს თვალი გაადევნა.

„არა, დედაჩემს ვერ დავაობლებ ამ სიბერის დროს!.. არ მოვკლავ, მაგრამ ისე კი მაგრა გავლახავ, გვერდებს დავამტვრევ, რომ

დიდხანს ახსოვდეს!“—გადასწყვიტა მან და სწრაფი ნაბიჯით წავიდა იმ ფაბრიკისაკენ, რომელშიაც ფეფო მუშაობდა.

რაშია საქმე?

დილის ცხრა საათიდან გადასული იყო, როდესაც №-ის ფაბრიკის კანტორაში შევიდა ახალგაზრდა კაცი. ფერწასული და აღელვებული ის პირდაპირ გამგის მაგიდას მიადგა, სადაც უკანასკნელს წინ აუარებელი ბონები დაეგროვებინა და სთვლიდა.

— თქვენა ხართ სტეფანე ნიბლიაძე?—იკითხა ახალად მისულმა.

— მე გახლავარ,—მიუგო გამგემ და ფეხზე წამოდგა.

ახლად მოსულის გაფითრებულმა სახემ და აღელვებამ, რომელიც მას ვერ დაეფარა, ძლიერ შეაშინა; იგრძნო, რომ საკეთილოდ არ მოსულიყო იგი.

— მე ფეფო თეთრაძის ძმა ვარ, მიხაკო თეთრაძე; მოველი რომ პასუხი მოგთხოვოთ თქვენს უმსგავს საქციელზე!..

— მე... მე... მე...—წაილულლუღა გამგემ, რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ შიშით ისე დაიბნა, რომ ველარაფრის თქმა ვერ მოახერხა.

გააფთრებული მიხაკო ვეფხვივით ეცა მას საყელოში, აიტაცა, შეანჯღრია და რეხვა გაადინა იატაკზე; ერთი მაგარი წიხლი ჩასცხო გულში, კვლავ აიტაცა, შეაქანა-შემოაქანა და ისეთი ძალით აწყვიტა მის საჯდომ სკამზე, რომ დამტვრეული სკამიანად გრიალით გაიშხლართა ძირს.

— მიშველეთ!.. გამძარძვეს!—საშინელი ხმით დაიღრიალა მან.

ფაბრიკიდან შემოცვივდენ დამკლავებული მუშები და მიხაკო გააკავეს.

— დაიჭირეთ მძარცველი!—კვლავ დაიღრიალა გამგემ და ეცა ხელებ-გაკავებულ მიხაკოს ჯავრის ამოსაყრელად, მაგრამ უკანასკნელმა ისეთი წიხლი ჰკრა მუცელში, რომ ტკივილისაგან საშინლად დაღრეჯილი გამგე მოკვეთილი ხესავით ეცა მაგიდას, გადააბრუნა და მასთან ერთად კვლავ გრიალით გაგორდა.

ხმაურობაზე კანტორაში შეცვივდენ მილიციელი და ქუჩაში შემთხვევით გამვლელი ოთხი გვარდიელი.

მათ თვალწინ წარმოუდგათ გაკავებული მიხაკო, გადაბრუნებული მაგიდა, დამტვრეული სკამი, ძირს გაბნეული ბონები და დასისხლიანებული გამგე.

— რაშია საქმე?—იკითხა მილიციელმა.

— წამიყვანეთ მილიციაში, იქ გაიგებთ ყველაფერს!—უთხრა მიხაკომ.

მილიციელებმა და გვარდიელებმა ეჭვის თვალით შეხედეს მას.

— იარაღი გაქვს?—ჰკითხა მილიციელმა.

— იარაღი რა ეშმაკად მინდა!—უპასუხა მიხაკომ.

მილიციელმა ჯერ ჯიბეები გაუსინჯა მერე უბეზე ჩამოუსვა ხელი და იქ შენახული ბებუთი ამოაცალა.

— ეს რა არის? აკი იარაღი არა მაქვსო!..

— მაქვს, მაგრამ მე აქ იმისთვის არ მოვსულვარ, რომ ვინმე გავძარცვო, ან სისხლი დავღვარო...

— მაგას გავიგებთ:—მკვახეთ უთხრა მილიციელმა და გვარდიელების თანხლებით კომისარიატში წაიყვანა მიხაკო, სადაც იგი არც ალაპარაკეს, არც დაჰკითხეს რამე და პირდაპირ სატუსაღოში გამოამწყვდიეს, ხოლო მეორე დღეს ციხეში ჩაჰგზავნეს.

მართლმსაჯულების ოლოდინში

ორი თვეა, რაც მიხაკო ციხეში ზის და ელის გასამართლებას. ის დარწმუნებულია, რომ მართლმსაჯულება იმას გაამართლებს ყველაფერში და ამიტომ მოთმინებით ელის საქმის გარჩევის დღეს. მხოლოდ მას ერთი რამე აწუხებს—დედის და დის უნახაობა.

„რისგან არის, რომ ჩემი ფეფო არ მოვა და არ მნახავს?—ჰფიქრობს ის:—დედა მოხუცია, სიარული არ შეუძლიან, მაგრამ ფეფოს ხომ შეეძლო ერთხელ მაინც მოსულიყო ამ ორი თვის განმავლობაში? ხომ არაფერი დაემართა?“—მეათასედ ჰკითხავდა ის თავის თავს და ყოველთვის ტუსაღების ნახვის დღეს მოუთმენელად ელოდა, რომ აგერ მასაც მოიკითხავენ და ნახავს თავის ფეფოს, მაგრამ ყოველთვის ამაო იყო მისი ლოდინი. რამდენიმე წერილიც გაგზავნა სახლში, მხოლოდ პასუხი ვერ მიიღო. გუნებაში უსაყვედურებდა კიდეც ფეფოს, მაგრამ მან თუ ვერ ნახა აქამდე იგი, ეს მისი ბრალი არ იყო.

იმ დღეს აქეთ, რაც ფეფოს ის ამბავი დაემართა, ფაბრიკაში აღარ მისულა; მან მხოლოდ ერთ ამხანაგ ქალისგან შეიტყო მიხოს კანტორაში მისვლის და გამგის გალახვის ამბავი.

მიაკითხა იმ რაიონის კომისარიატში, სადაც ფაბრიკა იმყოფებოდა, მაგრამ იქ პასუხის ნაცვლად დასცინოდნენ,—ის ფაბრიკის ქალია, ფაბრიკაში მხოლოდ გარყვნილი ქალები მუშაობენ და სხვა ამისთანები. ერთმა მილიციის თანამშრომელმა ძუძუზედაც კი უჩქმიტა და წინადადება მისცა „ერთი ღამით დანებებოდა“ და მაშინ ყველაფერს ეტყოდა მისი ძმის შესახებ. ამაზე ფეფო ძლიერ გაცეცხლდა და დაუყვირა:

— რა არის ეს, კომისარიატია თუ გარყვნილების ბუდე?! მე აქ მოველი ცნობის მისაღებად და მაძლევთ თუ არა?!

— ნუ ყვირი აქ, შე მოთრეულო, თორემ დაგამწყვდევ ეხლავე და ყველა მომსველელ-წამსვლელს სულ შენზე მოვუშვებ!—შეუტია მილიციელმა.

შეშინებული და შეურაცხყოფილი ფეფო ხმის ამოუღებლივ გამოვიდა კომისარიატიდან და თვალცრემლიანი გაემართა სახლისკენ.

— რა ჰქენი, შვილო?—ჰკითხა დედამ, როდესაც ის სახლში მივიდა.

— ვერაფერი გავიგე, დედი, არ ვიცი, სად ვეძიო... ხვალ კვირაა, ციხეებში მივაკითხავ, უსათუოდ იქ იქნება!—ტირილით სთქვა ფეფომ.

— ვაიმე, შვილო, ვაიმე!—ამოიკვნესა მოხუცმა დედამ და ნაკადულივით ცრემლი გადმოაფრქვია.

მეორე დღეს ფეფომ მიაკითხა ჯერ ერთ ციხეში, მერე მეორეში, მაგრამ ვერაფერი გაიგო.

— მაგისთანა არავინ არის!—მიიღო პასუხად.

„ვინ იცის, მოჰკლეს!"—მწარედ გაიფიქრა მან და სახლში დაბრუნდა.

დედა-შვილი მწარედ სტიროდენ—პირველი დაკარგულ შვილს, მეორე- ძმას.

ჩვენები მოდიან

გავიდა კიდევ რამდენიმე თვე, დადგა თებერვალი, მაგრამ მიხაკოს საქმის გარჩევას თითქო არ აპირობენო, არავინ კითხულობს.

შორიდან ყრუთ მოისმის რაღაც გრიალი. გადის დღეები, გრიალი არ სცხრება, თანდათან ახლოვდება და ბოლოს ისე მოახლოვდა, რომ თვით ციხის კედლებიც ზანზარებდნენ ამ გრიალზე.

— ომია, ზარბაზნებს ისვრიან!—ამბობდენ ტუსაღები და გულისფანცქალით ელოდენ რაღასაც.

— ეს რა ომია, ვისთან არის ომი?—ჰკითხა მიხომ ერთ პოლიტიკურ ტუსაღს, ვანოს.

— ნუ გეშინიან, მიხო, ჩვენები მოდიან, მალე შენს ტანჯვას ბოლო მოეღება!—უთხრა ვანომ.

— ვინ ჩვენები?!—გაიკვირვა მიხომ.

— წითლები... თუ მტრების ჯავრი გჭირს, ახლავე მიზანში

ამოიღე, ხვალ-ზეგ გავალთ აქედან და დადგება შურისძიების დღე!— უთხრა მან.

მიხოს სიხარულის ცრემლები გადმოსცვივდა. ის ახლა მხოლოდ წითლების მოსვლას ელოდა, სხვა ყველაფერი დაავიწყდა.

—

შეწყდა ზარბაზნების გრიალი.

აღარ ზანზარებენ ციხის კედლები.

ციხის გარეთ კარებთან რაღაც ჩოჩქოლია.

ტუსაღებში დიდი მითქმა-მოთქმაა.

მცირე ხნის შემდეგ ყველა პოლიტიკური ტუსაღები გაიყვანეს გარეთ; გაიყვანეს ვანოც. ციხეში დარჩენ მხოლოდ ქურდ-ბაცაცები და სხვა ავაზაკები. მიხოც მათთან არის.

„სად არის ვანოს დაპირება—მალე შენს ტანჯვას ბოლო მოეღებაო?! დაავიწყდა?“—ჯაიფიქრა მიხაკომ. ის მწარედ დაფიქრებული ერთ წერტილს მისჩერებია და თვალს არ აშორებს.

— მიხაკო თეთრაძე!—უცებ შემოესმა მას ძახილი.

— მე ვარ!—წამოიძახა მიხაკომ და ფეხზე წამოხტა.

— წამობრძანდით!

ის წარუდგა ციხის ახალ ადმინისტრაციას. ვანოც იქ არის. იღიმება.

— უდანაშაულოდ წამებულო ამხანაგო მიხაკო, აწი თავისუფალი ხარ, წადი, მიხედე შენს ოჯახს!—ღიმილით უთხრა გალიბანდის ქუდიანმა კაცმა.

— გმადლობთ, ამხანაგო, მაგრამ რითი გადაგიხადოთ მე ეს სიკეთე?—ჰკითხა გახარებულმა მიხაკომ.

— წადი, მიხაკო, წადი, მიხედე შენებს,—უთხრა ვანომ.

მიხაკომ მადლი გადაუხადა ყველა იქ მყოფთ და ქალაქისკენ გასწია აჩქარებული ნაბიჯით.

ნახევარ საათში მან უკვე შუაბაზარს მიაღწია.

— მიხო!—უცებ შემოესმა მას.

— ფეფო!—გიჟივით შესძახა მიხომ და თავდავიწყებული გადაეხვია, კოცნა დაუწყო შავებით მოსილ ქალს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თებერვლის ღამე და გათენება

ჩრდილოეთიდან ოქტომბერი დიდხანს გვიმზერდა
და თორმეტ თვეში არჩევანი ერგო თებერვალს,
რომ წითელ დროშით, ხელში თოფით აოქტომბერდა
და ხელი მისცა თბილისიდან მოსკოვს, ლენინგრადს.—
გული ტოკავდა საგულედან ამოვარდნილი,
მოხუც დედას ჯვარის სახე დავიწყებოდა,
რომ თვალ წინ ედგა ვაჟი-შვილის სისხლი დაღვრილი,
მოკლულ ჩემი ძმის, რომ დუშეთში მტრებსა ებრძოდა.
შულავერიდან ჩვენ ობილისში ვიღებდით სალამს
და ღამე თქეშში ვდარაჯობდით მედგრად განთიადს,
მტკვარს არ ეძინა: გვიამბობდა წარსულის ზღაპარს,
ქარის ზუზუნში ჰანგს უთხზავდით მომავალს დიადს.
რამდენს გაუსკდა შიშისგან იმ ღამეს გული,
რკინის გზის სადგურს აფარებდენ თავს ლტოლვილები,
რომ ქონდათ მიზნათ უცხო მხარე—გზა შორეული.
გულით მიქონდათ სავსე შხამი და ტკივილები.
და ღამის ფრთებზე ანარქიამ დაისადგურა:
ღამის დარაჯმა გააცილა ხელისუფლება,
ჩქარა ქვეყანა ცეცხლის ზეწარს გადაიხურავს,
გავიზიარებთ განთიადზე თავისუფლებას.—
ჩვენ დაგვათენდა მოედანზე თავისუფლების
ხმა ბელადისა იყო მძლავრი და წკრიალებდა,
აწ ხალხი ჩვენი პატრონია თავისუფლების.—
ამხანაგებო! მზე ამოდის—დღე გაგვითენდა.—
წითელ დროშების ხეივანში მზე ელვარდება,
იყო შეხვედრა აღტაცებით კომუნარების,
ჩვენი სიმღერა მტერს ტანჯავდა და ამწარებდა,
საქართველოში დღე დგებოდა გამოდარების.—

კარლო კალაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მემანქანე

ბრძოლებში მოხუცებულებს.

ხევ-ხევ დილითვე მოჰქონდათ
მთებს მატარებლის კივილი,
მკერდ მალალ სერებს ხანდისხან
კვამლი ჰფარავდა ჩრდილივით...

და ორთქმავალმა გადმოვლო
გზად გაკაფული მაღლობი;
გულ ამობურთულ გორებზე
სულ შეგუბული ამორბის!..

ხარობენ სალი კლდეები,
მოღლილი სიმარტოეთი,—
მანქანებს ეგებებიან
ხიდან დახრილი რტოები!

ალმოდებული ბორბლები
რონებზე მოექანება—
და ამ სირბილის მმართველი
თმა თეთრი მემანქანეა.

რომ მოადგება მოაჯირს,
მკერდ გაღეღილი მალი-მალ!
თვითეულ წამში განვლილი
გზა ეკარგება თვალიდან...

წლებით შებორკილ მოხუცის
გულის ძგერაც კი მძაფრია;
გახარებული შეჰყურებს—
მთები რომ მოისწრაფვიან!..

შრომაში ჩვეულ სიმღერას
ისევ ხმადაბლა იმღერის,
და ჰფიქრობს განვლილ მთაბარზე
მისი ათასჯერ მხილველი...

აქ ყოველ ბუჩქის ხსოვნაც კი—
უცვლელად შემონახულა!—
ისევ მზის სისხლით ელვარებს
მიწა საყანედ დახნული...

ამწვანებული სოფლები
თვალებს ხელახლა გადუვლის,
შორეულ მთების ხევებში
თაროებივით ჩადგმული!..

ამ კუზათ მოხრილ კლდის გალმა,
ტევრით დაბურულ გორიდან,—
ერთხელ მომიზნულ თოფებით
შემოესიენ მგონია!—

და თუ მან თვალგამართული
სვლა შეაჩერა უეცრივ,—
თუ შეუერთდა მებრძოლებს
მისივე ხმა უარესი!..

ეს მხოლოდ მისთვის, რომ მაშინ,
მებრძოლ გუნდებათ გაშლილი!—
„წითელ რაზმებათ“ მუშები
იყვნენ ტყე-ღრეში გაჭრილი!..

. . . . . .
. . . . . .

ეხლა კი, ისევ სიმღერით,—
ველებზე მოექანები!
და ალბათ უფრო გახარებს
სახელი მემანქანესი.

ისევ ხალისით შეჰყურებ
მთები რომ მოისწრაფვიან,—

წლებით შებორკილ მოხუცის,
გულის ძგერაც კი მძაფრია!.

და თუ ვერ მობერებულხარ!
ნუ გაკრთობს გზების სიშორე.—
დანიშნულ მანძილს მიუსწარ
ყმაწვილურ გულის სისწორით!..

. . . . . .

მატარებელმა გადმოვლო
გზად გაკაფული მაღლობი,—
გულ-ამობურთულ გორებზე
სულ შეგუბული ამორბის...

ხევ-ხევ დილითვე მოჰქონდათ
მთებს ორთქმავალის კივილი,—
მკერდ მაღალ სერებს ხანდისხან
კვამლი ჰფარავდა ჩრდილივით...

27 წლის
მარტი.

ნიღაბის ქვეშ

(რომანი ლექსად)

ნაწილი პირველი

1

კიდევ უკანასკნელად
იგრიალა ქვემეხმა,
ცეცხლის წვიმით აივსო არე-მარე კოჯორის;
ჩამოვარდა სიჩუმე: ღამეს თვალი ეხევა
და მთის პირზე იშლება
განთიადის ქოჩორი.

სანგრეებში ისეთი
მდუმარება დაღვრილა—
შენი სუნთქვაც გაშინებს და გიხუთავს ნაბიჯებს;
ირგვლივ დაჭრილთ ზუზუნი გასევს ფიქრებს ნაღვლიანს,
გსურს საშველი იპოვო,
გსურს ქარიგით გაიჭრე.

კვნესის, მძიმეთ ირხევა
ქარის გიჟურ მკლავებით,
ვაჟ-კაცივით ტანადი, ახოვანი ჭადარი;
ყრუ ქოროლლის ციხიდან გაფითრებულ თვალებით
იცქირება უაზროთ,
ბონდო—თეთრთა სარდალი.

ფიქრი უიმედობის
ისევ აედევნება:
— კვლავ შეტევა დაიწყეს, ნუ თუ ხელს ვერ შეუშლით?!
უუ, როგორ გვესხმიან, გადაიქცენ დევებათ;
რკინის გული ჩაუდგამთ
მგონი კაცის სხეულში.

გადაუარს სახეზე
მწუხარება ღრუბლებით:

სამშობლოში მახვილით რატომ გადაიარა,
თუ კი ბონდოს დიდება ეხლა დაიღუპება
და მტერს ვერ შეაგებებს
პირგაბასრულ იარაღს.

წუთი არარაობის
გულში ჩაეწვეთება,
ხედავს თვალწინ ემსხვრევა იმედების ტოტები,
სიყვარული სიცოცხლის უფრო მძლავრად ენთება,
ფეთქავს გულში ველური
სისხლი გაბოროტებით.

თითქო წონა დაკარგა,
მიწა ფეხქვეშ გორდება;
დამარცხების მორევში იძირება ყელამდე;
სურს იფიქროს, იაზროს, გავერანდა გონება
და თვალები, თვალები
გიჟურ ცეცხლით ელავენ.

2

როგორც ღამის დუმილში
უცაბედი ზარები
სათოფედან მქუხარებს ველზე ბონდოს ბრძანება;
— გაამაგრეთ მთებისკენ მიმავალი შარები,
მიასიეთ რაზმები,
მოპირული დანებით!

ამაოა; დააცხრე
გულის ავი ტორტმანი,
თორემ სისხლი დაგახრჩობს სამშობლოში დაღვრილი;
ღამე გადმონატანი შავ ფრთებიან ყორანით,
აინთება წითლების
გამარჯვების საყვირით.

გესმის, თეთრთა თხრილებში
დგება კითხვა ბედითი:
რატომ ვიბრძვით? პასუხის
მგები სისხლზე ვინ არის?!...
ცის კიდურზე მოცურავს განთიადი გედივით

და დაბლობზე თეთრდება
გაძარცული თხილნარი.

დედა ცოლათ შეერთოს
ვინც არ მომყვეს ხმალ და ხმალ!
მეომრებო, გაეკარო ფრთა მუხლიან ნახტომებს...
ბონდო, ველზე საომრათ ძლიერი ვერ გადახვალ,
ხედავ ზოგან რაზმებმა
იარაღი დატოვეს?!

ვიღაც ყვირის:—გვიჩვენეთ
მტერთა გულის ფიცარი,
არ გვსურს ომი წითლებთან, ბედმა სისხლი გვაშოროს;
იარაღი დაჰყარეთ, თქვენი ძმები იცანით...
სამშობლოში არ გვინდა
ჩვენ მეორე სამშობლო!

სადაც მშრომელთ ხელია,
სადაც შრომის ტახტია,
ჩვენი მიწა იქ არის, ჩვენი ბედნიერება;
ჩვენ გაგვყიდეს... საომრათ მოძმეებზე გვაყრიან,
რატომ უნდა გვიმსხვერპლოს
ძმებო, გაიძვერებმა?!—

— ჩააჩუმეთ, მოჰკალით!...
ბონდოს ცოფი ედება;
ნუ თუ ბედი ბრძოლიდან დამარცხებულს გაიყვანს,
მითხარ, შესაჩერებლად ვინღა დაედევნება
ოკეანის სათავეს,
თუ კი ერთხელ გაირღვა?

ჰა მოდიან მოდიან
და მიდამო დაჰფარა,
ისევ ტყვიამ, გუგუნმა, გაჰკივიან ნაღმები...
გატყდენ თეთრთა რიგები, სჭექა ძლევის ნაღარამ
და ტფილისზე გადმოდგა
კომუნართა რაზმები.

3

ყინავს; გულის მხუთავი
სიცივეა სიცივე...

მთვარე შიშველ ქალივით სცურავს მტკვარის ტალღებში;
ღელავს მტკვარი, სიჩუმე ფეხაკრეფილ მხეცივით
ჩუმათ დაიარება
ორთაჭალის ბაღებში.

ვის არ გამოუცდია
მარტოობით ღამეში,
ხშირად რწმენა სიცოცხლის უნებურად გიწყდება;
მარტოობა გაშინებს და ფიქრების წინაშე,
ულონო ხარ ბავშვივით,
გინდა თავდავიწყება.

გეჩვენება ცხოვრება—
შავი, ცივი სამარე,
იკარგები აუხსნელ ბნელ კითხვების უბეში;
მაშინ ძაღლის ყეფაც-კი თბილია და გახარებს,
უსაზღვროა კაცისთვის
მაშინ ტკბილი ნუგეში.

— რა მოელის! ქალაქი
დაიკავეს წითლებმა,
ნორას ბედი სისხლისმსმელ ნადირების ხელშია;
დღეს ქალაქის სიცოცხლე სხვანაირად ინთება,
და ,ქუჩებიც უცნაურ
გულისძგერით ხვნეშიან.

რა მოელის—ოთახი
ისევ მძიმედ მდუმარებს,
კედლებს ენა არა აქვთ, მახლობელი არა სჩანს;
ნორას ყრუ მარტოობა გააგიჟებს, გადარევს;
უცქერს ღამეს ფანჯრებთან
საცოდავათ ჩამომხრჩვალს.

ნეტავ რამ დაამძიმა
ეს ჰაერი ლოდივით,
ბონდო, მოდი სადა ხარ, შენი ნორა მარტოა;
ტვინში სისხლი ავარდა გულის მომკვლელ ლოდინით,
ნუ თუ ელის ამაოდ,
ნუ თუ მანაც დატოვა?..

გადმოიჭრა ქუჩებში
ქარი როგორც არსენა,

თოვლის ფიფქებს აბნეულს ვაკაცურად მიჰკივის;
ნორა?
მძლავრი შიშისგან შეპყრობილი არსება,
ხშირად შეუგნებელად აინთება გიჟივით.

— უნდა ვნახო, არ არის
ეხლა მეტი საშველი,
სულ რომ შემოვიარო ეს ქალაქი მშფოთავი —
გაიფიქრა, საჩქაროთ მოიეხია თავშალი
და კარების რახუნი
გადაგორდა ოთახში.

4

— ვინ იძახის, ვინ არის!
— გესმის ბონდო, ნორა ვარ.
— უ, ეშმაკმაც დალახვროს, ეს სტუმრობა გვიანი;
როცა ჩემი სიცოცხლე ბეწვის ხიდზე დაგორავს,
განა სხვაზე იფიქრებს მაშინ ადამიანი?

— სად იყავი, რას გეეხარ!
— მთელი ღამე წვალებით,
ქუჩა-ქუჩა დავქროდი როგორც შავი ღამურა;
შენ გეძებდი...
კისერზე შემოხვია მკლავები
და ალერსით თვალები თვალებს გადაახურა.

მითხარ რა დროს ხვევნაა,
რა დროს ქალის ალერსი;
როს სიცოცხლის კარები ირგვლივ დარაზულია;
გესმის ნორა, გუგუნებს ქუჩა კბილებ ნალესი,
სასიკვდილო ფერხულებს
ჩემს ფანჯრებთან უვლიან.

— მე მეძებენ....
— შენთან ვარ...
— მერე მაგით რა გინდა!
— შენთან ერთათ სიცოცხლე, შენთან ერთათ სიკვდილი...
— რაო? რა სთქვი, სიკვდილი?!. ნუ თუ მართლა დაბინდდა,

ჩემი ბედის ვარსკვლავი,
ჩემი ბედის ღიმილი.

არა, არა, ათასჯერ...
სანაპირო მტკვარისა,
ჯერ წითლების მიერ ხომ შემორტყმული არ არის!
ჰოი ღამევ გულშავო, გეევედრები დამიხსნა;
დამარცხებულ სარდალის
შენ იყავი მფარავი.

— რა დრო არის!
— პირველი.
ო რა ნელა გადიან
ეს წუთები მძიმენი ვით პირბნელი უკუნი;
გარეთ ღამე დაჩეხილ ნადირივით აგდია,
გარეთ ქუჩებს ასკდება
ქარიშხალის გუგუნი.

ბონდოს თავში ირევა
ათასგვარი ფიქრები:
— ეხლა მელის უთუოდ მტკვართან ავტომობილი:
და დილამდე სიჩქარით სამშვიდობოს ვიქნები,
თუ-წითლებით არ არის
გზები გადაღობილი.

მაგრამ ნორა? —
მოლუშა ბრაზ მორევით თვალები;
— თვითონ ჩემი გაპარვაც საშიშია, სამძიმო.
განა კიდევ ცოტაა ქვეყნათ კარგი ქალები,
ეხლა ნორას გულისთვის
რომ სიცოცხლე გასწირო.

— კარგი ნორა, გეყოფა,
ნუ იქცევი ბავშვივით!
გესმის, უნდა, წავიდე, გავიპარო აქედან...
— სად მიდიხარ! —თვალები მუდარებით გაშლილი
კაცის თვალებს მიაპყრო
და სიმწარით ჩახედა.

— მე... მე მტოვებ!
მითხარი, შენ თავს რას ეუბნები!
სიქალწულის დღეები, ბონდო, შენ განაცვალე,
სიყვარულით არ ძგერდენ განა ჩვენი გულები,
ეხლა ასე ულმერთოთ
რომ მექცევი, მაწვალებ.

სად მიდიხარ, გულმოკლულ
ნორას თუ მოშორდები,
ბარემ დანა დაეცი და მოჰკალი აქავე;
მან ხომ შენი გულისთვის მიატოვა მშობლები,
დაამშვიდე: იქვები
გულში ნადიმს მართავენ.

სიყვარული?—ამისთვის
ეხლა სულელს სცალია,
ვერ მოალბობს თვალების ზღვათ გაშლილი ვედრება;
მართლაც ნორას რა უშავს აქ დარჩენით, ქალია;—
სხვას მონახავს, ქალი ხომ
ცრემლს არ შეაბერდება.

— გული ტოკავს შიშისგან,
მითხარ ბონდო ნუგეში;
მიპატრონოდ დარჩენილს ნადირიც-კი იცოდებს.
უშენოდ მე რაღა ვარ, გადამაგდე წუმპეში—
შენ-კი ებლაუქები
საცოდავად სიცოცხლეს...

თურმე როგორ ვცდებოდი
როცა გმირად გსახავდი,
როს მეგონა სამშობლო, შენით დახსნას ელოდა;
სულ მდაბალი ყოფილხარ, ვალი გადასახადი
დაივიწყე, გარბიხარ
მშობელ საქართველოდან.

— საქართველო? მეგონა
სიყვარულით მიცქერდა,
მაგრამ ხედავ, დღენი ბედს ორპირულად ჰკერავენ,

ჯანდაბას ეს სამშობლო თუ კი შხამად იქცევა,
თუ სახელს და დიდებას
ქარში გამივერანებს!—

შემობრუნდა, დარეკა:
შემოვიდა მსახური.
— აბა დროა წავიდეთ, თორემ დაგვიგვიანდა....
დეე ბარემ ჩაქოლოს სიამაყე ქალური,
მუხლზე ცოცვით მივარდა
ვერაგ ადამიანთან.

ნაძალადევ ღიმილით
ეუბნება:—დამშვიდდი,
მალე გნახავ, გამიშვი, არაფერი არ გიშავს;
— წამიყვანე...
— რას ამბობ!
— მაშ აქ დარჩი.
— გაგიჟდი?
— ბონდო, გულში მოთმენამ აღვირები აიშვა:

— მემუქრები კიდევაც?!
— შენ არ იცნობ ქალის გულს,
მასში შურის ძიებამ თუ კი გადაირა,
დაივიწყებს, დააჭკნობს კაცზე ტრფობის თაიგულს,
სისხლით გაბანს საკუთარ
გულის მწარე იარას.

გასრიალდა ოთახში
გესლიანი სიცილი
— შენს სისხლში ხომ ჯაშუშის გამყიდველი სისხლია;
რას აყოვნებ, იჩქარე, მაგ თვალებთა ციმციმი,
ყველგან კარებს გაგიღებს,
ყველაფრიდან გიხსნიან.

ამ სიტყვებით საჩქაროთ
გამოაღო კარები,
და ქვითინში მოესმა ნორას, ცივათ—მივდივარ!
ფანჯრის მინებს გააკრა სახე განაწვალები,

და თვალთაგან ცრემლები
ჩანჩქერივით ცვივიან.

უცებ თითქო სხეულში
ელვამ გადაურბინა,
წუთით თვალში აინთო სიხარული ქურდული:
სწრაფათ რაღაც ქაღალდი ამოიღო უბიდან
და მთრთოლვარე ხელებით
გადარაზა ურდული.

დასასრული პირველი ნაწილის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პასუხი

მე ეს სიმღერა მინდოდა მეთქვა:
დე, მთა აღმიდგეს წინ დაბრკოლებათ
მე მას დავამსხვრევ და გადავთელავ
და ჩემს სულს ძლიერს ვერვინ შებორკავს...
მე ვარ პოეტი ცეცხლ-მოთარეშე...
მე ვარ პოეტი ანთებულ მზისა—
და ამ გულიდან გრძნობას მონაშვებს
კვლავ ვუხმატკბილებ ჩემ ბრძოლის მიზანს...
დეე, იჩხავლონ ყვავებმა ისევ!..
დეე, ეძებონ მათ ჩემში ლეში!..
მე ეს ცრემლებით სულს ვერ გამივსებს
და ვერ გამიტეხს გულს თავის დღეში.
ვხედავ ავარდნილს მთის ნაპრალიდან
ბოროტ ბელზებელს-სისხლით შეღებილს
და ჩემს თვალებშიც უცებ დაბინდდა
შეწყდა ჰანგები ხმა-ტკბილ სიმღერის...
მაგრამ ოჰ! არა, მკერდით მოზიდულს
გულს ვულკანივით მძლავრს, მოგუგუნეს
მან ვერ შეუკრთო ფერი და კვლავ ქუხს:
კვლავ მიაქროლებს ცხოვრების ჰუნეს...
ან და ვინ დაძლევს ქარიშხალს ძლიერს,
ქარიშხალს ქარხნის ტორებში ჩადგმულს?!!
და მეც ეს ქარი, ხომ სულში მიძევს,
ხომ ვაალერსებ მას ჩემს სიხარულს?!!
ეს ჩემი გული, ხომ გული არის
უამრავ ხალხთა და ქარტეხილთა?!!
მაშ, მეც ვით ძალმიძს, რომ ვუთხრა ვარი
და არ გაუხდე მათ გზა და ხიდათ?!.
დეე, პოეტი და კომუნარი
ისევ ვკიოდე: წინ საუკუნე
ნუ შემაშინებს რისხვა მჭუხარი
შესძარ ცა, მიწას დაუგუგუნე...

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

ფოტოგრაფი

1

მე ვანთებ კართოფილის სანთელს. ვხურავ ფანჯარის დარაბებს და უჯდები საწერ მაგიდას.

ჩემ ამხანაგს, რომელიც ჩემთან ცხოვრობს თხოვნით ვეუბნები:

— ამაღამ თეატრში ძლიერ კარგი პიესა მიდის, გირჩევ რომ წახვიდე.

მას სახეზე ერევა ღიმილი. იცის რომ მე ღამეს თეთრათ გავათენებ, ალიონზე, ალიონივით მკრთალი გავაღვიძებ მას და წაუკითხავ ამ მოთხრობას.

მან იცის ეს, პატივს მცემს და თითქო ვეცოდები კიდეც.

ის წავიდა.

ყოველ მწერალს წერის დროს თავის ჩვეულება აქვს. მაგალითად, მე არ შემიძლია ვწერო იმ ოთახში, რომლის ნივთებს და კედელზე დაკიდებულ სურათებს არ ვარ შეჩვეული. უცნობ ოთახში მოხვედრილი, ვაკვირდები მათ, მინდა მათი გაცნობა, დაახლოვება, ისინი იტაცებენ ჩემ ყურადღებას, დრო გადის, მე ვიღლები.

ჩემს ოთახში კი ყოველივეს დაწვრილებით ვიცნობ; ისინი ჩემს სურვილს ემორჩილებიან; აი, მე ახლა თავდახრილი ვსწერ, უცებ ვიღებ თავს; მინდა მოვიგონო ამ მოთხრობის გმირის თვალების გამოხედვა, მაშინ როცა მას საყვარელი ქალი მიატოვებს.

ჩემი თვალები ხვდებიან პირდაპირ დაკიდებულ სურათს: მე ვგრძნობ, ის სურათი იხედება ისე, როგორც ჩემი გმირის თვალები; ეს მახარებს და უფრო გაცხოველებით ვაგრძელებ მუშაობას.

ჩემი ოთახის ნივთები ჩემზე ახდენენ გავლენას, ისინი ჩემი შემოქმედების განუყოფელი მეგობრებია. ისინი შეთანხმებული არიან ჩემს გულთან და განსაზღვრულ წუთებში შესაფერისათ იცვლიან სახეს.

მე ჩემს ოთახს არასოდეს სხვას არ ვალაგებინებ.

ხშირად მთელი კვირაობით მტვერის სქელი ფენა ფარავს ოთახს.

მე ეს არ მაღონებს; ჩემთვის უფრო გულის მომკვლელი ექნება, რომ ვინმემ ოთახში დამირღვიოს ნივთების სიმეტრია და კართოფილის სანთელი, რომლის ციმციმს, მარჯვენა მხრიდან ვარ შეჩვეული,

მარ[illegible] საბოგადამიდგას; მაშინ შევწუხდები და ვიგრძნობ, რაღაც მაკლ[illegible]ესაც რამეზე სწერ, აუცილებლად მისი კონკრეტიული, ხელ-შესახებ [illegible]ახე უნდა გყავდეს წარმოდგენილი;

მე ეხლახან დავათავე ჩემი რომანი და იმ რომანის გამო მთელი სამი წელიწადი ვიყავი შეყვარებული ერთ ქალზე.

2.

სრულიად შემთხვევით წავაწყდი მას. ის მოდიოდა თავდახრილი. მზის სხივებზე მის გახუნებულ პალტოს გაურკვეველი ფერი ეკრა. პირველად ვხედავდი, მაგრამ რატომღაც მეგონა, რომ ის ჩემი დიდი ხნის ნაცნობი იყო და აუცილებლად უნდა მენახა დღეს.

სწრაფად გადაუქერი გზა.

— მე თქვენ გეძებდით!

მან მოღლილი თვალებით შემომხედა და გაკვირვება სცადა; არ გამოუვიდა. მე კიდევ უფრო ახლობლად ვიგრძენ ეს კაცი.

— მე თქვენ გელოდით აქ!

— რატომ?

— განა არ მიცნობთ!

— არა.

— მე კი ძლიერ კარგათ.

— საიდან?

— არ მახსოვს, მაგრამ მე ვიცოდი, რომ თქვენ ასეთ პალტოს ატარებდით, ასეთი უაზრო გამოხედვა გეჭნებოდათ; მე ვიცი თქვენ რას ფიქრობთ ეხლა; მე....მე.. ვიცი თქვენ ვინც გიყვართ!

მან ფართეთ გააღო თვალები.

ბავშვივით ამიყვანა სიხარულმა.

— მოითმინეთ თუ ღმერთი გწამთ, ნუ მომაცილებთ მაგ თვალებს; შემომხედეთ კიდევ... დიახ, ის არის! მე მაკლდა თქვენ შესახებ რაღაც და ესეც ვიხილე; თქვენი თვალები აინთო წუთით და ისევ ჩაჰქრა; მაგნაირათ იხთებიან უკანასკნელად მომაკვდავის თვალები; თქვენი თვალები მომაკვდავის თვალებს ჰგავს! ყოველი გაელვება თქვენს გულში სწყვეტს სასიცოცხლო ძარღვებს!

ის მიცქეროდა უაზროთ, თითქო არ ესმოდა ჩემი საუბარი; მწარეთ ჩაიცინა და ფრთხილი ნაბიჯებით მომშორდა.

— გმადლობთ, მშვიდობით, რით გადაგიხადოთ პატივისცემა! ფულს გასესხებთ, გნებავთ? მივაძახე მე.

ოთახში საწერ მაგიდას როცა უჯდებოდი, გამახსენდა ის კაცი და გავიფიქრე:

— საიდან ვიცნობ ნეტავ?

უეცრად გამახსენდა: ის ხომ ჩემი მოთხრობის გმირია.

3.

გცალიან მკითხველო?— წარმოიდგინე საშუალო ტანის კაცი; სხეულთან შედარებით არა პროპორციული, მაღალი ფეხებით; გული ჩავარდნილი თითქო ვინმეს მუშტი ჩაუკრავსო; წვრილი, მოძრავი კისერი; კისერზე მიბმულია ისეთი დიდი თავი, რომ როცა უცქერ, გებადება კითხვა: რათ იყო საჭირო ასეთი დიდი თავი ამ პატარა სხეულისათვისო! ყოველივე ამ მოწყობილებას მე მინდა დავარქვა სახელად პიმენ. ასეთ შთაბეჭდილებას სტოვებს პიმენ თქვენზე, როცა მას შორიდან ხედავთ; მაგრამ სცადეთ, გადაუჭერით გზა, შეიძლება თქვენ როგორც უცნობს, პატივი გცეთ და წუთით შეჩერდეს.

სახის ორივე მხრიდან პატარა ქედებივით ამობურთულია ღაწვთა ძვლები. პიმენი მუდამ თავდახრილი დადის; ამიტომ სქელ შეერთებულ წარბების ქვეშ თვალებს ვერ ტაინახავთ; თქვენ ქურდულად გამოგხედავსთ, უკმაყოფილების ნიშნათ სწრაფათ ხელს გადაისვამს ცხვირზე და დააპირებს ნაბიჯების აკრეფას; გამოელაპარაკეთ; პიმენ ფოტოგრაფია: უთხარით, თუ როდის შეიძლება მისი ნახვა. ის ასწევს სახეს, თავით ფეხებამდე დაფეთებულ თვალებით დაგათვალიერებთ; თუ მოეწონეთ, თვალები დაცხრებიან და თქვენი თვალების პირდაპირ ბავშებივით გაჩერდებიან.

თქვენ გაგაკვირვებთ,—ის თვალები. ისინი თითქო მოწყალებას ითხოვენ უცნაურის სიმძაფრით.

თქვენ იგრძნობთ,—ითხოვენ ისეთ მოწყალებას, რომლის გაღება არ შეგიძლიათ. შეწუხდებით და სახე უნებურად შეგეცვლებათ. მაშინ პიმენ მოგტაცებთ თვალებს, ერთი საგნიდან მეორე საგანზე გადაარბენს, ცხვირზე ნერვიულად ხელს გადაისვამს და მოგშორდებათ.

თუ მოსახვევია ახლოს, პიმენი იმ მოსახვევთან მოიხედავს თქვენსკენ.

ძლიერ უნდა არ მოიხედოს; როცა თქვენ დაგშორდებათ, ამას კიდევაც გადასწყვეტს გულში, მაგრამ მაინც ვერ მოითმენს და კუთხიდან გადმოისვრის თვალებს.

თქვენ გეცოდებათ პიმენი? მაშინ ნუ აგრძნობინებთ მას, რომ მის მოხედვას შეასწარით თვალი.

თქვენ რასაკვირველია რჩებით განცვიფრებული. იქვე მედუქნეს, რომელიც თქვენ და პიმენის შეხვედრას უცქეროდა, ჩაულაპარაკებთ.

— უცნაური კაცია!

თუ თქვენ სუფთათ გაცვიათ და კეთილშობილური შეხედულება გაქვთ, მაშინ მედუქნე გიპასუხებთ ირონიული ღიმილით:

— ქალაქში სხვა ფოტოგრაფიც არის.

თქვენ მოშორდებით მას; მიხვდებით რომ მედუქნის ტლანქი გონება ვერ დააკმაყოფილებს თქვენ ცნობისმოყვარეობას.

სჯობია ისევ მოუცადოთ ამ სტრიქონების ავტორს.

პროვინციალური ქალაქი მე მაგონებს ცუდ და ერთფერ საღებავით დახატულ სურათს. მზე ამოვა, სურათს ცოტა ელვარება დაეტყობა; დალამების ჟამს სურათს შავი ფერი გადაეკვრება: მხოლოდ და მხოლოდ...

სხვა არაფერი არ სცვლის მის ერთფეროვნებას.

აქ იცის გულგამასიებელი წვიმა და ისეთი მოწყენა, რომ საკუთარ თავსაც შეგაძულებს.

კინოში მიდის მთელი კვირაობით ტარზანი და მაცისტის უკანასკნელი თავგადასავალი; მაყურებლები ძლიერ შეწუხდებიან, როცა ტარზანს ასი ლომი და ვეფხი დაეცემა; იცოდებენ მას და არ იციან, რომ ამერიკული ფილმა, კომერციული მოსაზრებით არ დაუშვებს სურათის პირველ ნაწილშივე ტარზანის დამარცხებას; ტარზანი გადარჩება. მაყურებლებს უხარიათ, მხოლოდ უკვირთ ნუ თუ ას ლომს ერთი კაცის შეჭმა არ შეუძლიანო!

სახლები თეთრია; ფანჯრებზე თეთრი ამოქარგული ფარდები ჰკიდია; იმ ფარდებს იქით ცხოვრობს ხალხი; უხარიათ უქმეების მოახლოვება, ზაფხული და ნაცნობ ოჯახებში ქორწილი. საღამოობით აივანზე სვამენ ჩაის; გაფერილ სამოვრის შიშინს აყოლებენ საუბარს ცხოვრების საკითხებზე; ჩაის გათავების შემდეგ მოჰყვებიან ჭორებს, უსურვებენ ერთმანეთს კვლავ ბედნიერ შეხვედრას და დაიშლებიან. მე მინდა პიმენი ასეთ ქალაქში იყოს გაზრდილი.

მე ეხლა ვფიქრობ, პიმენს რა ხასიათის ქალი შეუყვარდებოდა. ერთია აშკარა ჩემთვის: კომუნარი ქალი მასში ვერავითარ სიმპატიას ვერ გამოიწვევს, ის უფრო დაფეთდებოდა (მე კარგათ ვიცი პიმენის ხასიათი) ქალის ბრგე გამოხედულებით და მაგარი ნებისყოფის მაჩვენებელ ხმით.

არისტოკრატიული წრის ქალი ახლოც არ გაიკარებდა პიმენს.

მაშ რა ვქნა, როგორი ქალი გამოუნახო?

ოცდარვა წლის კაცია და ასე დატოვება არ შეიძლება; მოთხრობის სიუჟეტი დამერღვევა.

პიმენი უწინ ნოტარიუსი იყო და ეხლა ისიც არ იცის, თუ რევოლიუციის შემდეგ, მის სანოტარიუსო კანტორაში რატომ უკლო

ხალხმა სიარული; მან შეხედა ფაქტს მოწყენილი თვალებით, გაყი-
და კანტორის მოწყობილება და შეიქინა ფოტოგრაფი.

ვაშა!

რა დიდებული აზრი მომივიდა!

პიმენი უწინ ხომ ნოტარიუსი იყო; მას აუცილებლად მეგობ-
რობა ნოტარიუსთან ექნებოდა; პიმენი ხშირად იქნებოდა მასთან
ჩაიზე; ამ ნოტარიუსს ეყოლებოდა ქალიშვილი, რომელიც სასწავლე-
ბლად პანსიონში იქნებოდა გაბარებული. პიმენი შეიყვარებდა ამ
ქალს, რომელსაც სახელათ შეიძლება დაერქვას ანგელინა.

მე ეხლა მეხატება თვალწინ შემდეგი სურათი:

ანგელინას დღეობაა.

წინა ღამით პიმენი ვერ მოისვენებს ლოგინში. იფიქრებს, ხვა-
ლისთვის რა წაიღოს მისალოცათ, რა სთქვას; მოამზადებს ისეთ სი-
ტყვებს, რომლებითაც უფრო მოაწონებს თავს ანგელინას.

შეხვედრის დროს აკოცებს ხელზე და ეტყვის:—ანგელინა ტი-
მოფეევნა, ბოჟე მოი, თქვენ დღეს ანგელოსს ჰგევხართ; თვალებს
უგზო-უკელოთ გადაკარგავს ოთახში და...

მაგრამ არა, ჯერ რას ვჩქარობ?!

მაშასადამე პიმენს დღეობის წინა ღამე თეთრად გაუტყდება;
მეორე დღეს თავის და მუცლის ტკივილს იგრძნობს; ცხელ აგურებს
დააჯდება, ტკივილი გაუვლის, დალევს ჩაის და წავა კანტორაში,
მოლოდინში დღეს უგემოთ გაატარებს, კანტორას ადრე დახურავს
და მშიერ ძალლივით დაუწყებს ვიტრინებს თვალიერებას.

ბევრს იფიქრებს, უფრო მეტს, ვინემ მე ჩემ საყვარელ ქალზე
და ბოლოს იყიდის ყვითელ მოქარგულ ლენტს, შოკალადს და მო-
ვერცხლილ სირმებით შემოვლებულ ალბომს, რომელზედაც დახატუ-
ლი შიშველი ამური ისრით გმირავს გულს. ჩაიცვამს ვიზიტკას,
(ორი წელიწადი აგროვა ფული მის სასყიოლად და მხოლოდ ასეთ
შემთხვევაში იცვამს) გაიკეთებს გაკრახმალებულ სახელურებს და
გაეშურება ეტლით ანგელინას სახლისაკენ.

4.

როგორი ქალი უნდა იყოს ანგელინა?

პანსიონში ისწავლიდა მოხდენილ რევერანსებს, ეყვარებოდა
პანსიონის დაბურულ ბაღში მთვარეზე სენტიმენტალური ოცნება;
ექნებოდა რომანტიული თვალები და ეცოდინებოდა მარტის წვიმა-
სავით მომაბეზრებელი, ამოხვრებით სავსე საუბარი. იქნებოდა სუს-
ტი... არა, ძლიერ სუსტი არ უნდა იყოს, თორემ შემდეგ კომუნისტი

არ შეიყვარებს; აგებულება ექნებოდა ისეთი,—ზაფხულობით ავარაკზედ წაუსველელი რომ დარჩენილიყო, მაინც და მაინც არაფერი უშავდა.

წაიკითხავდა ჩარსკაიას რომანებს. ჩუმათ იშოვიდა „მარგარიტა გოტიეს“ და ეცოდინებოდა, ის ცხოვრება, რომელიც ბრუნავდა პანსიონის თეთრ კედლებში.

დიდებულია!

მაშასადამე ეს იქნება ქალის ტიპი, რომელიც ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს და მოვლენებს ვერ დახვდა შესაფერისად.

მკითხველს რომ ამაში არავითარი ეჭვი არ დაეპადოს, ამიტომ რევოლიუცია მოუსწრებს ანგელინას პანსიონის უკანასკნელ კლასში.

პანსიონს დახურავენ. ანგელინა პირდაპირ პანსიონის კედლებიდან გამოვა და ჩაებმება ცხოვრების ფერხულში.

5.

ხშირად, მუშაობის დროს ჩემთან მოდიან ამხანაგები.

ეს სტუმრობა ჩემთვის არ არის სასიამოვნო; ამიტომ მე ფანჯრის მინაზე ვაკრავ ასეთ განცხადებას:

სახლში არა ვარ.

ეხლა მესმის ფანჯრის კაკუნი.

წერით დავიღალე, შეიძლება სტუმრის მიღება; შემოდის ჩემი მეგობარი, ახალგაზრდა კრიტიკოსი. მე უყვები მას აქამდე მოფიქრებულ მოთხრობის ნაწილს და იწყება შემდეგი საუბარი ჩვენს შორის.

მე—ხომ გაიგე, ეხლა მე მინდა, პიმენი მდგომარეობამ მიიყვანოს თავის მკვლელობამდე!

ის—არ მესმის, რა მიიყვანს მაგ ბოლომდე პიმენს. ის საბრალო და ნებადაკარგული ადამიანია, თავის მოკვლას ვერ გაბედავს!

მე—როგორ? განა თვითმკვლელობა მხოლოდ ძლიერი ნების მქონეს შეუძლია?

მან თავის ქნევით მომცა თანხმობა.

მე—არ გეთანხმები მაგრამ კამათს დავანებოთ თავი; ვილაპარაკოთ ჩემი გმირის გარშემო.

ის—პიმენი ყოველგვარ საზოგადოებრივ ცხოვრებას მოწყვეტილია, არა?

მე—კი.

ის—რა აინტერესებს მას?

მე—პირველი ფული, მეორე ფული, და მესამეც, კიდევ ფული.

ის—არ მესმის!

მე—მან იცის, თუ ფული არ ექნება. ისე ანგელინას ვერ ითხოვს.

ის—როგორ? განა ანგელინას უყვარს?

მე—ეხლა არ ვიცი, აქამდე კი ანგელინას სიმპატიები უსათუოთ ჰქონდა პიმენისადმი. ეს უბრალო მიზეზით შეიძლება აიხსნას; ანგელინა სხვა მამაკაცს ვერ ხედავს ირგვლივ; პანსიონიდან მომწიფებული ქალი გამოვიდა; მასში სდუღს სისხლი და გულში ტკბილი გრძნობები იწყებენ თარეშს. ეს გრძნობები პანსიონის მხუთავ კედლების შემდეგ უფრო გაღვივდენ და მოითხოვეს სიყვარული, მამაკაცი.

პიმენიც აქ იყო, პანსიონის კედლებივით ერთფერ საალერსო სიტყვებით და ბუნებრივია, ქალში აღიძრებოდა თანაგრძნობის ნიშნები; მათ დაახლოვებას ხელს უწყობდა ანგელინას მამაც; პიმენში ის ღირსეულ სიძეს და სიბერის ჟამს მის სანოტარიუსო საქმეების შემცველელს ხედავდა. ერთი სიტყვით პიმენის ცაზე ერთი ღრუბელიც არ სჩანდა მის მომავალ ბედნიერების გამამუქებელი, მაგრამ რევოლიუციამ...

ის—როგორ?

მე—ანგელინას მამის ოჯახი დაირღვა. მამა გულის სიგანიერისაგან გარდაიცვალა. ოჯახში შემოსავალმა იკლო. დაიწყეს ნივთების გაყიდვა; რამდენიმე თვის შემდეგ ისიც შემოაკლდათ და საშინელ სიღარიბეში ჩავარდენ.

ის—როგორ, განა ანგელინას არ შეეძლო სადმე ემსახურა?

მე— საქმეც იმაშია რომ არა. პირველ ხანებში დედა და შვილი თითქო რაღაცას ელოდენ. თითქო ეს რაღაც მოვიდოდა და მათ ფულით სავსე ტომრებს მოუტანდა;—ქალი და სამსახური ვინ გაიგონა, გოგო გამიკახპდებაო,—რამდენჯერ გამიგონია ანგელინას დედისაგან; გარდა ამისა ანგელინა იმდენათ მფრთხალი და უმოქმედო არის, რომ ვერსად სათხოვრათ ვერ გაბედა მისვლა.

ის—პიმენ რას შეებოდა? ნუ თუ არ ეხმარებოდა მათ?

მე—სიძეთ დაიწუნეს, ანგელინას დედამ უარი უთხრა.

ის— შენ ხომ სთქვი, რომ აგელინას მამის სურვილი იყო, პიმენისათვის ქალის მიცემა!

მე— ეს უწინ. გაღარიბების შემდეგ ანგელინას დედამ, ოჯახის წამოყენების საშუალებათ, ანგელინას გათხოვება ჩასთვალა. ფიქრობს: ვინმე მდიდარ კაცს გავატან, მე მათ ვემსახურები და ასე სია-

მეში დავლევ სიბერის დღეებსო!—ფოტოგრაფი კი, გრძნობდა, ამ სიბერის დღეებს ვერ გაუტკბილებდა.

ის— საწყალი პიმენ!

მე— უარი ღრმა კვალს დააჩნევს პიმენს; ათეთრებს ღამეებს; ნერვები აეშლება და გზადაკარგულივით დაიწყებს უქმათ ხეტიალს, გულის ყურს ვერაფერს დაუდებს; ხშირად ანგელინა ესიზმრება. საწყალი, სიხარულით იღვიძებს... და ხელში დაგლეჯილი საბანი რჩება; საშინელი მოწყენა გამოუხრავს გულს, ადგება, ჩაიცვამს ტანთ და აცრემლებულ თვალებით დაუწყებს ცქერას იმ ქალის ფანჯრებს, რომელიც მას არ აღირსეს. ალიონზე დაბრუნდება სახლში, სახლი მოეჩვენება სამარეთ. აიღებს აპარატს და გასწევს ბაღისაკენ; მუშაობის დროს გაიხსენებს ანგელინას, გაიტაცებს ფიქრი და გადასაღებ სურათებს აფუჭებს; ზოგს მეტი მოსდის საღებავი, ზოგს-კი ნაკლები.

ამ გარემოებამ ცუდი ფოტოგრაფის სახელი დაუგდო ქალაქში, მუშტრები ჩამოცილდენ.

დღე და ღამეს ასწორებს: ღამით ლექსებს სწერს გარდაცვალებულებზე. და როცა სურათის გასადიდებლად მოდიან ჭირისუფლები, პიმენ იმ ლექსებს ქვეშ უწერს გარდაცვალებულთა სურათებს და მუშტრები ხშირად აღტაცებაში მოყავს.

თავის თავზე ნაკლებად ზრუნავს; ცოტას სჭამს, არავითარ გასართობებს არ ეტანება; გროშს გროშზე ადებს და აგროვებს.

მე მგონია, ის მხოლოდ იმ იმედით სცოცხლობს, რომ ოდესმე ანგელინა მისი გახდება; ძილში ბოდავს მის სახელს; ათას საალერსო სიტყვებს ეუბნება.

ერთხელ, სადღაც იშოვა მისი სურათი; როცა წვიმს და ბაღში ვერ გამოდის სამუშაოთ, მაშინ ანგელინას სურათს ათობით იღებს, ადიდებს და მეზობელ მეჩექმის ბიჭის ხელით უგზავნის ანგელინას; ბიჭს გასამრჯელოთ სურათის გადაღებას ჰპირდება.

ის — მშვენიერია! ჯერ-ჯერობით კარგათ მიდის შენი მოთხრობა; ვნახოთ შემდეგ!

მე — შემდეგ არც მე ვიცი რა ვქნა; შენ უნდა დამეხმრო, კრიტიკოსი ტყუილათ ხარ?!

მას გაეცინა და დაფიქრდა.

ის — შენ მაინც და მაინც გინდა რომ მოთხრობა პიმენის თვითმკვლელობით გათავდეს?

მე — კი. ის ისეთი ტიპია, რომ სრულებით არ პოულობს ჩემში თანაგრძნობას!

ის — არ შეიძლება, ასე მოხდეს? ანგელინა გათხოვდეს; პიმენმა შური იძიოს—ან აგელინა და ან მისი ქმარი ნოჰკლას!

მე — პიმენმა სხვა მოჰკლას? ის ბელურასაც ვერ დააღრჩობს, ცოფიან ძაღლსაც ვერ ესვრის ტყვიას!

ის — თუ ანგელინა ძლიერ უყვარს და უიმისოთ სიცოცხლე ვერ წარმოუდგენია?

მე — შურისძიებამდე თვითონ გაუსკდება გული და მოკვდება. დავფიქრდით

მე — მე მხვდება პიმენის მსგავსი კაცი ქუჩაში; ვკითხავ მას, რას იზამს პიმენის ადგილზე!

ის — რა კითხვა გინდა, რა მწერალი ხარ, თუ მაგის პასუხს ვერ გამოსძებნი....

ის — ნშვენიერი აზრი მომივიდა!

მე — სთქვი!

ის — ხომ შეიძლება, ანგელინა არ გათხოვდეს. რევოლიუციის შემდეგ კარგა ხანმა გაიარა; ის ახალგაზრდაა, იოლად შეისუნთქავს ახალ ცხოვრების სიოს; გაეცნობა ხალხს, გაიგებს რომ ნივთების გაყიდვის ან გათხოვების გარდა, სხვა რამითაც შეუძლია ქალს ცხოვრება.

მე — როსკიპობით?

ის — არა. რევოლიციის შემდეგ რამდენი ახალი ფაბრიკა-ქარხანა აშენდა; დაუშვათ, ანგელინას სახლის გვერდით ამუშავდა საქსოვი ფაბრიკა; ანგელინა ხედავს ფანჯრიდან, რომ იქ მუშაობენ მისი ნაცნობი ქალებიც; მაშინ ანგელინა უსათუოდ დასძლევს თავის მორცხვობას და იშოვის იქ საქმეს.

მე — შენ სულ გამიფუჭე ძმაო საქმე; მაშინ ხომ წაყვება ანგელინა პიმენს! განა არ გითხარ, ანგელინას დედა არ აძლევს პიმენს ქალს სიღარიბის გამო მეთქი?

ის — ნუ მაწყვეტინებ! ანგელინა ჯანსაღი და ლამაზი ქალია, ხომ?

მე — კი.

ის— პიმენი სუსტი და თანაც ძლიერ უშნო არის?!

მე — უფრო მეტიც, სამ კაცთან ვერ დაალაპარაკებ ერთად; გულჩახვეულია და იკვიანი.

ის — გარდა ამისა, შენ სთქვი, რომ ანგელინას სიმპატიები პიმენისადმი გამოიწვია ანგელინას კარჩაკეტილობამ, სხვა მამაკაცებთან გაუცნობლობამ.

მე — მერე მაგით რა გამოვა?

ის — აი რა; ანგელინა ფაბრიკაში მუშაობას დაიწყებს; იქ

ვარსკვლავებთან მოთამაშე ახალგაზრდა მუშები იქნებიან; მოძრაები და სიცოცხლით სავსენი.... ანგელინა ქალია, რჩევას დაიწყებს; ცხადია რომ არჩევანი უკანასკნელებზე შეჩერდება. ფაბრიკის ცხოვრებას რომ უფრო დაუახლოვოთ, ანგელინა, შეგიძლია კომუჯრედის კრებასაც დაასწრო. ერთ-ერთ კრებაზე წამოაყენე საკითხი ქორწინების შესახებ; ანგელინა დაინტერესდება; კრებას დაესწრება, ჯერ მორცხვად იქნება, თავს უხერხულად იგრძნობს, მაგრამ როცა დაინახავს, რომ მასავით ახალგაზრდა ქალი მოხსენებას აკეთებს და ისე თამამად მსჯელობს ისეთ საკითხებზე, რომელთა შესახებ პანსიონში ან სახლში გაფიქრებაც ეშინოდა, გათამამდება და შეეჩვევა.

მე — მშვენიერი აზრია!

ის — შენ დაასურათე ქარხნის ცხოვრება; დაანახვე მეგობრული ურთიერთობა, ამხანაგური დამოკიდებულება; აგრძნობინე, რომ ქორწინება ორი მოწინააღმდეგე სქესის თავისუფალი შეერთებაა; ქალის უფლება დაცულია და მამაკაცთან განშორების ჟამს მშიერ-მწყურვალი არ დარჩება გზაზე.

მე — იცი, გირჩევ დაანებო თავი კრიტიკოსობას და მწერლობა დაიწყო.

ის — თქვენ რომ ხართ, რას აკეთებთ! პირადათ შენზე არა... მაგრამ სხვები... თითო-ოროლა ლექსს დასწერენ და...

მე — ლექსებს პიმენიც სწერს; მაგ არ არის დიდი საქმე. საკითხია, რას სწერენ და რამდენათ ეგუებიან ჩვენს ცხოვრებას.

ის — მომისმინე; რომ გაამძაფრო პიმენის სიყვარულის ტრაგედია და დაანახო მას, მისი ყოველმხრივი არარაობა, ის მუშა, რომელსაც ანგელინა შეიყვარებს, თვითონ ანგელინა და პიმენი ერთათ შეჰყარე სადმე; შემდეგ მოახერხე და მუშის რამე მოქმედებით აღუძარი მძაფრი სიძულვილი ანგელინას პიმენისადმი.

გავჩუმდით.

— პაპიროსი არ გინდა?

— მომეცი. დროა წავიდე.

გამოვემშვიდობეთ.

ნასიამოვნები ვარ; მოთხრობის სიუჟეტი თითქმის მზად მაქვს. მწერლის წუთებში ყველაზე უფრო საყვარელია შემოქმედების წუთები; როცა ფიქრობ მასალაზე და გრძნობ რომ დასწერ მას; მაშინ გიხარია და უჩვეულო ძალას გრძნობ; დაწერის შემდეგ ის შენთვის არ არსებობს.

გაბოროტებული დავდივარ; ვერ მოვიგონე, სად შეიძლება შეხვდენ მოთხრობის სამივე გმირი ერთმანეთს; ფაბრიკაში პიმენ არ დადის, თეატრი ჭირივით სძულს.

რა ვქნა არ ვიცი; მე ვგრძნობ, როგორ შესძულდება პიმენს თავისი მოქიშპე; ამ სიძულვილის გამოხატვა შეიძლება ასე; ანგელინას სახლი ბაღის პირდაპირ არის; ბაღში პიმენის ფოტოგრაფი სდგას.

შაბათ საღამოს, როცა მუშაობას ადრე აუშვებენ ხელს, შალვა (ახალგაზრდა მუშის სახელია) გამოაცილებს ანგელინას. ანგელინა ეტყვის:

— შალვა, შენი სურათი მომეცი, მინდა გაუგზავნო დედას სოფელში.

შალვა დაჰპირდება. ამ საუბარს ყურს მოჰკრავს პიმენი.

კვირა დილით შალვა შემოვა ბაღში ამხანაგებით და გაემართებიან პიმენის ფობოგრაფიისაკენ. შალვამ არ იცის პიმენის გრძნობები ანგელინასადმი. ისინი დადგებიან შორი-ახლო და სანამდე პიმენი აპარატს მოამზადებდეს, დაიწყებენ საუბარს:

— მაშ მალე გადავკრავთ შენს ქორწილში შალვა, არა?

შალვა გაიცინებს.

პიმენი გაიგონებს ამ სიტყვებს; ხელები აუკანკალდება, ცრემლი მოერევა და დაბარბაცდება; იგრძნობს, თითქოს გული ამოაცალეს; მრავალი წლის ოცნება და იმედი გაუნადგურდა. მზათ არის მივიდეს შალვასთან და უთხრას:

— ბატონო, თქვენ სახეზე ღიმილია; თქვენ გიხარიათ სიცოცხლე, ირგვლივ მეგობრები გახვევიათ, ლამაზი ხართ; სხვა უკეთესი ქალებიც შეგიყვარებენ, მე კი, ხედავ? ჩონჩხათ ვიქეცი, დავილიე, დავდნი დღე და ღამ მუშაობით, თავს არ უვლიდი, ცოტას ვჭამდი, ფულს ვაგროვებდი და მინდოდა ანგელინას ცოლათ შერთვა; მე მიყვარს ის, მე არ შემიძლიან უიმისოდ სიცოცხლე; დაჭრილ ნადირივით იგრიხება ტკივილისაგან ჩემი გული; მე მარტო ვარ ოკეანეში გადაკარგულ კუნძულივით, დამითმეთ ის ქალი, ბატონო!

პიმენი მზათ არის მოეხვიოს შალვას მუხლებს, მაგრამ სიტყვა ყელში გაეჩხირა, ნაბიჯები შეეკრა, გულის მომკვლელი მოწყენით შეხედავს შალვას; კანკალი აიტანს.

— იღებ სურათს თუ არა? დაუძახებს შალვა. პიმენ ატორტმანდება.

— კი... როგორ არა... ამ წუთში.

შალვა თმებს ისწორებს, ივარცხნის. ელვასავით გადაურბენს პიმენს ფიქრი: ის ამ სურათს ანგელინას მიუტანს; როგორ უნდა რომ ლამაზი გამოვიდეს! თავი მოაწონოს!

ღმერთო, ღმერთო.. მაგრამ არა, პიმენი ცუდ სურათს გააკეთებს, მახინჯს გამოიყვანს... ან და სულ არ გადაიღებს. საღამოს ნახავს ანგელინას და კიდევ შეეკედრება, ცდის უკანასკნელად.

შალვას მოუთმენლობა იპყრობს.

— ამხანაგო, დღეს გვაღირსებთ?

პიმენი ფართეთ გააღებს თვალებს და წაიდუდუნებს.

— დღეს... დღეს ქარია. სურათი ცუდათ გმოვა.

შალვა გაიცინებს.

— ქარი? ხეზე ფოთოლიც არ ირხევა, სულელო!

პიმენ უფრო დაიბნევა.

— მე... მე ავათ ვარ, დღეს არ შემიძლია მუშაობა, საღებავიც არ მაქვს. მე... შემიცოდეთ... ბატონო... შემდეგ...

7

ამ ფიქრის დროს ჩემი ყურადღება ნაღარის ხმამ მიიპყრო; მოვიხედე, კომკავშირელები სავარჯიშო ტანსაცმელით მწყობრად მოდიან.

მათმა დანახვამ გამომიყვანა უხერხულ მდგომარეობიდან.

აი როგორ შეიძლება შეხვდეს სამი გმირი ერთმანეთს:

საღამოს ბაღში ფიზკულტურის წრე მოაწყობს გამოსვლებს; შალვაც რასაკვირველია იქ მიიღებს მონაწილეობას; გამოსვლებს დაესწრება ანგელინაც; პიმენს გადაწყვეტილი აქვს ამ საღამოთი ანგელინას ნახვა; სახლში არ დახვდება, გაიგებს რომ ბაღშია, მონახავს და ჩურჩულით ეტყვის:

— ქალბატონო ანგელინა მე... მე... მე თქვენთან საქმე მაქვს! ანგელინა უპასუხებს:

— ჯერ არ მცალია, აი იმათ მინდა უცქირო! ხელს გაიშვერს სავარჯიშო იარაღებთან მოკლე შარვლებში გამწკრივებულ მოვარჯიშე ახალგაზრდებისაკენ.

პიმენი გაიფიქრებს:

— როგორ გამოიცვალა ანგელინა; ნახევრად შიშველი კაკების ცქერას მოჰყავს აღტაცებაში!

ვარჯიში დაიწყება; პიმენ კიდევ გაუმეორებს თხოვნას; ანგე-

ლინა პასუხის მაგიერ ტაშს დაჰკრავს, ხელს წაავლებს პიმენს და წინ გამოსწევს:

— შეხედე, შეხედე რა ტანადია, რა ლონიერი! როგორ უთამაშებს კუნთები მზის სხივებზე! მისი სხეული ბრინჯაოსაგან ჩამოსხმულ ქანდაკებას ჰგავს! შენ არ იცნობ მას პიმენ? მოდი წინ, რა დაგემართა? ყველას სჯობნის, ყველას, ვაშა შალვა, ვაშა! აღტაცებით შეტრიალდება და პიმენისაკენ მოიხედავს.

პიმენი დგას მოხრილი; ქვედა ყბა უთრთოლავს და თვალები უაზროთ აწყდება სივრცეს.

ანგელინა უეცრად აიმრიზება; თვალს მოაცილებს პიმენს და ხარბათ შალვასკენ გადაისვრის; მერე ისევ პიმენს დააცქერდება და დაცინვით ეტყვის:

— შენ გაქვს ისეთი ლონე? შეგიძლია ისეთი სიმძიმეები, ასწიო? აბა მაჩვენე შენი კუნთები! ის ქარხანაში უზარმაზარ ჩარხს აბრუნებს. შენ-კი... მობუზული წიწილა ხარ, გესმის! მომშორდი, მძულხარ!

— რა დაგიშავე? რა გინდა ჩემგან?

საყელოში ჩაკეცავს ოხვრას პიმენ, თავს ასწევს და დაინახავს; ანგელინა ეხვევა სიხარულით შალვას; პიმენს ნაბიჯები გაექცევა, თვალების წინ სივრცე აუთამაშთება და ლოთივით გაუდგება გზას.

8

ხომ ბუნებრივი იქნება ეს?

რასაკვირველია; შალვას გამჭრიახი გონება, მისი ამხანაგური და ხალისიანი გული მოაქცევს ანგელინას თავის გავლენის ქვეშ; შალვა ყველას უყვარს ფაბრიკაში; ყველა აღტაცებაში მოყავს მის მიერ გაუმჯობესებულ ჩარხს. ბაღში მომხდარი მოვლენა მთლიანად დაატყვევებს ანგელინას და დაანახვებს პიმენის სრულ არარაობას.

მე მჯერა რომ ანგელინა ფიზიოლოგიურ სიძულვილს იგრძნობს პიმენისადმი; მხოლოდ მისი გაფიქრება, რომ ჯანდაცლილ, გულჩახვეულ და ცხოვრება-მოწყეტილ ადამიანს დაუწვება გვერდით, მოჰგვრის მას საშინელ სევდას და ზიზღს.

9

მე უკვე წარმოდგენილი მაქს ასეთი ბოლო:

პიმენი მიდის სახლში კარგა ხნის ხეტიალის შემდეგ, ყველაფერი შეეზიზღება; არაფერი არ დარჩება ისეთი, რომელიც შესძლებს მის გახარებას; მეგობრები არ ჰყავს, ვის გაუზიაროს გულის ტკივილი?

შეაღებს ოთახის კარებს; დაჯდება საწოლზე და გარინდდება. უცებ წამოდგება, აანთებს სანთელს და დადგება სარკის წინ. გაიხდის შარვალს, ფრთხილად, ქურდულად დაზვერავს ოთახს, თითქო ეშინია ვინმემ არ დაინახოს; ხელის კანკალით ამოსწევს ნიფხავს წელამდე და ჩაიხედავს სარკეში.

გველნაკბენივით შეშრეოლდება; სარკეში გამოჩნდება წვრილი, ძველებათ ქცეული ხორკლიანი ბარძაყები; ჩაშავებული კანი აქა-იქ ბალნებით არის მოსილი, გარუჯულს ჰგავს.

მწარეთ გაეცინება, დაიმანჭება და შეეშინდება სარკიდან გამოსულ ორეულის.

სისხლი მოასკდება ტვინს, ამოიხრიალებს და გაბოროტებული მძლავრათ დაეჯახება სარკეს.

10

— რა ჰქენი, დაამთავრე მოთხრობის სიუჟეტი?

მკითხა მეგობარმა.

— დავამთავრე, მხოლოდ არა პიმენის თვითმკვლელობით!

— რატომ?

— მე გითხარი, თუ გახსოვს, პიმენის მსგავს კაცს ვიცნობ მეთქი!

— როგორ არა, კიდეც გინდოდა რაღაც გეკითხა მისთვის.

— ჰო, დღეს შემთხვევით წავაწყდი შემდეგ სურათს; ის მოდიოდა ჩვეულებრივ ნაბიჯებით, უეცრად შეჩერდა, ხელი აიქნია, შეტრიალდა და მიწაზე გაიშხვართა. პირიდან სისხლი გადმოსკდა და გაწუტეა სული.

3—4 მარტი.
1927 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა სოფელში

მოვშორდი ტფილისს, ჩემს ამხანაგებს,
დღეს სოფელში ვარ, თან ვფიქრობ ასე:
თუმცა შორსაა ჩვენგან ქალაქი,
მაგრამ მისი მზე აქაც ანათებს.
აქ, სადაც ძველად ვინმე-ოხერი
გლეხებს მათრახით მზეს უბნელებდა,
დღეს კომკავშირი კითხულობს ლენინს,
„—მზად ვართ“—ყვირიან პიონერები.
სოფელი შესდგა დღეს ახალ გზაზე:
მიწას ბურღავენ უკვე ტრაქტორით,
სოფლის ცხოვრებას ყავს მოდარაჯეთ
მახვილი კალმით ჩვენი გლეხკორი.
—„ეს დაწყებაა, უკეთესს დავსწერ“
მიმტკიცებს ერთი და ილიმება,
— „ახალ სოფელში“ თუ მომითავსეს,
წამახალისებს, კარგი იქნება“... .
ქოხ-სამკითხველო, კლუბი, თეატრი...
სოფელი ქალაქს კვალდაკვალ მისდევს,
ეკლესიაში არავინ დადის,
გადაავიწყდათ ღმერთი და ქრისტე.
შევდივარ კლუბში და მიხარია:
რა სულიც სცოცხლობს ეტყობა ყველას,
ვესაუბრები ახალ თემებზე
კომკავშირელებს და პიონერებს,
მოვშორდი ტფილისს, ჩემს ამხანაგებს,
დღეს სოფელში ვარ და ვფიქრობ ასე:
თუმცა შორსაა ჩვენგან ქალაქი,
მაგრამ მისი მზე აქაც ანათებს.
მიყვარს ქალაქი სიცოცხლით სავსე,
მიყვარს ქალაქი შრომის უბნებით,
მე ახალ სოფელს მაინც ვაფასებ,
მე მას ქალაქთან შევაუღლებდი.

ელიზბარ პოლუმორდვინოვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი მზე*)

ღამე როგორც დაძენძილი დროშა ისე ეშვება.

მელანივით შავი, უძირო და უშინაარსო. ბინდი ეკვრის მთებსაც, ტყიან გორაკებსაც და დაჩრდილულ ჭალებსაც. მთების თავზე პატარა ცაა გადმოწვენილი და ცა ფერადი ღრუბლებით გულსავსე კიაფობს ნელი სინათლით, ალაგ-ალაგ ღილებივით დაბნეულ ვარსკვლავებით.

თუ ნიავი აქროლდა, ოდნავ შეარხევს სუსტი ხეხილების შეფოთლილ ტოტებს, გამოწვეულ ხმაურს კი შთანთქავს ისევე სიწყნარე.

მთები, მუნჯი მთები, როგორც შავი, გრუზა თმიანი გოლიათები, მზრებზე იბჯენენ პატარა ცას და მის სიმძიმეს უსიტყვოდ იტანენ.

სიწყნარეა...

ვარსკლავი რომ სწყდება ცას წუთით კვალს ავლებს და ისე იძაგრება სმენა, თითქოს კვალთან ერთად ხმაურიც აეტეხოს.

უფრო ღრმათ, უფრო შიგნით ვაისმის ბუტბუტი.

გულამღვრეული, უწყინარი და ჭკვიანი, როგორც დედის უფროსი შვილი, მოდუდუნებს მტკვარი, იქ სადაც ავი ჭალა წაწოლილა მთების ჩრდილოში და მუდამ უძილო უსმენს ერთად-ერთ სიცოცხლის ნიშანს.

მტკვარი,—

რუხს, მუდამ სუფთას, მუდამ სველს კლდის ნატეხებს და უხვად დაგროვილ ქვებს კოცნით ხვდება, კოცნით ემშვიდობება.

მტკვარს,—

აქ რამდენჯერ უღალატია კალაპოტისთვის, წამომდგარა ნაპირებიდან და ავი ჭალა შეუწუხებია.

ამ ღამეში კი ავჭალა ისევე მშვიდია, როგორც მტკვარი.

---

*) რედაქციისაგან: ამ მოთხრობიდან პატარა ესკიზი „ორი მზის“ სახელწოდებით დაიბეჭდა ჩვენი ჟურნალის № 1-ში.

ბეუტავს ფანჯრებიდან ჭრაქების სინათლე და ოდნავ მოსჩანს ჭვარტლიანი სახე ქოხების.

და ღამე, როგორც დაძენძილი დროშა, ისეა დაშვებული.

თუ თორმეტი საათია, სადგურზე ზარი ახმაურდება სწრაფად, დაუსვენებლად და ისე გავრცელდება ხმები, თითქოს იყრება ოქროს ვაშლები ფოლადის ფსკერზე.

მერე, მოგუგუნდება მატარებელი ქშენით, ხვნეშით, დაღლილი, დაქანცული, მუოიანი, რკინისთავა და რკინისფეხება, შეჩერდება წუთით, დასვენებას ვერც კი მოასწრებს, ამუშავდება ისევ, კლაკნილად აედევნება მთების ხვეულებს და საკუთარი ღრიანცელით ჩაჰკლავს მტკვრის დუდუნს.

რჩება ისევ მთები, მთებში ავი ჭალა, გულჩათხრობილი მდინარე და ღამე, გადმოწვენილი პატარა ცით, ფერადი ღრუბლებით გულავსებული.

თან კი იცრიცება ბინდი, ნამთვრალევივით ფერწასული თვალს, ახელს დილა და გადაჰხედავს მწვანე მთებს, მწვანე ჭალებს, მწვანე ფერდობებს.

შარა გზა ყელსახვევივით სუფთა გადაიშლება წყნარად, მგზავრების მოლოდინში.

— ჰიი-მოო, გიშერავ!.. გადასძახებს მეურმე ხარებს და ურემს ზურგში ედევნება მტვერი.

საქონელი იშლება საბალახოზე. ცხვრის ფარა ბალიშებივით წვება მწკანე ფერდობებზე და შარა გზას კი, მათრახის შემოქნევის შემდეგ, გაჰყვება ცხენის ჭიხვინი და ნალების ბაკუნი.

თენდება მწიფე ქლიავის ფერად და იღვიძებს სოფელი, ღამით თითქოს არ არსებული, იღვიძებს ჭკვიანად, მორცხვად...

. . . . . .

ასეთი იყო ხოლმე ღამე და გათენება ავჭალაში, მუდამ, მრავალი წლის განმავლობაში;—

დღეს კი:

. . . . . .

ღამეა—პირბადედახეული, პატარა ცა, ავჭალასთან ელანთურების სინათლით აწეულია მაღლა და უხვად გაფანტული ბრჭყვიალა ნემსები იყრება ჭალებზე, მტკვარზე, ფერდობებზე.

მატარებელი მოგუგუნებს, დახვდება სინათლიანი მიდამოები და გახარებული კვილით მიაქვს თეთრი ღამის ამბავი, შავი ზღვისაკენ.

მტკვარი მოშხუის, თვისი გვერდებჩანგრეული ნაპირები აბრა-

ზებს ძლიერ და ეხეთქება კლდეებს, უზარმაზარ ქვებს მის გულში ჩაყრილს.

ხის ხიდები, მტკვარზე გადებული, ელნათურებით აჩირაღდნებული, ამაყად ამართულა და აერთებს ნაპირებს.

მოსჩანს არხები კლდიანი, უსწორმასწორო თაღებით და გვერდებზე დაყრილი მიწის გროვილებით.

თეფშივით გაშლილ მიდამოზე წამომდგარა მრავალი, ჯერ კიდევ შეუღებავი სახლები და განათებული ელექტრონის ულეველი ნაკადით ზურგშებრუნებული შესცქერის ღამეს.

გრძლად, სწორად და კლაკნილადაც გაყვანილია ლიანდაგები და ზედ განუწყვეტლივ მოძრაობს რონოდები.

ჯაგვებში შებმული ცხენები ეზიდებიან მძიმე ტვირთს და თვლების ჭრიჭინზე ამოძრავებენ თავსაც.

შორს, სადღაც კი, მთებში და მთების იქით მძვინვარებს ღამე, მძვინვარებს სიბნელე.

აქა-იქ, ჯგუფ-ჯგუფად და თითოეულადაც მოსჩანან ნაირ-ნაირად ჩაცმული მუშები და ყოველი მათგანი ხელში ნიჩბით ან ლომით ჩასც�ებია შავს, წყლით დაჟონილ მიწას.

ერთი წყება დაღლილი მუშებისა ეყრდნობა წერაქვებს, ლომებს, ცალი ფეხის მუხლში მოღუნვით და შესცქერიან მეორეებს, დასვენებულთ, განახლებული ძალით მომუშავეთ.

ზოგი მათგანი ეწევა გაზეთის ქაღალდში გახვეულს, მძიმე, ჩაშავებულ თამბაქოს. ისინი ვნებით, ჟინმოუკვლელი წყურვილით ეზიდებიან კვამლს ფილტვებისაკენ და უკან ამოშვებულს სინანულით აყოლებენ თვალს.

თანდათან უფრო ირკვევა მათი სახეები და როდესაც ელნათურების შუქი თავს იკლავს მზის ბასრი სხივებით, მაშინ, როგორც ხელის გულზე, ისე გამოკრთის ყოველი ხიდი, ყოველი მკლავი მოჭნეული წერაქვით ხელში და ყოველი ქვა გადმოვარდნილი ჩამოჭრილი ფერდობებიდან.

— მარჯვეთ, ბიჭებო, გათენებამ მოგვისწრო!

გაისმა მათში ხალისიანად და სწრაფად, ერთი მეორის მიყოლებით ამოძრავდა იარაღები დედა-მიწის ქვა-გულში.

— შეჩერდით, შეჩერდით, ამხანაგებო!.. ეგ კლდე ლომებით ვერ ჩამოინგრევა. წამოიძახა ერთმა, დატკეპნილ მიწის გროვილზე მდგარმა ყმაწვილმა და მღელვარედ ჩაიხედა ძირს, მტკვრის კალაპოტის ახლოს, სადაც რამდენიმე ათეული მუშა ლამობდა არხის გასაყვანად კლდის ჩამონგრევას.

შეჩერდით, აქ ისევ ლაღუმია საჭირო. წარმოსთქვა მეორედ და ოდნავ დანაოჭებული შუბლი მოღუშა. ჩააკვირდა საგვირაბოთ ჩამონაჭერ ხაზს.

მუშები შეჩერდენ. თითო-თითოდ გამოდიოდენ შიგნიდან და მტკვრის ნაპირთან რომ მივიდოდენ უხვევდენ მარჯვნივ ბილიკით მაღლა ამოსასვლელად. ყოველი მათგანი იყო მშვიდი, მძიმედ მოსიარულე და სუნთქავდა გულის მთელ სიღრმემდე. ყველამ შეხედა მათ წინ მდგარს, შავთმიან და შავთვალება კაცს, რომელსაც ჯერ კიდევ თვალი ვერ მოეშორებინა კლდოვან ადგილისაგან.

მის სახეზე ძარღვები ოდნავ გამოჩნდა. თითქოს ძნელად დააშორა ბაგე ბაგეს, წარმოსთქვა ერთი სიტყვა:

— მოამზადეთ!..

და ისევ მის სახეზე ღრმა, საქმიანი სიმშვიდე დამყარდა.

რამდენიმე მუშა წინ წამოიწია. იარაღი დაჰყარეს იქვე და ჩაირბინეს ქვევით.

კლდეს ძირში ლაღუმი ჩაუწყვეს. გაიყვანეს პატრუქი და მცირე ხნის შემდეგ, პატრუქში უკვე მიიკლაკნებოდა ცეცხლის ნაპერწკალი.

წუთიც, და გაისმა აფეთქების ძლიერი ხმა.

ავარდა ჰაერში შავი კვამლი და მხოლოდ მაშინ, როდესაც კვამლი შეთხელდა, გამოჩნდა ატყორცნილი ქვები, მაღლა აფანტული მიწა.

კვამლმა დაჰფარა გარემო ადგილი, დროდადროით მაღლა ატყორცნილი ქვები ცვიოდა უკან და საარხე თხრილში კი, ბრძოლაში დაღუპულ ნადირივით ეგდო გვერდებ ჩამონგრეული კლდის უზარმაზარი ნაწილი. იმავე დროს სიღრმიდან გადმოხეთქა მღვრიე წყალმა, გადაირა აფეთქებულ ნანგრევზე და შეუერთდა მტკვარს. თან მიათრევდა ღორღს, ქვებს, ატალახებულ მიწას.

კლდე ჩამოინგრა. გადმოხეთქილი წყალი უკვე ოდნავ მოდიოდა. სილით და ტალახით დაიფარა გზა.

— აბა, ეხლა თხრილი უნდა გაიწმინდოს. მოკლე ხანში ჰაუზის შენებას უნდა შეუდგეთ. წაილაპარაკა ხმა-მაღლა და გადაჰხედა ყველას, რომელნიც მძიმე სიარულით წამოიშალენ და ჩაეშვენ თხრილისაკენ.

ამუშავდა ისევ ნიჩბები, წერაქვები, ლომები. ამოძრავდა ურმები და პატარა რონოდები დატვირთული გადასაყრელი მიწით, კლდის ჩამონამტვრევებით.

და ასე, ათასი მარჯვენის, ათასი გულის და ასიათასი კუნთის მოძრაობაში დაილია ღამე, როგორც ერთი ხელადა ღვინო.

ცა კი გაიზარდა. განათდა. ადუღებული ოქროს გულივით გამოჩნდა მზე და დაანახვა ყველას საკუთარი ძლიერება.

— დაიცა მზეო, ტფილისი ავჭალაში მზეს იშენებს!..

ჯ ა ვ ა რ ი

მატარებელი ერთი წუთით გაჩერდა, იქ, სადაც, აწერია „ზაჰესი," გადმოვიდა ბევრი. აიშალენ რონოდების საფეხურებთან და ვიდრე ორთქმავალი ბორბლებს აამოძრავებდა ჟრიამული იპყრობდა სმენას. მერე მისწყდა ხმები და სასტვენის კივილი გაჰყვა ლიანდაგს.

ჯავარმა მძიმე ნაბიჯებით ჩამოსთვალა რონოდის საფეხურები. მას აცვია ტყავის ქურქი. გამოიცქირება მხნედ და სახის ნაკვთები დაძაგრული აქვს.

დაბრუნდა ტფილისიდან. ჯიბეებში ხელებ-ჩაწყობილი მიაბიჯებს ნელა, თავდახრილი, თითქოს არავის დანახვა არა სურდეს. გახვეულია ფიქრებში. მის ყურადღებას ვერ იპყრობს, ვერც აჩოჩქოლებული ხალხის ჟრიამული, ვერც ორთქმავალის შორი კივილი.

მტკვრის ნაპირს მიუახლოვდა. მასზე გადებულ ხის ხიდზე ავიდა და მოაჯირს გადაეყრდნო.

გადაჰხედა მიდამოს. მძიმედ ამოისუნთქა.

მოიხადა ქუდი. ეხლა უფრო ნათლად გამოჩნდა მისი ნათელი თმები და ამ ნათელი თმების მარცხენა მხარეზე დაბადებიდან თანდაყოლილი თეთრი თმის ზოლი.

მისი თვალები ცასავით ღრმა და უძირო იყო. მისი თვალები სავსე იყო დუმილით და ძლიერებით.

გადაჰხედა გადაშლილ მიდამოებს, სადაც ირეოდა შავი წერტილები.

— ჩვენ შევძლებთ!.. შევძლებთ!.. წარმოსთქვა თავისთვის და ბაგეები ისევე მტკიცედ დააკრა ერთმანეთს.

გარინდდა. წარბებით თვალები დამალა.

მიეცა დუმილს და ისე, თითქოს წარმოთქმული სიტყვების შემდეგ ჩაიხედა საკუთარ გულში, საკუთარ სულში, საკუთარი ნებისყოფა გადასინჯა და, როდესაც დარწმუნდა მის არსებობაში, გამოიხედა ისევე გარეთ, საკუთარი სხეულიდან ისევე გარეთ გამოვიდა.

ხელის გულზე შუბლი დაასვენა.

მის გულის ბუტბუტს ებუტბუტებოდა მტკვრის ტალღათა ცემა, რომლის ხმებიც ძლივს აღწევდა მის სმენამდე.

ამ დროს მოისმა ხშირი გუგუნი.

რონოდების თვლები წარმოუდგენელი სისწრაფით ტრიალებდა რონებზე და კლაკნილ გზებზე დაშვებული მიჰქროდა. აღმართი, სწორე, თავდაღმართი ერთი სისწრაფით გადაიარა. ამასავე მოჰყვა სასტვენის სულში ჩამწვდომი და შეუწყვეტი კივილი.

ერთი წუთის განმავლობაში, როგორც ჩავარდნილი ვარსკვლავის ზოლი, ისე გადაიარა რონოდებმა ჯავარის გადატყორცნილი თვალების წინ.

— ო-ო-ჰ, მოსწყდა!.. მუხრუ-ჭი!.. მუ-ხრუ-ჭი!.. წარმოსთქვა მძიმედ.

თითო სიტყვა ცალკე გამოსჭედა, ცალკე ჩამოაყალიბა. მუშტები შეკუმშა. თვალების გუგები გაუფართოვდა.

და უცბად მტვრევა, მსხვრევა;—ხმები ტკივილის და ხმები საზარელი.

ნაბიჯები ერთმანეთს მიათვალა. საფეხურები გააქრო ფეხებქვეშ და ჯავარი მირბოდა, მირბოდა სანახავად, საშინელების სანახავად...

„სად მიდიხარ, სად?.. ფიქრობდა გულში.—იქ ხომ დაგხვდება სიკვდილი ერთი, რრი, ხუთი, ათი და მეტიც. შეჩერდი!.."

მაგრამ მუხლები იღუნებოდენ, იშლებოდენ, სჭრიდენ ნაბიჯებს.

მიირბინა.

ხედავს: რონოდები ერთი მეორეში შესულა;—ხედავს: დალეწილი ღია რონოდებიდან გადმოყრილა მიწა, ქვები, ცემენტი და ამ გროვილებიდან ამოუყვიათ ადამიანებს მკლავები, თვითონ კი არ სჩანან, უმწეოდ, ძლივს აქნევენ ხელებს, ჰკაკვავენ თითებს და ეს თითები გაიძახიან: „მიშველეთ, მიშველეთ!.."

მთავარი არხის ამოსაშენებლად ცემენტი მიჰქონდათ. მოსწყდა რონოდები მუხრუჭს, დაქანდა დაღმართში და ეხლა უკვე ეშველებიან დაშავებულებს, დახოცილებს!..

შორიდან კი გამოჩნდა ტალღასავით წამოშლილი ხალხი.

უცბად დაცალიერდა ფიცრული სახლები და ელვის სისწრაფით გარეთ გამოცვივდენ—

გამორბიან დედები, ცოლები, შვილები;—გამორბიან, რომ საკუთარი თვალით დაინახონ სიკვდილს გადარჩენილი შვილი, ქმარი, მამა...

მათი გულები წინ უსწრებს თვალებს, ფეხებს, მორბიან და ეძებენ თავისას, ეძებენ ძვირფასს.

— ცოცხალი ხარ, გადარჩი?!. მშვიდდება ერთი გული.

— შენც... შენც... მშვიდდება მეორე, მესამე, მეოთხე გული...

— მამავ, ლოყაზე სისხლი გადმოგდის, გტკივა?!.

— არა, მხოლოდ გული მტკივა, ხედავ ის ქალი როგორ გაჭკივის, მისი ქმარი რონოდის ქვეშ მოჰყვა.

— აგერ კიდევ, აგერ... იქაც სტირიან, იქაც... უჩვენებს ბავში თითით და ათრთოლებული ტანით მამას მუხლებზე ეკვრის.

ამ დროს მოულოდნელად, ყველასათვის ნაცნობი ჯავარი დინჯად შევიდა აჩოჩქოლებულ ხალხში.

სახის ნაკვთებში დამალული და ჩაფლული მწუხარება ულრღნიდა გულს.

ყველა სახეში მიაჩერდა. ყველა ელოდა მისგან მწუხარების ამოძახილს. ის კი უსიტყვო იყო. ჩამშრალი, ჩამწვარი...

მიჩერებული სახეები მის დუმილს წყრომით უყურებდენ. მათი თვალები შესჩივოდენ. ის კი უცვლელი და ურყევი იყო. მის თვალებში ღრმათ, მძიმედ, მაგრამ ჩაუძირავად ფრიალებდენ იმედის იალქნები.

მისი თვალები ამბობდენ:

— მძიმეა... მძიმეა... მძიმე...

გაიცა განკარგულებები.

გასუფთავდა ლიანდაგი.

დაწყნარდა ყველაფერი. დაიშალა ხალხი.

ჯავარის თვალწინ ხდებოდა ყველაფერი.

და რამოდენიმე ხნის შემდეგ ჯავარის თვალწინ ჩაიქროლა რონოდების მეორე წყებამ ხე-ტყითა და ცემენტით დატვირთულმა...

ბორბლების ხმაურმა და სასტვენის კივილმა თან გაიყოლა ჯავარის უცვლელი თვალები.

იდგა, გასცქეროდა მიმავალ გუგუნს და იმეორებდა გულში დაბადებულ სიტყვებს:

— ჩვენ შევძლებთ!.. ისევ იმოძრავებს კუნთები!..

პატარა თითები და ქმარი

— მამა მოდის, მამა!.. აღტაცებით წამოიძახა პატარა გივიმ და კარებში შემოსულს ფეხებში გაუგორდა.

მამამ ბავში ხელში აიყვანა და გადაჰკოცნა. პატარა ხელები შემოეხვია მის სახეს და ულვაშებზე ალერსიანად თითები გადაუსვა.

— ჯავარ, ჩამოხვედი?!. მიეგება ცოლი ქმარს და ხელის ჩამორთმევას აპირებდა, მაგრამ ჯავარი ისე დაღვრემილი იყო, რომ ვერ გაბედა მისი შეშფოთება.

— ცამეტი კაცი იმსხვერპლა, ცამეტი. წარმოსთქვა მწუხარედ და სავარძელზე ჩამოჯდა.

— არაფერია, ჯავარ, მერე რა უშავს?!. სამაგიეროდ რა საქმე კეთდება. აბა, გახედე შენ იმათ. დღითა და ღამით კუნთები მოძრაობაშია. დღითა და ღამით შრომობენ, აშენებენ. და ხალხი კი, რამდენიც გინდა. შენ თვითონ არ ამბობ, რომ ყოველდღიურად ასი კაცი მოდის სამუშაოს საძებნელად?!. თამამად უპასუხა ცოლმა, მერე მაჯაში ხელი ჩასჭიდა და ფანჯრებიდან სამუშაოებისაკენ გაახედა.

დიდხანს იდგენ ასე და გასცქეროდენ ნაცრისფერ სივრცეს, რამდენიმე წუთის შემდეგ კი სარეცელზე ისხდენ და სტკბებოდენ ძველი სიყვარულით.

— რატომ შენ კი არ გამოხვედი გარეთ გია, განა შენმა გულმა ტკივილი არ იგრძნო მომხდარ უბედურების გამო?.. შეეკითხა ჯავარი ცოლს და სიყვარულის ღრმა განცდით ჩააშტერდა თვალებში.

— მე ვიცოდი, რომ შენ ტფილისში იყავი და გული მშვიდათა მქონდა. უპასუხა გიამ და თავისი სახე ისევ ჩააკრო მის ძლიერსა და მძიმედ მსუნთქავს მკერდს.

მათი სიყვარული ზღვასავით უძირო და დაუცლელი იყო.

ჯავარის მხურვალე ტუჩები მის ხავერდივით მთრთოლვარე სახეს ვნებიანად ეკონებოდა და გაძარღვული ხელებით კი სთვლიდა მის მოყვანილს, ბროლივით ჩამოთლილს თითებს.

ამ დროს გაისმა გულშემატკივარი ტირილი ბავშის და ბავშის პატარა თითებმა მამის ულვაშები და დედის თმები მიმოსწია.

ეს იყო გია.

ის კარგა ხანს უცქეროდა დედმამის ალერსს და თვითონ განმარტოებით მიტოვებულს გული აუყუჩდა, ეტკინა, თვალები აუწითლდა. მასაც მოსწყურდა დედ-მამის ალერსი, კოცნა, დედ-მამის სიყვარულის განცდა.

— აქ მოდი, აქ მოდი, ჩემო ვარსკვლავო, რა გატირებს? ჩაისვა დედამ კალთაში.

— მეც მინდა თქვენთან. წაილუღლუღა გიამ და ქვითინი ამოუშვა.

ჯავარს ღიმილი გადაეკრა სახეზე. თავისი ძლიერი ხელი გადუსვა გიას სუფთად გადავარცხნილ თმაზე.

ეს იყო მათი ერთად-ერთი შვილი.

ეს იყო კვანძი, რომელმაც ორი სიცოცხლე ერთმანეთს გადაბა, შეხმატკბილებული სიყვარული დააგვირგვინა.

გიასაც, ისევე როგორც ჯავარს, თმის მარცხენა მხარეზე თეთრი ზოლი ჰქონდა თანდაყოლილი და მამის სიხარული უსაზღვრო იყო, რადგან პატარა გია მას წააგავდა.

— შენც ჩვენთან მოდი, შენც. წაელაპარაკა ჯავარი და დედას ხელიდან გამოსტაცა. თვითონ დაისვა მუხლებზე.

შემდეგ კი ისევ ტკბილსა და სანეტარო წუთებს განიცდიდენ, ისევ ალერსის ბადეში გაეხვივნენ.

ფანჯარასთან კი იისფერი ბინდი გადიშალა. მინებში გამოჩნდა ლურჯი სიწყნარე, ლურჯი მოწყენა მზის გამოთხოვებაზე; შორს კი მაინც მოსჩანდა მწვანედ დაჩრდილული მთები და ნაცრისფერი ჰორიზონტი, აქა-იქ ოქროსფერი ღრუბლებით განათებული...

ამ დროს ამოძრავდა ჰაერის ტალღები და ხანგრძლივი წკრიალი გავრცელდა.

მხიარული ხმები წამოიშალა ზარის წკრიალთან ერთად.

რამდენიმე წუთის შემდეგ მცხოვრებლებმა ბინებიდან გამოსვლა დაიწყეს.

ქმარი, ცოლი, დიდი თუ პატარა ყველა მიეშურებოდა იქით, სადაც ზარი რეკდა, გზაში კი მართავდენ ცოცხალსა და მხიარულს ბაასს.

ჯავარის ოთახშიაც შემოიჭრა ზარის ხმა. მათაც აცნობა ვახშმობის დრო. მთვრალებივით წამოდგენ, გადაიცვეს ტანთ და სასადილოსკენ გაემართენ.

გია მირბოდა წინ და თვალების ფშვნეტით შესცქეროდა ელნათურებს, რომლებიც ბრწყინვალე ნემსებს ავრცელებდენ ჰაერში.

— ჯავარ, გამარჯვება, დამიცადე ჯავარ. გულმოდგინედ მოესმა ზურგიდან ხმა და შემოტრიალებისთანავე შენიშნა ნოდარი, თავისი უახლოესი და უძვირფასესი ამხანაგი.

— მე სწორედ მაშინ ჩამოვედი, კატასტროფა რომ მოხდა. ვიდრე შეეკითხებოდა ნოდარი უთხრა ჯავარმა და ხელი ჩამოართვა.

— მე თვითონ დავესწარი უბედურებას. შენ სადღა იყავ?.. დაუმატა ისევ მან და სახეზე ისევ სიმშვიდე დაუმყარდა.

— წუხელის ღამე ვმუშაობდი; ავაფეთქე რამდენიმე კლდის ძირი. მთავარი არხი ექვსი საჟინის სიგრძით ჩავჭერით და ჰაუზის კედლების სიმაღლემაც საგრძნობლად მოიმატა. უპასუხა ნოდარმა, შავი ღრმა თვალებით მიაცქერდა ჯავარს მისგან რაიმე პასუხის მი-

საღებად, მაგრამ როდესაც ჯავარმა დუმილში გადიტანა მისი სიტ-ყვები დალის მიმართა.

— დალის სალამი.

— გაგიმარჯოთ... მოგშივნიათ?! ტკბილად წაელაპარაკა დალიმ.

— სრულებითაც არა, სიმშილი არ მაწუხებს, მე მიყვარს მხოლოდ აერიამულებულ ხალხში ყოფნა. მინდა რომ სულ მათში ვერიო. სასიამოვნოა, როდესაც უცქერი ადამიანებს, რომელთაც უშრომნიათ, შეუქმნიათ და მერე ყველანი ერთად მოდიან, სრულის უფლებით აღჭურვილნი, რომ აანაზღაურონ დახარჯული ენერგია. ერთად ნაშრომი თანასწორად გაინაწილონ.

— დღეს სამზარეულოში მე ვმუშაობდი. დღეს თქვენც და ყველა სხვაც მიირთმევს ჩემს მიერ გაფცქვნილ ქართოფილის ქაშას, რომ იცოდეთ როგორ მეტკინა თითები, მაგრამ ძლიერ მიხაროდა მუშაობა. ორმოცი ქალი და კაცი ვმუშაობდით ერთად და ყველას განაწილებული გვქონდა მოვალეობა. ყველა ჩაბმული იყო საერთო მუშაობაში და ამ მუშაობის დროს გაისმოდა ზოგის ღიღინი, ზოგის სიმღერა, არავის მოწყენილობა არ ეტყობოდა.

ჯავარი კი სდუმდა და ყურს არ უგდებდა მათ ლაპარაკს. საკუთარ ფიქრებს მისცემოდა ის.

ხვალ მის კაბინეტს მოადგება ცამეტი ცოლი, ცამეტი დედა, ცამეტი მამის შვილები და ცრემლიანი თვალებით შესთხოვენ შველას, შესჩივლებენ უბედურებას...

რა ჰქნას, რა ჰქნას მაშინ ჯავარმა?.. გული ხომ მთლად რკინად არ გადაექცევა, რომ არ იგრძნოს ტკივილი, თვალები ხომ შუშებად არ გადექცევა, რომ შიგ ნაპერწკლები არ აენთოს. რითი უშველოს? რითი დაამშვიდოს? რითი დააიმედოს მათი გატეხილი გული?!

ამ ფიქრებში ჩაბმული ჩამორჩა უკან და ვერც კი შეამჩნია თუ ნოდარმა და დალიმ, როგორ გაუსწრეს წინ. ისინი მხიარული ბაასით მიდიოდენ და დროდადროით ისმოდა მათი სიცილ-ხარხარი.

— აი მოვედით კიდეც. წამოიძახა ნოდარმა და გადახედა დალის.

— ჯავარი და გია სადღა არიან?.. უცბათ წამოიძახა დალიმ. მის ტუჩებზე ჯერ არ წაშლილიყო მისი კოცნის თბილი ნაკვალევი, მის გულში ჯერ კიდევ დუდუნებდა ხუთი წუთით წინათ აჩქროლებული ალერსის წყარო—სიყვარული.

— ჯავარი რად გინდათ?.. ჯავარი ვინ არის?.. სერიოზულად შეეკითხა ნოდარი დალის და ცივად ჩააცქერდა თვალებში.

— ქმარი!.. ვინ უნდა იყვეს... არ იცით განა?.. ისეთი ხმით უპასუხა დალიმ თითქოს საკუთრებას ართმევენო.

— ქმარი?!. მიკვირს, მიკვირს, რა არის ქმარი? როგორ მეჯავრება მე ეს სიტყვა. რას ნიშნავს ქმარი. ადამიანის დამამცირებელი სიტყვაა.

— რათა?.. რათა?..

აი, გაიხედეთ, დააცქერდით, დააკვირდით კარგათ. განა შეიძლება აქ ვინმემ სთქვას, ქმარი მყავსო. მესმის შინ, სადაც რაღაცის ძალით შეერთებული ორი ადამიანი ერთად სცხოვრობენ, იქ ითქვას ქმარი, აქ კი... დაამთავრა ნოდარმა სიტყვა და ერთხელ კიდევ მიუთითა სასადილოსკენ. ამ სიტყვების წარმოთქმის დროს თავის თავისთვის ძალა არ დაუტანებია, ამბობდა თავისუფლად და დაჯერებულად.

დალი ჩაფიქრდა. ბურანში გაეხვია. შეიპყრეს მისი გონება ამ სიტყვებმა. „რას ამბობს, რას“?.. ბუტბუტებდა თავისთვის გულში, იმ სურათს კი, რომელსაც ყოველდღე ხედავდა, უფრო ღრმად ჩასწვდა, უფრო მკაფიოდ დაეხატა:

„გრძლად გაშენებულ ოთახებში, რაც სასადილოს წარმოადგენდა, გამწკრივებული იყო მაგიდები, გადაფარებული თეთრი სუფრებით და ზედ ელაგა ჭურჭლეულობა. ათეული ქალ-ვაჟნი დადიოდენ მაგიდებს შორის და აწესრიგებდენ საჭმელ-სასმელს. მათ არ აძლევდენ ჯამაგირს. მუშაობდენ მორიგეობით და დალი ეკითხებოდა თავის თავს: „ვისთვის, ვისთვის მუშაობენ“?.. თითქოს თვითონვე პოულობდა პასუხს: „ერთმანეთისთვის, ერთმანეთისთვის“...

კარებიდან კი დაულეველად შემოდიოდენ ქალები, კაცები, ბავშები. იკავებდენ ადგილებს, ერთმანეთში ბაასობდენ, ინაწილებდენ საჭმელს და სთავაზობდენ ერთი-მეორეს. ყველაფერი უხვად ელაგა. რამდენიმე ასეული ადამიანი შემომსხდარიყო მაგიდების გარშემო, ისინი კმაყოფილების ღიმილგადაკრულნი შეექცეოდენ მათი ქმრების და მათი მამების შრომით მოპოებულს.

ეს წარმოადგენდა ერთ მთლიან ოჯახს, შრომის სიყვარულით ასე მჭიდროთ შეერთებულს და შეხმატკბილებულს.

— ხედავ, აქ ყველანი ერთნი ვართ, აქ ჩვენს შორის განსხვავება არ არის. ეს სიტყვებიც დაუმატა ნოდარმა და ბურანში გახვეული დალი გამოარკვია...

— მართლაც, ესეც ოჯახია!.. წამოიძახა დალიმ. გულში კი ფიქრობდა რომ აქ არ არის ქმრის ალერსი, ქმრის დამწველი კოცნა, შვილის პატარა თითები.

ჯავარი მოახლოვდა.

— მე მიცდით?!. შეეკითხა ორივეს.

— შენ გიცდით, მაშ, შენ გიცდით!.. გაბრწყინებული სახით უპასუხა დალიმ, გულში კი თამამად გაივლო: „მუდამ, მუდამ მახსოვხარ, მახსოვხარ და მიყვარხარ მაშინაც კი, როდესაც ერთ მთლიან საერთო ოჯახში ვარ შერეული, სადაც არ არჩევენ ქმარს, ცოლს, შვილს, სადაც ყველანი ამხანაგები, ცხოვრების და შრომის თანამგზავრები არიან...

ნაცნობი სახე

მეორე დღე ჩვეულებრივად გაალამაზა მზის ბრჭყვიალა სხივებმა. ბამბისფერი ღრუბლები ალაგ-ალაგ გაეკრენ ზეცას და გამოჩნდენ ისე, როგორც დაწყნარებულ ლურჯ ზღვაში თეთრ იალქნიანი გემები.

ოთახში სინათლის შემოჭრისთანავე ჯავარი წამოდგა. თავის კაბინეტისაკენ გაემართა.

კიბეებზე ასვლისას აივანზე რამდენიმე ათეული კაცი დაუხვდა. იქ იდგენ ახლო-მახლო სოფლებიდან ჩამოსული გლეხები, რომელნიც კარგა ხანია ელოდენ ადგილს და უბედურების შემდეგ შემთხვევა მიეცათ სამუშაო ეშოვათ.

ცამეტი ცოცხალი ადამიანი უნდა მიელო, ცამეტი მკვდრის სამაგიეროდ.

მათ დანახვაზე ჯავარს გულს სიბრაზე მოაწვა. ტკივილი ჯერ არ მორჩენილიყო და უკვე ჭრილობას ხსნიდენ.

მის მაგიდაზე დახოცილთა გვარების სია იდო. ჯავარი კითხულობდა სათითაოდ და თითოეულ გვარზე ცალ-ცალკე ჩერდებოდა, ფიქრდებოდა, რომ მთლიანად წარმოედგინა თვალწინ დაღუპული მუშის სახე და ვინაობა.

გადასთვალა ცხრა, ათი და მეთერთმეტეზე გაკვირვებით შეჩერდა.

— მოლარეც დაიღუპა?—მას რაღა უნდოდა შიგ?.. შეეკითხა საკუთარს თავს და რამდენჯერმე თავი გააქნია.

ამ დროს შემოვიდა ნოდარი. ჩვეულებრივი სიმხიარულით შემოაღო კარი, მაგრამ ჯავარი რომ ნაღვლიანი ნახა, მანაც სახე მოიღუშა და მიუახლოვდა მის მაგიდას.

ჯავარმა სალამზე თავის მაღლა აუწევლად უპასუხა.

— რას იტყვი?...

— საავადმყოფოდან მოვდივარ, დაჭრილები მალე გამოკეთდებიან.

— კიდევ?..

— სამუშაოებზე ხალხი მაკლია. მტვირთავები არა მყოფნის. როგორ მოვიქცე?

— მეტი არაფერი?

— არა...

— აივანზე მოგროვილთაგან ამოარჩიე ვინც მოგეწონოს და წაიყვანე.

— არჩევით კი კარგებს ავარჩევ. უპასუხა ნოდარმა და გავიდა გარეთ.

რამდენიმე წუთის შემდეგ მას ზურგში მიჰყვებოდა ათამდე ახალგაზრდა ბიჭი, რომელთაც ზურგზე სოფლიდან ჩამოყოლილი საგზლით სავსე ტომარები ეკიდათ.

ჯავარმა ტფილისიდან მოითხოვა ახალი მოლარე. მართლაც, მეორე დღესვე გამოგზავნეს და ჯავარის წინ რომ წარსდგა, მივლინების ქაღალდი ამოიღო და თავჩაღუნულს თვალწინ დაუდო.

— პარტიული ხართ?

— დიახ.

— ბინა მოგეცემათ აქვე. ხანდახან მოგიხდებათ განსაზღვრულ საათებზე მეტი მუშაობა. უნდა დასთმოთ ტფილისი მთლად. აქ სულ სხვა ცხოვრებაა.

— თანახმა ვარ.

— დღესვე ჩაიბარებთ სალაროს. გამომყევით.

ჯავარი წამოდგა და ახალი მოლარე გაჰყვა მას.

მთავარ ბუღალტერმა მიიღო თავაზიანად და მოვალეობის გასაცნობათ მცირეოდენი საუბარი გაუმართა.

— თქვენი სახელი?.. უკანასკნელად შეეკითხა ჯავარი და უნებურად ჩააცქერდა სახეში.

ვეღარ მოაშორა თვალები. როგორც ანკესზე აგებული თევზები ისე ჩარჩა მისი თვალები მოლარის ცქერაში.

— იადორი. უპასუხა მან და დაბლიდან ახედა ჯავარს, რომელმაც ამ დროს ქუდი მოიხადა და გამოუჩნდა ნათელ თმებზე თეთრი ზოლი.

— იადორი?! განცვიფრებული წარმოსთქვა ჯავარმა. იადორი... იადორი... იმეორებდა გულში ჯავარი.

— თქვენ, მგონი ჩემი ნაცნობი უნდა იყოთ. მინახავხართ სადღაც. ბურანში გახვეული წაელაპარაკა ჯავარი და უფრო დააკვირდა. იადორს კი თვალები აერია. გული აემღვრა. გაწითლდა. მან

თავის სიცოცხლეში მეორედ დაინახა ნათელ თმებზე თეთრი თმის ზოლი.

— არ მაგონდება მეც. ძლივს წაილუღლუღა იადორმა და თავი დაბლა დახარა, ვერ გაუძლო მის ცქერას.

ჯავარი კი თვალებს არ აშორებდა. ეს ძლიერ ნაცნობი სახე, ისე მწველად ეყოლება ნანახი, რომ სამუდამოდ აღბეჭდილა გონებაში.

ფიქრები მთებივით წამოიშალენ.

ფიქრებმა თავბრუ დაახვიეს ჯავარს, მაგრამ მაინც ვერ მოეგონა, თუ სად ენახა.

დინჯათ შემოტრიალდა.

ნელი ნაბიჯით მოშორდა მას.

კარებთან მისვლისას კიდევ გაჩერდა, თავი უფრო დაბლა დაღუნა და კიდევ ერთხელ წარმოიდგინა მისი სახე, მაგრამ მალე ხელი ჩაიქნია და გარეთ გავიდა.

მეგობრები

ნოდარი დაღლილი ბრუნდებოდა შინ. კმაყოფილი იყო თავისი დღევანდელი მუშაობით.

— დალი, დალი!.. გადმოიხედე ერთი. დაიძახა მან, როდესაც ჯავარის სახლს მიუახლოვდა. ფანჯარიდან დალიმ თავი გადმოყო.

— აი შეხედე შენს ბიჭს. რამ სიგრძე ანკესი გაუკეთებია. თევზების დასაჭერად მიდის. თან არ გადაჰყვეს.

დედამ ჯერ სალამი მისცა ნოდარს და შემდეგ კი გიას გადასძახა:

— მტკვარზე არ წახვიდე, გია, არ წახვიდე.

მაგრამ სწორედ ამ დროს ბავში ნოდარს ხელებიდან გაუსხლტა მუხლებში გაუძვრა და დაეშვა დაღმართზე.

— როგორ ბრძანდებით. არ მოგეწყინათ მთელი დღე უსაქმობა?..

— რათა გგონივართ უსაქმო. დღეს სამკითხველოში მუშაობა ჩემი ჯერი იყო და სწორედ ეხლა დავბრუნდი იქიდან.

— შეიძლება შემოვიხედო თქვენთან?..

— რატომაც არა. ჯავარი შინ არ არის!..

— ჯავართან კი არა, თქვენთან. ჯავარი მინახია დღეს.

— მობრძანდით. მხიარულად უპასუხა დალიმ და კარებში მიეგება.

შავი ღრმა და ვნებიანი თვალები ათამაშდენ დალის ვარდისფერ სახეზე.

მისი თეთრი მკერდი ათრთოლდა თავის თავად ახალგაზრდა

ყმაწვილის დანახვაზე და სრულიად უნებლიეთ აუჩქროლდა გული, როდესაც ერთმანეთის ხელი ეჭირათ.

სავარძელთან მიიპატიჟა.

მრავალმნიშვნელოვანად და ამავე დროს გულში ჩამწვდომათ უცქერდა ნოდარი.

თავის სურვილისამებრ შეაჩერებდა ხოლმე დალის თვალებს, საკუთარ თვალების წინ და ხშირად ხანგრძლივ სიჩუმესაც ჩამოაგდებდა, რომ მკერდების ხშირი ცემა უფრო მძლავრად ეგრძნოთ.

დალი გაკვირვებული უცქერდა.

ის ბურანში გახვეული იყო. როგორც ძილში ისე გრძნობდა თავს.

მარტოს, უცხო ვაჟი ჰყავდა ოთახში, რომელთანაც სალაპარაკო თემაც კი არ გააჩნდა.

— მე ძლიერ მინდა შენთან ლაპარაკი. შენ იმდენად მიზიდავ, რომ არ შემიძლია გულგრილად დავხვდე შენს გამოწვევებს.

დალი აკანკალდა.

გულში შიში შეეპარა. თვალების წინ თავიდან ფეხებამდე დაეხატა ძვირფასი ქმარი, საყვარელი ჯავარი.

— მიკვირს, რათა ხართ შემკრთალი. რატომ არა ხართ თამამი და საკუთარი ნების პატრონი?..

— თქვენ რა იცით?..

— გატყობთ.

ჩამოვარდა სიჩუმე.

— თქვენში რომ არ ვგრძნობდე ქალს, რაღაც სხვანაირს, თავისუფალს და თამამს არც კი დაგიახლოვდებოდით, განაგრძო ისევე ნოდარმა, როდესაც ნახა რომ დალიმ პასუხი არ გასცა. ასეც უნდა იყვეს. აი თქვენ, ყოველდღე ხედავთ დიდს, საერთო ოჯახს, სადაც ყველა მშრომელია და სარგებლობენ თანასწორი უფლებებით. ასეთ ოჯახში იბმება კავშირი ადამიანებს შორის. ადამიანები ერთმანეთისთვის ცოცხლობენ. აი, შენ, შენი ქმრისა კი არა ხარ, ჩვენი ხარ ყველასი, მარტო მას არ ეკუთვნი. მას არა აქვს უფლება წაართვას შენი თავი იმ საზოგადოებას, რომელშიც შენ სცხოვრობ.

— მართალია, მართალია... ძლივს წარმოსთქვ ადალიმ, ჯავარი არცა ცდილობს, ჩამომაცილოს მე ამ მოსახლეობის ცხოვრებას. დაუმატა ნელი ხმით და მის სიტყვებში კმაყოფილების ხმა გაისმა.

— ვიყვეთ მე და შენ მეგობრები. ისეთი ერთად ერთი ქალი, როგორიც შენ ხარ მინდა ჩემი მეგობარი იყვეს.

— მეგობარი?!. იქვიანად წარმოსთქვა დალიმ. რა ვიცი ღირს?.. ან რა საჭიროა. მაინც მეგობრები არა ვართ?!.

— ხო, იყავი ჩემი მეგობარი, მე არ შევხედრიავარ ისეთ ქალს, როგორიც მე მყავს წარმოდგენილი. შენ პირველი ხარ.

— კარგი. კარგია, წაიბუტბუტა დალიმ და ნოდარის გამოწვდილი ხელი რომ დაიკავა უცნაურად აენთო მისი სახე.

მაშინვე წამოდგა. ფანჯარასთან მივიდა და გაიხედა შორს, ბურუსისა და ფიქრების სივრცეში.

აერია გონება.

მისი წამწამების წინ იხსნებოდა ახალი ცა, უზარმაზარი ცა და ეს ცა იყო ხან ვარდისფერი, ხან ლურჯი, ხან თეთრი, თეთრი თოვლივით, ხან კიდევ ტყვიასავით მძიმე და ჩამოწოლილი.

ვერ შეამჩნია ჯავარის შემოსვლა.

ის უსიტყვოდ ჩამოჯდა სკამზე. გადაჰხედა ჯერ დალის, შემდეგ ნოდარს, რომელნიც სიტყვას ვერ იღებდენ და მერე ჩაიხედა საკუთარ გულში, რომ დაენახა, დაებადა თუ არა რამე იქვი, გაჩნდა თუ არა შიგ რაიმე ჭრილობა.

დალი გრძნობებმა გადასწვეს.

მისი ალისფერი სახე უფრო აილეწა. მიუახლოვდა ჯავარს და ალერსიანად შეეკითხა:

— რათა ხარ მოწყენილი, ჯავარ, რათ? გულში კი ეუბნებოდა:

— არაფერი არა ყოფილა, ჩემო ჯავარ, სრულებით არაფერი არა ყოფილა, მხოლოდ დავმეგობრდით, როგორც ადამიანები.

არ ესმოდა ეს ჯავარს.

არ გრძნობდა ამას ჯავარი. მხოლოდ ამ დროს მან უფრო ღრმად განიცადა დალის სიყვარული, უფრო ნათლად დაინახა მისი სიმშვენიერე.

დღე კი ნელი-ნელ ილეოდა. მზე იხრებოდა შუა ციდან მთების მწვერვალებამდე და თან მიჰქონდა სხივების წვიმა.

ეფინებოდა ჩრდილი ფანჯრებს, კედლებს, ჭერს, და იმოსებოდა ბინდით სახეები.

გაისმა ზარის ხმაც დაწყნარებულ ჰაერში და ისევ წამოიშალა ხალხი.

მიდიან ისევ საერთო დიდ ოჯახისაკენ, ისეთ ამხანაგებისაკენ, სადაც ყველა ერთმანეთს ეკუთვნის.

მაისის წყნარი და მშვიდი საღამო გადაიშალა.

გრილმა ნიავმა ჩამოურბინა გორაკებზე გადაშლილ ყვავილებს, მწვანე ბალახებს, პატარა ბუჩქებს და თან ჩამოიტანა საღი სურნელება.

სიმხიარულის ხმები აიშალა ყველგან და ლამაზი, მზიანი კვირის დასახვედრად ემზადებოდენ.

ერთი ნაწილი მუშებისა, რომელთაც იმუშავეს დილიდან საღამომდე დღეს იღებს ჯამაგირს.

— რამდენი გერგო, სანდრო. ეკითხება ერთი მეორეს.

— ოცდა ხუთი მანეთი.

— კარგა გრგებია. ეუბნება მეორე და თვითონაც მიემართება მისაღებად.

რამოდენიმე ხნის განმავლობაში ყველა კმაყოფილი ჩამოდის კიბეებიდან, მათ ხელში უჭირავთ ქაღალდისა და ვერცხლის ფული.

ახალი მოლარე მეტად დახელოვნებული გამოდგა. დიდის სისწრაფით არიგებდა ჯამაგირებს; რამდენიმე საათის განმავლობაში გაისტუმრა რამდენიმე ასეული მუშა და როდესაც დაამთავრა მუშაობა, წამოდგა, გაოფლიანებულ შუბლზე ხელი გადისვა და რამდენჯერმე ღრმად ამოისუნთქა.

— ძნელია?.. შეეკითხა ამ დროს შემოსული ჯავარი და თავისი თვალები კარგა ხანს დასტოვა მის სახეზე.

— მაშ, ძნელია!.. უპასუხა მან და არეული თვალები ძირს დახარა.

რაღაც გამოუცნობი აღშფოთება მასაც დაეტყო. სადღაც, გულის შორეულ ღრმა კუნჭულში ესაუბრებოდა დავიწყებული გრძნობა.

— ვერ მომიგონეთ?.. შეეკითხა ისევ ჯავარი.

— ვერ...

— ხოო, ვერც მე.. ჩუმი ხმით უპასუხა. გაჩერდა პატარა ხანს. შემდეგ უცბათ შემოტრიალდა და გაუდგა გზას. თან წაიღო ეს ოდესღაც ნანახი ნაცნობი სახე.

ქვევით კი ჯგუფად შეგროვილი მუშები მასლაათით სტოვებდენ ეზოს, მიემართებოდენ შინისკენ.

ზოგი მათგანი პირდაპირ ცოლშვილთან წავიდა, რომ თავისუფალი დრო მათთან ლხენაში გაატარონ, ზოგი კი გაუდგა მცხეთისაკენ, სადაც ეგულებოდათ ღვინის სარდაფი, სავსე ხელადები.

ბევრი მათგანი ჩამოვლილ რონოდებს ახტებოდა და რამდენიმე წუთის განმავლობაში ჩნდებოდენ ავჭალის ბოლოში, მცხეთის მახლობლად.

გზაში ხედავდენ მიდამოებს, რომელიც შეუწყვეტელად განიცდის თხრას, ნგრევას, შენებას.

მეორე ცვლა ჩვეულებრივი ხალისით და ძალით თავს დასტრიალებდა მტკვრის სანაპიროებს და ამავე მტკვარს ართმევდენ შტოებს.

დაბინდებისას ამ მიდამოებში აღარც ერთი გამვლელი არ სჩანდა, გარდა მუშებისა.

ყველანი ეძლეოდენ ლხენას, დასვენებას, ქეიფს, ზოგი სახლში, ზოგი სარდაფებში.

მათი მონაგები ანგარიშგაუწევლად იხარჯება ღვინოში და კმაყოფილებით სავსენი თვალების წინ ატრიალებენ სავსე ჭიქებს, რომლიდან გამოცლილი ღვინოც მათ სხეულში მძლავრად ამოძრავებს სისხლს.

ისინი იქ რჩებიან შუაღამემდე, შუა ღამის იქითაც, ჰკარგავენ ძალას, გონებას და მთვრალნი, გალეშილნი ბრუნდებიან უკან, რომ მეორე დღეს ისევ მტკიცედ ჩასჭიდონ ხელი ლომებს, წერაქვებს, ნიჩბებს.

თვალებარეულნი და გონებაგაბრუებულნი შორდებიან მცხეთის ბნელს, უსწორო ქუჩებს და ბრუნდებიან ზემო ავჭალაში ბარბაცით, უძილო თვალების ფშვნეტით.

მთელი ღამის განმავლობაში თითო-თითოდ და ჯგუფ-ჯგუფადაც, მხრებზე ხელებგადახვეულნი მოაბიჯებენ არეულ ფეხებს. ზოგი მათგანი ტკბილად და გემოიანად იგინება, ილანძღება, ისვრის დაურიდებელ სიტყვებს, თუმცა თითონაც არ იცის თუ ვის აგინებს. ან რად?..

ზოგი კი, მართლაც ენებიანად მთვრალნი, მხიარულება, სიამოვნება შესმულნი მოიმღერიან სიმღერებს ხრინწიანი ხმით, არავის ასიამოვნებენ, მაგრამ საკუთარი მღერით თვითვე სტკებიან.

როგორც დამხრჩვალი კაცის მოთქმა, ისე გაჰკივიან დაზეპირებულ სტრიქონებს:

ქალა-ქის გა-რეთ ერთ-სა უბა-ნში
ღა-რიბ ქოხში მე და-ვი-ბადე,
დარდიან გულ-ზე, თექვსმე-ტი წლი-სა
აგურ-ხანაში მივე-ბარე.

შინ მისვლისას კი მათ ხმაზე და ლანძღვაზე წამოხტებოდა ლოგინიდან ცოლშვილი და მთვრალი ქმრის და მთვრალი მამის შესახვედრად, მის ლოდინში ჩაძინებულნი, ეხლა ძილდამფრთხალნი ტუჩებზე ბურტყუნით უღებენ კარებს და უკმაყოფილოდ შესცქერიან აწითლებულ სახეზე.

— მიფლანგე სულ?.. მიფლანგე ფულები?.. ბრაზმორეული ეკითხება ცოლი ქმარს და უქექავს ხალათის ჯიბეს, ის კი შლის ხელებს, ატკაცუნებს ცერი თითით და ისევე გაჰკივის ვითომ საამო ხმით:

შრომის ხმაურში აურ-ზაურში...

მე შე-მი-ყვარდა აგურ-ხანა...

— აგურხანა შენ და შავი ჭირი. აყრის ქოქოლას ცოლი და ცდილობს როგორმე დააძინოს მაინც, რომ გინებას და ლანძღვას თავი დააღწიოს.

ღამე კი სულს ღაფავს.

ლურჯი და ვარდისფერ-ნარევი ცა ჩნდება ფანჯრებიდან შორს, მთებისა და ჰორიზონტის ახლოს, სადაც იზრდება მზე, ლურჯ, რბილ საწოლზე და თეთრ ფაფუკ ბალიშებს შორის, როგორც ახლად დაბადებული ბავში.

დ ე დ ა

გათენდა კვირა დილა.

ცაზე ისევ მზეა.

ისევ მაისის თბილი და საამო ჰაერი აშრიალდა ფოთლებში. გამოჩნდა ისევ თეთრი ღრუბლები და მწვანე მთები, მწვანე მიდამოები.

ადრე ადგა ნოდარი. თავისუფალია.

მთებისკენ უწევს გული.

თითქოს დაიღალა ძილით და დასვენება მოსწყურდა სადმე შორს, მწვანე ფერდობებზე.

გამოვიდა გარეთ.

ჯავარის ბინასთან მიირბინა.

იქ ეგულებოდა მეგობარი.

— დალი... დალი!.. გადმოიხედე.

ფანჯრიდან თავი გამოჰყო დალიმ.

პერანგის თეთრი არშია მკერდზე თბილად ჩაკრობილი, განსაკუთრებით გამოჩნდა. მარცხენა ხელი მკერდზე მიიფარა. მეორე ხელით გადმოვარდნილი თმის კონები გაისწორა. მას პირი ჯერ არ დაუბანია. არც სახისთვის მოუვლია, იმიტომ რომ კარგა ხანს ნებივრობდა ქმრის საწოლში.

— მობრძანდით, შემკრთალივით წამოიძახა მან და დამალა თავი მინების შიგნით.

ნოდარმა აირბინა კიბეები.

ჯავარმა გულში გაიცინა: „ისევ ნოდარი“ და ძლივს გაიღიმა.

— წამო, ჯავარ, მწვანე გორაკზე გავიდეთ... არ მოგწყინდა სახლი?..

— უდარდელი ხარ. დრო გინდა გააცდინო!.. მე ვმუშაობ. უნდა გამოვარკვიო როდის დავამთავრებთ მუშაობას.

— რა დროსია. გადასდე. საკმარისია ისიც რომ მუშაობა ასე გაცხოველებულად სწარმოებს.

— ეგ არ კმარა, ჩვენთვის საჭიროა მიზნის მიღწევა. დანიშნული დროისთვის სადგური აგებული უნდა იქნეს.

— ჯავარ, რომ იცოდე, როგორ არ მინდა, რომ მუშაობა დამთავრდეს. მე შემიყვარდა ჩვენი მოსახლეობა. აქ ვცხოვრობ და მგონია დამყარებულია კომუნა. მგონია ყველგან ისევე სცხოვრობენ, როგორც აქ. ხომ ხედავ ყველა შრომობს. ყველაფერი საერთოა. მე შემიყვარდა ასეთი ცხოვრება, შევეჩვიე მას და არ მინდა შემიწყდეს იგი. როცა გამახსენდება, რომ ჩვენს იქით ყველაფერი უცვლელია და ოჯახები ერთმანეთს გაურბიან, სიბრაზე მაღრჩობს.

მე მეჯავრება ტფილისი, მეჯავრება ყველა ქალაქი, იმიტომ რომ იქ ისევე, როგორც წინათ აშკარად ვაჭრობენ. არა, ჯავარ, მე არ მინდა რომ მალე დამთავრდეს მუშაობა, სულ ასე მინდა გრძელდებოდეს.

— ეგ, თავის მოტყუებაა. ეს არ არის კომუნა. ჩვენ შრომას მაინც ფულით ვყიდულობთ.

— ავაგებთ ელექტრო-სადგურს და დაუბრუნდებით ისევე ქალაქს, ვაჭრებითა და უსაქმურებით სავსე ქალაქს. მოვწყდებით აქაურ ცხოვრებას. ამ სიტყვებზე ნოდარმა წყენისა და გულისწყრომის ნიშნად შუბლი დაინაოჭა, წარბები ერთმანეთს დაუახლოვა და კბილები კბილებს მტკიცედ დააკრო.

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

ხმას არავინ იღებდა.

ნოდარი ჯავარს უყვარდა ძლიერ. ამ მოსახლეობაში გულთან მასზე უფრო ახლო არავინ მიუშვია.

— წამოდი. წამოდი. სულ ერთია მიზანი შორს არის. მიზნის გზა შეიცვალა. არც სისხლის დაღვრაა საჭირო და არც ოფლის. როდისმე ხომ მივაღწევთ სასურველს.

ჯავარმა უსიტყვოდ უარი უთხრა. არ უცქეროდა სახეზე. გაურბოდა ლაპარაკს.

— მაშ დალი წამოვა. ხომ აქვს მას უფლება, რომ უშენოდ წამოვიდეს?

ჯავარმა მხრები აიწია.

მას მართლაც არ შეეძლო სიამოვნება აეკრძალა თავის საყვარელ არსებისათვის, მაშინ, როდესაც თვითონ იკლებდა მას.

დალიმ მხრებზე შალი გადაიგდო. მიჰყვებოდა მაგრამ თვალები მაინც ჯავარზე რჩებოდა.

უნდოდა ეკითხა:

— „ხომ არ გწყინს, ჯავარ, რომ მივდივარ“,—ვერ ბედავდა წარმოთქმას, მაგრამ, გულში კი იმეორებდა:

— „ხომ იცი, როგორ მიყვარხარ, ჯავარ, ხომ იცი!“

და დალი მხარდამხარ მიჰყვებოდა ნოდარს. გზაში ისმოდა ხან სტვენის, ხან სიმღერის ხმა და დალიც თანდათან ივიწყებდა, რომ იყო ჯავარი, მისი ქმარი, მისი შვილის მამა...

გორაკზე ავიდენ.

გადაშლილი იყო ასკილის ყვავილები, და პატარ-პატარა ბუჩქები, რაც ავრცელებდა ნოყიერსა და სასიამო სურნელებას.

გორაკი, მწვანე ბალახით დაფარული ხავერდივით სუფთა და რბილი იყო.

ჰქროდა მთის საღი ჰაერი და დალის ულიტინებდა საცხე მკერდს.

ჩამოსხდენ ბუჩქის ძირას და კარგა ხანს შესცქეროდენ გადახსნილ სივრცეს, საიდანაც მოსჩანდა, ხიდები, მტკვრის ნაცრისფერი არშია, შენობები და ბუზებივით არეული ხალხი.

შემდეგ დაღუნეს თავები.

ერთობოდენ უსიტყვოდ.

ჰფურცლავდენ მინდვრის ყვავილების ფოთლებს, ბალახის ფურცლებს.

ალიღინდა ნოდარის გული.

მის ძარღვებში უცნაური ჩქრიალით ამოძრავდა სისხლი. დაუწყლიანდა თვალები.

ზღვის ტალღებივით მოაწვა გრძნობები. ყურში ჩასჩურჩულებდა სიმღერას:

„ფერად ოცნებით ვმღეროდი,
ყვავილებს დავთამაშებდი,
შენგნით დაკარგულ საყურეს
ბალახებს შორის ვეძებდი“...

დალი გაბრუებული ისმენდა.

უაზროდ ჰფურცლავდა ყვავილებს და ჰგლეჯდა ფესვიანად.

ნოდარმა ხმას მოუმატა.

ერთმანეთს მხრები მიაკრეს და ცოტა ხნის შემდეგ კი დალის სახე მის მკერდს ჩაეკრო.

დალის გული სცემდა ძლიერად.

პერანგის თეთრი არშია თრთოდა თეთრ მკერდზე და გამაბრუებელ სიამოვნებად ესმოდა:

„ფე-რად ოცნე-ბით ვმღე-რო-დი“...

უცბათ, სრულიად მოულოდნელად გორაკის მეორე მხრიდან გიამ ამოჰყო თავი. მას გაეხარდა დედის დანახვა.

სწრაფად მიირბინა, თანაც სიხარულით გაიძახოდა:

— დედა!.. დედა!..

დედა გამოერკვა. თვალები აერია, ბურუსიანი ცქერით ძლივს არკვევდა შვილს.

— აქ რა გინდა?..

— ყვავილებს ვკრეფდი...

— ყვავილებს?!.

— დედა, ეს ხომ მამა არ არის?..

— ეს ძიაა!

— მერე, ძია ხომ მამა არ არის?!.

გიას მოაგონდა დედ-მამის ალერსი სახლში, მხოლოდ ეს იყო დედის მამასთან, ეხლა კი დედა ეალერსებოდა სხვას, ვიღაც ძიას.

— მერე რა გინდა?..

— არა დედა, ეს ხომ მამა არ არის, ეს ძია არის!..

და მეტს ვერაფერს ეუბნებოდა ბავში. უცქეროდა ხან ერთს, ხან მეორეს.

დალი უარესად შეშფოთდა.

აემღვრა გული და გონება.

აემღვრა თვალები.

წამოხტა ზეზე.

გადახსნილი ღილები შეიკრა სწრაფად. გაისწორა თმები, კაბა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაეშვა დაბლა, შინისაკენ, ქმრისაკენ.

აღარაფერი არ ესმოდა. აღარაფერს გრძნობდა.

მირბოდა და მის ყურებში გაჰკიოდა მხოლოდ ეს გამაბრუებელი სტრიქონები:

„შენგნით და-კარ-გულ სა-ყურეს
ბალა-ხებს შო-რის ვე-ძებ-დი“...

დღე გადაგორდა სპილენძის შაურიანივით და ჩაიკლა თავისში თვისი ხმაური, თვისი ტკივილები.

ჯავარის ფიქრები კი გაიზარდა, როგორც ზღვაში ნაპირს მოშორებული გემი და მთელი გონება აავსო, დაიკავა. მის გულს და ტვინს რაღაცა ღრღნიდა, რაღაც აწუხებდა; თითქოს ვიღაც შევიდა მის წყნარს, დალაგებულ გრძნობებში და მთლად არია.

საკუთარ თავთან ეხლა ის მარტოა. არ გრძნობს არაფერს. არ გრძნობს ძვირფას ცოლს, რომელსაც ძილშიც ესიზმრება გიას ხმა და ბალახებს შორის დაკარგული საყურე.

გულზე ლოდივით დააწვა ღამე.

ძილი მის თვალებს არ ეკარება.

თვალწინ უდგას ნაცნობი სახე: შავი ღრმა თვალები, მოკაუჭებული ცხვირი და თეთრი, სპილოს ძვალივით თეთრი კბილები.

მოგონებები ბურუსიან სახეებში ეხატება თვალწინ.

მოგონებები მის სასთუმალზე იშლებიან და როგორც ეკრანზე ისე გადარბიან სურათები.

წარსული წარმოუდგა. წარსული თითქოს მეორედ განიცადა და მის ოთახში შეიცვალა ყველაფერი, დაჰკარგა თვისი ნამდვილი სახე.

ეს იყო ექვსი წლის წინათ. ეს იყო ასე:

მაშინ ჯავარი უფრო მხნე და უფრო ახალგაზრდა იყო.

მის მკლავების ქვეშ ადვილად იღუნებოდა ხორასანის ხმალი და ყოველი ქალი იღუნებოდა წადილში, მის თვალების ცაში თუ ჩაიხედავდა.

დალის გულიც მაშინ გატყდა ჯავარის სურვილში, ჯავარის ძლიერ ნებისყოფაში და ისევე ჯავარმა გაამთელა ეს გატეხილი გული.

მაგრამ ომი!...

სისხლის ღვრა ყველგან, სადაც კი იარაღი ჟღარუნობდა და ჯავარიც, მეომარი იცავდა საზღვრებს დიდი რუსეთისას.

გადირბინა სამმა წელმა.

დაიღალა მებრძოლი ჯარი. სალდათები უხასიათოდ ხვდებოდენ სიკვდილს და ხედავდენ სიმამაცის ამაოებას.

ერთხელ კი წითელი დროშა შეაქროლეს ზურგიდან ყველა ფორნტებზე და აბარეს თავისუფლება.

ეს იყო თებერვალში. თოვლიან დღეებში.

მაგრამ მაინც ომი, მაინც სისხლის ღვრა, მაინც სიკვდილი უმიზნო.

ჯავარი ფიქრობდა, რომ მტრის დამარცხება არაფერს მისცემ და თავისუფლების მოყვარულ ხალხს და უკვირდა, რომ პეტროგრადიდან მაინც მოდიოდა ბრძანებები:

— „ომი გამარჯვებამდე, ომი ბოლომდე“.

ჯარი დაიქანცა, დაიღალა. ისიმშილა კიდეც.

მოსწყინდა ომი. მოესურვა თავისუფალი ქვეყნის, თავისუფალი სამშობლოს ნახვა.

— ძირს ომი!...

— ძირს სისხლის ღვრა!...

— გაუმარჯოს ბოლშევიკებს!... ისმოდა ყოველმხრიდან და ფრონტზე, მილიონობით გადატყორცნილი სალდათები ყრიდენ იარაღს, თავს ანებებდენ ბრძოლას.

— ჩვენ არ გვინდა ომი; ჩვენ გვინდა თბილი სამშობლო კერა. ჩვენ გვინდა მიწა, ქარხანა, შრომა, გაიძახდენ სალდათები და მართლაც მათ უნდოდათ ქარხანაში მუშაობა, მიწის დამუშავება, იმიტომ რომ მათ მოენატრათ შრომა, შექმნა.

დაიძრა ასეული ვერსების სიგრძეზე გადაჭიმული ჯარები. დაიძრა, როგორც ოკეანეებში ძირგამდნარი ყინული და დაიწყეს დაბრუნება სამშობლო კუთხეებისაკენ, დედასთან, ცოლთან, შვილებთან.

მათ უნდოდათ მშვიდობიანი ცხოვრება. მათ უნდოდათ როგორმე მიეღწიათ სახლამდე და იქ კი გათბებოდენ საკუთარი მზით, საკუთარი ჰაერის სუნთქვით.

ამ ტალღებს, როგორც ერთი წვეთი წყალი ისე გამოჰყვა ჯავარიც, სავსე სიხარულით, სავსე ბედნიერებით, ტკბილი ოცნებით.

მაგრამ გზაში მოწოლილ ტალღებს ეღობებოდა ყველა, ვისაც კი სურდა ისევე ომი, ვისაც კი სურდა უბრალოდ ხალხის განადგურება.

— ეს მამაძაღლები რუსები არიან. გამორბიან, საფრთხეში გვაგდებენ, გვღალატობენ.

— რუსებია, მაშასადამე ბოლშევიკები. დააყრევინეთ ყველაფერი და ისე გაატარეთ ჩვენს ქვეყანაზე. გაიძახოდენ კავკასიის ხალხნი. გაიძახოდენ საქართველოში, აზერბეიჯანში.

ერთმანეთის სისხლი იღვრებოდა უბრალოდ და ბევრგან ფრონტებიდან მომავალ მატარებლებს აჩერებდენ, იარაღს ყრიდენ რუსებს, სომხებს ხოცავდენ, ანადგურებდენ.

ხშირად ჯარისკაცებით სავსე ვაგონებს უშენდენ ტყვიას, შიგვე ხოცავდენ შინისკენ მიმავალთ.

ჯავარიც მოჰყვებოდა ამ ტალღებს და გზაში განიცდიდა სიმშილს, სიცივეს, უბედურებას.

ერთ სადგურზე კი ორთქლმავალი შეაჩერეს. მემანქანე გადმოსვეს ხელებ შეკრული.

ტეპლუშკებს, დატვირთულს ჯარისკაცებით შემოარტყეს ალყა თოფებით, ტყვიისმფრქვეველებით და გადასძახეს:

— დაგვნებდით!.. იარაღი დაყარეთ!..

ჯარისკაცებ[illegible] ეგონათ ყაჩაღები. უნდოდათ გამკლავებოდენ. რონოდების შიგნით მოამზადეს კიდეც ბარიკადები და მოემზადენ სასროლად, მაგრამ შეკრთა მათი სიცოცხლის მოწყურებული გული.

ეს არ იყო პირველი. ასეთი შემადგენლობა მოჰქროდა ყოველდღე, ჩერდებოდა განჯასთან, იძარცვებოდა.

ეხლაც დაჰყარეს იარაღი. დანებდენ. მერე კი შეხტენ შიგ და დაიწყეს გადმოლაგება სომხების დასახოცათ, რუსების გასაჩხრეკათ, გასაძარცვათ.

— Ты русский?.. მიმართა ერთმა ჯავარს.

— Грузин...

— Врешь, не похож!.. Клади винтовку!.. მკვახედ მიაძახა წარბებამდე ჩამოფხარტულ შავ ფაფახიანმა ცხენოსანმა. შავი ღრმა თვალები გამონათდა გაფართოებულ გუგებიდან და ჩასწვდა გულის სიღრმემდე. მისი მოკაუჭებული ცხვირი, როგორც ცივი, ყინულიანი ქედი ისე გადმოიხარა. მსხვილ ტუჩებიდან სპილოს ძვალივით თეთრი კბილები, ერთმანეთზე მჭიდროდ დაბჯენილი მწვავედ გამოჩნდა.

— Я не расстанусь с винтовкой. 4 года воевал с этим.

— Нууу, твою мать!.. დაიძახა მკვახედ და ზედაც თოფი მოიქნია, კონდახი მძლავრად ჩასცა მკერდში. ღია კარებიდან გადმოვარდა ჯავარი ძირს და გონებადაკარგული გადაიშხლართა.

ის ვერაფერს ხედავდა. თვალებში კი აღებეჭდა მოკაუჭებული ცხვირი, შავი თვალები და თეთრი გამომწვევი კბილები.

იქით კი ასტყდა ხმაური. ხშირად გაისმოდა დაუდევარი სიტყვები:

— Бей. Коли. Брось оружие.

მერე კი, როდესაც დაამთავრეს დარბევა, ნაძარცვ იარაღს უყრიდენ თავს, კმაყოფილებით ილიმებოდენ და თანაც მგლებივით აცეცებდენ თვალებს.

ჯავარი ღონემიხდილი ეგდო.

ჯავარის აწვებოდა სისხლი ყელამდე. მას აბიჯებდენ სთელავდენ.

ჯავარი გასძარცვეს, სცემეს...

. . . . . .

მოგონებებმა მის სასთუმალზე, როგორც ეკრანზე ისე გადაირბინეს და წარსული ტკივილები გადაეხსნა უცბათ...

გულზე ლოდივით დაწოლილი ღამე შემოიმტვრია მკერდზე და არ მიეცა ძილს.

ნაცნობი სახე გაახსენდა ეხლა. მოაგონდა ყველაფერი. საკუთარი გრძნობებით განიცადა ხელმეორედ, მკერდში კონდახი, იარაღის აყრა, ძირს დაცემა, სიკვდილის პირი...

წამოხტა.

ტანთ ჩაიცვა.

მაგიდის უჯრა გამოსწია და გამოიღო მოლურჯო რკინის განიერ ტუჩიანი იარაღი. თითები ჩასჭიდა მტკიცედ და გავარდა გარეთ.

მიირბინა მოლარის სახლამდე.

დააბრახუნა.

გააღვიძა.

შევიდა შიგ.

— ვერ მომიგონე?.. შეეკითხა გამომცდელი ხმით.

ის კი ათრთოლდა. აკანკალდა. მოულოდნელი მოვარდნა შიშს ჰგვრიდა. აფართოვებდა თვალებს, ორივე ხელები თმებზე იტაცა.

— მე მოგიგონე!.. უთხრა ჯავარმა და მარჯვენა ხელი ასწია. რკინის ცივი ტუჩი თბილი შუბლის კედაროს დაუპირისპირდა. წამი და ცხელი ტყვია გაივლის შუბლში, შუბლს იქით ტვინში და ორად გახვრეტს თავის ქალას.

ჯავარის ხელი მტკიცედ ჩაჯდა იარაღში. თითის ოდნავი დაწოლა და...

ჯავარის გონებაში ადუღდა ტვინი. ცეცხლი უკიდია მას მლთიანად. იწვის. ალმური ასდის სახიდან, თვალებიდან, მკერდიდან. მას ჰგონია დაეცა კიდეც ჩახმახი და იკივლა ტყიამ ლულიდან, იკივლა ზუილით შუბლში, სიცოცხლეში.

აერია გონება. აემღვრა გული. მას ეკიდა ცეცხლი, ხანძარი. და გაახსენდა ერთი შენობა. ცეცხლწაკიდებული შენობა. მას ალმური ასდიოდა. იწოდა. ენთო, როგორც ალმოდებული ბამბა და წითელ ფერში აფერადებდა გარემო ჰაერს, სივრცეს.

და მაშინ ჯავარი უცქეროდა ამ ხანძარს. ხედავდა ის თუ ცეცხლისმქრობელი რაზმი როგორ აქრობდა მას.

ნახა ჯავარმა თუ ცეცხლის მქრობელმა რაზმმა როგორ ჩააქრო, დაადუმა ალი. მაშინ ჩაიფერფლა შენობა, მიყუჩდა, მიმკვდარდა.

სწორედ ამ შენობას წაგავდა ჯავარი. ყოველ ძარღვში მოძრავი სისხლი აჩენდა ცეცხლს, მაგრამ მერე კი წუთმა, რომ განვლო, ჯავარიც დადუმდა, ჩაქრა, მიყუჩდა.

ჩახმახი ისევ თავის ადგილას იყო.

ლულაც ისევე ცივი.

შუბლი უძრავი.

თმები ყალყზე მდგარი.

— რათ, რათა მკლავ?!. მოსჩანდა ვედრება მის სახეზე.

— არა, არა გკლავ!.. წაილაპარაკა ჯავარმა და მკლავი ძირს დახარა.

უცბათ შემოტრიალდა. ბნელს და უსწორო გზებზე მირბოდა მარტო, უკან კი მისდევდა ფიქრი დატოვებულ სიცოცხლეზე.

ოთახში შეირბინა.

იქ ისევ ეძინათ.

გიას პირისახეზე ნათელი ღიმი გადაჰკროდა და პატარა გულში დარდათ ჩაყოლილ სიტყვებს არეულად იმეორებდა:

— ძია ხომ მამა არ არის!..

დალის კი ტკბილად ეძინა. მის გონებაში გაისმოდა საამო ხმები ბალახებისა და საყურის შესახებ.

ჯავარმა რა იცოდა თუ რათ ეძინა დალის ასე წარმტაცად, რათ ჰქონდა ასეთი მშვენიერი და ანთებული სახე ბროლივით თეთრ ბალიშის საურზე.

ღამე კი შაქარივით დნებოდა ფანჯრებთან.

ჯავარის უძილო თვალებში იცქირებოდა გაცრეცილი ბინდი და მის მუდამ ნათელ თვალებს ამსგავსებდა ღრუბელნარევ ლურჯ ცას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შავა ცხოვია

(პოემა)

I

რეგეკას გარათი

— შორეული ქალაქში მეგულები მე გულო,
შვილო, იბედნიერე თუ სახელით ამაშენ!..
ბედნიერი დედა ხარ,-მეუბნება მე გული...
სახით ჩემო გოგონავ ემსგავსები მამაშენს.
იცი ძალზე ახველებს მოხუცებულ საბასა,
დღიდან დღეზე მოელის ქელეხობას სოფელი,
ახურია საცოდავს დაფლეთილი საბანი
ბოდავს სულებს წინაპართ, პირ დაღებულ საფლავებს.
ტანშიშველი ხეები ილუნება ზვინებით,
ველებიდან ველებზე ჩხიკვი გაიჩხავილებს;
ხან ლაშქარი ჩიტების ქოხებს შეეხიზნება,
ხან კი ქარი მიაფრენს ქარვისეულ ყვავილებს.
ნაჩალარი მინდვრები მდუმარებით მიმზერის,
რქებით მიწას ხარავენ ნიშა, ბულა ხარები;
გაიტენა სიმინდით ჩვენი დიდი მაღაზა,—
დაიყურსა ნაყოფით ბაღში ფორთოხალები.
და ჩეროებს კედელზე ღამით აღარ ეშვება,
იჭერს ლანდებს შენი და,—ძალზე მომციანარეა;
შენი სახელობის ხბო დედას ეთამაშება,—
მალე ხარი გახდება ხარობს მცენარესავით.
იცი გოგო, დედაშენს თმები აეშალარა
და ოხერი სიბერე ჩუმად შემოეპარა;
მინდა შენი გათხოვება აღარ დავაგვიანო,
მინდა ახალ ოჯახში იგრძნო თავი ნეტარად.
გოგო გიშერ-ნაწნავებს მოუარე ლამაზად
და იცოდე რუსულად ნუღარ გაიპარსები,
შენ ისეთი თმები გაქვს შეშურდება ავაზაკს,—

მკერდზე დალალ გადმოყრილს სახე გიალმასდება.
გოგო, შენი ქალობა მინდა ისე ვიხილო,
სამარეში საოცრად გაუხარდეს მამაშენს,
მინდა შენი ქორწილით თავი დავისახელო,
მინდა კარგი მზითევით გული აგითამაშდეს.
ჩემი დარიგებანი დიდხანს დაგეჭირება,
ერთხელ ვიღაც ყმაწვილი კარგიაო, მითხარი,—
ნუ ენდობი ნურავის თორემ დაგაჭორებენ
და მე ჯავრით მოვკვდები იქნე გაუხარელი.
ვიცი აღარ შემარცხვენ ისე გონიერი ხარ,
ტფილისელი ვაჟები ველარ მოგატყუებენ,
თორემ უბედურება შენზე გაიმერეხებს,—
მაშინ უკეთესია დაიხალო ტყვია გულს.
უბედური შოშინო, ჩემგან გაგიგონია,
როცა მოგიყვებოდი ცრემლით გაგუდებულხარ...
მაშინ უკეთესია მოიკიდო გენია,
ქალაქიდან ცოცხალი ნულარ დაბრუნებულხარ.
ვიცი, გაგელიმება ულრამატო ბარათით,
მაინც შორით გეხვევი, გულო, გულით მიმეკარ,
იყავ ასე ჯანმთელად ჩემო შვილო მარადის
ჭკუით ასიამოვნე,—დედა შენი რებეკა.

II.

მოთხრობა შოშინოზე

1

ღელავს ეზოში
ლურჯი ყანა
დღეს იღლიამდე
ზორბა ჭაბუკი
გოგო მამას
იქ ეხმარება,—
მალე, სადილი
მიუტანე,—
დაგაგვიანდა!
და ჩალის კონაც
დაუყარე
მშიერ ბუღა ხარს.

2

სარწყულით წყალი
ამოიტანე მოელვარეო,
შეკრთი, ქურდულად
თმებზე ჭაბუკი, რომ გეამბორა;
გულ მკერდზე დოქით
წყალი სიცილად შემოგაღვარა,
შემოგანათა,
თვალებში ორი მზე ჩაგიგორა.

3

შრიალებს ტყე და,
ფერად ბუნების რხევა გახარებს,
თეთრი გედივით უცდი საყვარელს
გულს იმაისებ;
გცვივა სახეზე ტყის ყვავილები
ცეკვა ხარხარით
და ნეტარების მოლოდინით
გული აივსე.
არ იცი რამე
სიხარულის და ტრფობის გარეშე
ასე გგონია
ყველა იცინის და დამტკბარია,
ვნებას არ სჯერა
სხვა კანონი და სხვა ანგარიში,—
მიყვები სისხლის მღელვარებას
გულ-ატბორებით.
მოგიახლოვდა გული—გიჟი, განამწარები
იწვი კოცნაში,
ტყის სიცილით მოთოვლილი ხარ,
უმანკო ვნებით
შეიღება ყვავილნარები
და ნაფუტკრალი ყვავილივით
მოთენთილი ხარ.
არ გიღალატებს
თუ ცხოვრებამ არ უღალატა,
ჭაბუკს უყვარხარ

ფეხშიშველა ლერწა შოშინო,
მზე გაგორებულს
ღამე გულში მოგეკალათა
და სიქალწულის ტკივილებიც
გიშოშმანდება.

4

გავიდა ხანი... ჩაქრა იმედი, მზე დაგიმარცხეს,
შენ შემოდგომამ მოკიტანა ეს ტკივილები,
მოგიკლეს გული, შენ გაწამებენ და შეგარცხვენენ
და შემატებულს ქოხში მშობლებიც აგაკივლებენ.
დარჩები მარტოთ ყველასგან თვალებ ახირებული,
თავს ჩამოიხრჩობ კვამლით გარუჯულ სახლის დირეზე
შენ განიზრახე ამ საშუალებამ მოგიღოს ბოლო,
აჰა! მარტოთ ხარ და ქოხის კარი შიგნით დარაზე.
სკამი გაიგდე... მაგრამ სიკვდილი აღარ გადროვეს,
შენ გნახე ბაწრით ქანაობდი გალურჯებული,
იკივლა დედამ, მოგეშველა ისევ ადრიან—
ყელგასისხლულმა ამოახველე გული ჯავრებით.

5

გეყოლა ვაჟი...
გეუბნებიან: უკანონოა
იგრძენი ბავშის სიყვარული
უძლიერესი;
ძვირფასო ქალო,
ვერ გადურჩები ასეთ მონობას...
შენ გაიღიმე:
იქნება შვილით კარგი მერმისი.
აღარ გადროვეს ქალო დედობა,
წაგართვეს ისიც,
თურმე ვიღაცა არის უშვილო
და ბერდებაო,
მიიღებს იგი...
და შენს მომავალს შებოჭავს ნისლი,
რომ დაგიბრუნონ
ყალბი, ქალწულის მდგომარეობა.

მშობელის მკერდზე
ლორთქო ძუძუებს შეუჩვეველი,
ღამით ვიღაცას
აივანზე ბავში დაუგდეს,
ქვითინებ, მაგრამ
„უკანონოა შენი ჩვილი“—
შენთვის ახალი ბედი მონახა
მოხუც დეიდამ.

6

გოგო უხვი სოფელი არის საბალმარვანი,
გეუბნები მომავალს შენი კარგი დეიდა,
ზუგდიდელი ბეჟანი ავსებული მარანით,
და რაც სიამაყეა,—ეზო-კარი მდიდარის.
დარდებს თავი ანებე. გული დაიშოშმინე,
შენ იღბალი გიღიმის სიხარული ორწილი.
ბეჟანს მოეწონები მშვენიერი შოშინო—
მალე ვიმხიარულებ შენი დიდი ქორწილით.
მიგათხოვებ გოგო, შენ, ვიცი იბედნიერებ,
უმადლოდე დეიდას შენთვის, რომ იწირება,
შენ მოგივა სანიშნო გოგო, მრავალნაირი
ქმარი ჩოხოსანი და ულვაშ შემოწერილი.

7

ბეჟან: აიშალნენ ძაღლები,
ღამის ხევას ბედავენ,
ხედავ, მოვათამაშებ
დაუდეგარ ბედაურს.
გოგო, შენთვის შარაზე
ვარსკვლავები დაყარეს,
შენ ჰარალეს გიმღერის
შერჩეული მაყარი.
გოგო სახე გაშალე
და სიცილი მახარე,
აისროლეს მაშხალა
შენთვის ახალახალი.
გავიარეთ ინგრევა
უკან გიჟი ენგური,—
ნისლი შემოიფანტე
გოგო, ბედს ნუ ემდური.

8

ლიარამდე: ვაჟო პირი იბრუნე, თვალში ნულარ მიყურებ,
ნუ თუ ასე გიზიდავს სახე ოქროს საყურით,
ხელში დაულალავად ვატრიალებ დაირას
არის ტაში, ტაში და უკრავ ნაირ ნაირად.
მომწონს შენი ცეკვა მე, რომ წრე შემოისახე,
მეტყვი: შემიბრალეო, ვიჭერ ჰა, შენ ცხვირსახოცს.
მღერის გუნდი ჩაგუნას... და ჩონგურზე მაირა
მეგრულ ლექსებს, ამღერებს, უკრავს ნაირნაირად.

9

ქეიფი: დიარაა გართული,
დაკლეს ბევრი ხარები,
მდიდარია ამ ღამით
მასპინძელი ღარიბი.
შავკედელზე იცინის
კერას აპრიალება,—
თეთრი ტანისამოსი
სახე ფერად ქალების.
ისმის ახლოს სიმღერა,
დაქორწინდა შოშინო,
სეფა მოწყენილია
პატარძალო უშენოთ.
თქვენ ჭისკარი გაუღეთ,
ჯებირები აყარეთ,
აჰა! სროლით, ქუხილით
შემოფრინდა მაყარი.
გოგო შემოიყვანეს,
ხვავში ოქრო ერიოს,
თქვენ პატარძალს უმღერეთ,
„კუჩხა ბედინერიო“.
ასდის ცხელი გოროთი,
ქოხს გაგუდულს, ისლიანს,
და ლოთები სუფრიდან
გატაცებას ისვრიან.
ვილაც გაყოყოჩებით
არის მთაზე მაღალი,

ირის სმაში ყოჩაღი,—
უყვარს აყალ-მაყალი.
„მერიქიფე დაასხი,
მე მუცელი მეშვება,
მიყვარს ასე ქეიფი,
ღვინით შეზარხოშება.
გოგო, შენი მზერითა
მეწამლება მე გული,
აჰა ჩემი სიმღერაც
გითავაზე მეგრული“.

10

მოხუცი ტოლუმბაში:

მე ოჯალეშის მეფეთ მიხილეს,
ძირს მთვრალი ხალხი როცა ეყარა,
ქეიფში მქონდა მუდამ სახელი—
ბევრჯელ ვყოფილვარ ასე მაყარად.
ერთხელ მურზაყანს ქონდა ნადიმი,
მე გულში მომხვდა, როგორც ეკალი,
მეტოქემ ღვინო ძირს, რომ ადინა
და თითქმის ხელში შემოვიკალი.
გათენებამდე გადაირევით,
ბევრი მარცხდება ჩემს ტოლობაში,
გჯობნით სმაშიც და გაშაირებით
თქვენი მოხუცი, დღეს ტოლუმბაში.
ოთხმოცი წლები სულს მიხუთავენ,
მახრჩობდა სისხლი სიჯიელეში,
ცხოვრება სმაში დავახურდავე
ბებერმა, როგორც ხე ოჯალეშის.
რა მსხვილი იყო ტანი ვენახის,
დიდი ხის შტოებს გადატევნილი,
ავსებდა ხარბად მამის საწნახელს
გორად ამდგარი ზვინი მტევნების.
გვიდუღდა სისხლი მარნის ქვევრებით,
ვმართავდით ქეიფს საგვარეულოთ,
და ღვინის ძალა ტვინში აღვრილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვახალისებდა ვით გარეულებს.
ახლა როდესაც ველურ ხის ხარდანს
ვუმზერთ გარუჯულს, სენით გალეშილს,
გახმა ძირეულ, ან გადაგვარდა
და ვსვამთ სამძიმარს ჩვენ ოჯალეშის.
თქვენ შეჯიბრების იქნებით წევრი,
ჩვენ ღვინო ბლომათ ხომ გვეშოვება
გათენებამდის დაწვებით ბევრი
ვინც კი ჩემსავით გაილეშებით.
და დილით ხიდან მე ჩამოვაგდებ
ერთი გასროლით ქათამს ბუმბულას,
ვთვრები ცხოვრებას არაფრად ვაგდებ
და საუკუნით ვარ გაგუბული.
გამომიცლია ცხოვრების თასი,
ველად მზის სხივებს ვჭრიდი ნამგალით,
ვარ ჩამოქნილი ვით ღვედი-თასმა,—
მე,—მთებში ხშირად ნააბრაგალი.
გავივსებ მუცელს გომბეშოებით
გახუნებული შავ ჩოხასავით
მოვიგრეხ ფიქრებს, როგორც ულვაშებს—
და მზეს გაუშვერ მკერდს ჩახავ'ებულს.
ხან მოგონება ოქროებს სჯობნის,
მამის მუცელი: ქვევრი და გუდა,—
გატაცებული ტახების ჯოგით
სვამდა და ნადირს დასდევდა მუდამ.
ბევრი ჩვენგანი ჩადგება ლაფში,
და თუმც სიბერე ყელში მაწვება,
მე ჯიელივით გავაჭენ ლაფშას
ცინცხალ დილაზე ვერცხლის ყანწებით.

11

დილით: პატარქალი შოშინო
ლამაზია
გვრიტივით,
იმორცხვება ზამთარის
შორეული
მზესავით

ვაქმა, შემოღამებამ
გული
აუტივტივა
უნდა მარტოობაში
ბეჟანს
ენათესაოს.

12.

დგას
ი ო რ დ ა ნ ე შუახნის
ულვაშ შემოგრეხილი,
მკერდზე ვერცხლის ქილები ალამაზებს ძალიან,—
„მიწავ მამა პაპისავ ბედმა კარგად გიხილა:
ცას მნათობი მოწყდა და შენი პატარძალია.
ვამბობ ბედნიერი ხარ ჩემო შვილო ბეჟანი,
ნშვენიერი შოშინოს ვერვინ შეედარება,
თაფლის თვე და ღამენი, უტკბილესი დროებამი
გულში შემოგეხევა საუცხოვო დარებით...
მამაჩემის
ღიმილი იყო მშვენიერება,
დედა შენი
მზითევით თუმცა იყო ღარიბი
მაგრამ უმანკოება, არის ბედნიერება:
როცა ქმარის საწოლზე მხოლოდ დაიღვარება.
ოდა სპილენძეული
ჩემო ბეჟან გეთმობა
სანავარდოთ, სატახტოთ
მეფე დედოფალისა
კარგად დაასაჩუქრე ტახტის დამლაგებელი
და შოშინოს ალერსით
გული გაიხალისე.

13

კესა: ჩემო, მოხუცო თოლი,
ჩემო, ერთგულო ქმარო,
ბარზე მოვიდა თოვლი—
ჩაგვიდგა გულში მთვარე.
ტაიპს უჭერდი აღვირს,

ახ, თუ დაბერდა კესაც,
გაიცხოველე ძარღვი
შენ აბედით და კვესით!
თაფლის ღამეებს ვშლიდით,
ვსვამდით სიყვარულს, ნეტა,
ახლა კი ჩვენი შვილი
ქალწულს ეხვევა ნეტარს.
ზეწარს ვიხილავ დილით,
ო! გავიხარებ თუ მან
კი ესახელა მანდილს—
შვილი მაჩუქებს თუმანს.
ჩვენ ბედი ასე ვკერეთ,
ასე დაბერდა გულიც,
ორივ უზივართ კერას,
ცვივა ნაცარზე ლული.

14

წარსული, როგორც ელვა, ქარცხენი,
გაირბენს,—ცრემლი ეფრქვევა საბანს,
უსმენ შოშინოს თვალებ დარცხვენილს
სიტყვასთან სიტყვას სლოკინით აბამს:
მომიკლეს სატრფო, და სანანოა,
სისხლით სერავდნენ მთების უღელხიდს,
როცა ლაშქარი ალიხანოვის
შფოთიან სოფელს კისერს უგრეხდა.

15

ცოლის უქალწულობა
ბეჟან ლოდათ
გეცემა,
მაგრამ იგი დაუთმე სახეს ამზეურებულს
მისი მკერდი გაშლილი
და თვალების
ციმციმი
სიყვარულის უნაზეს გრძნობით გეხმაურება.

16

მაგრამ დილით
იორდანემ,
რომ ასწია საბანი

და იხილა უსასხლოთ დედოფალის ზეწარი
ბრძანა: ბარგი, ბარხანით დაუბრუნეთ მამა მისს.—
ბრაზით გაგუდებულმა დაანთხია სიმწარე.
„ცოლი გაბახებული ბეჟან ნუღარ გინდება,
და რა საშინელია:
ბედი დაკარგულისა,
ნივთი უსარგებლოა
როცა გაგიხუნდება—
ვინც დაკარგა ნამუსი
სისხლი სიქალწულისა.

17

ბეჟან: ნუ აყვები სიბრაზეს,
და დაუთმე ის...
არ მოვიყვან მე სხვა მზეს—
მას ცრემლები სდის.
მამა თუ შენს გაიტან
წყდება ბედის თმა,
დაბნელდება მზე ლაიტის,
დამემსხვრევა მთა.

იორდანე: არა, არა ათასჯერ არის გაუგონარი
ოდამ სახელ-განთქმულმა
გაბახება იკადროს,—
მე ოჯახის მეფე ვარ, ჩაიკმინდე ხონარი!—
ქალმა ნამუს ახდილმა ყელი გამოილადროს.

18

შოშინო

შენ კი მირბიხარ უკეალო გზებით,
რისხვას და სირცხვილს გამოეპარე,
შენს გონებაში გადაწყვეტილად
ბნელი ზრახვები შემოიფარე.
ასე მორბიხარ,—ენგურის პირას
ცრემლ მორეული გეძებს ბეჟანი,
ბედკრულო ქალო მამის ეზოში
დაიწურება შენი დრო-ჟამი.

19

დალალ გაშლილი ვალალებით მხოლოდ დარდი ხარ,
ფიქრობ შეგრცხვება კუბოს ზარი, რომ მოგეხვევა,

უკანასკნელად ნაჩვევ ეზოში მწარედ დარბიხარ,
რომ ყოველ საგანს სიყვარულით გამოეთხოვო.
ადგია ჭალა შემოდგომის ჰაერტანილი,
რქებ მოგრეხილი ბულა ეზოში წევს სიამაყით,
გიყურებს ოდა ვით მწუხარება აუტანელი
და სიჩუმეში ზეცა უბედურთ ვარსკვლავებს გაყრის.
გადაიკრიფნენ დღეები, როგორც თეთრი გედები,
ოდეს დარბოდი მამის ეზოში შენ ფეხ შიშველა,
ცალიერდება შემოდგომით სავსე გიდლები
და მოგონების ტკბილი წარსულიც ველარ გიშველის.
შენ გელანდება სად დაიღვარა ქალწულის სისხლი,
მაისის ტყეში აყვავებული ბალახებს შორის,
გიყვარდა იგი, მას ღამეები თავზე დაესხა
ტყვეთ შეპყრობილი, მოგიკლა მეფემ, მზის სიშორეში.
ამ წუთში ფიქრობ შენთვის დაკარგულ საყვარელ შვილზე,
შვილზე, რომელმაც სრულებ არ იცის შენი დედობა,
შავი იღბალი, როგორც აჩრდილი თვალებში გიმზერს
და შენ შეშლილის ამღვრეული ალი გედება.
შესდექი სერზე, ზეცას ესროლე მზერა: მიშველეთ,
მშობლებს კივილზე, გაეზმორათ სიზმარეულად,
ჩაეშვი ჭაში, თან ჩაიტანე ღამე შიშველი...
და ამოსწურე შენი ცხოვრების მწარე რვეული...

III

შავა ცხოვიას

პახუხი, რებეკას: სატრფოს ფიქრებმა თუ იმთაბარა,
თუ მწერდი ერთხელ, როგორ არისო,
როგორც ქუჩების ძველი ავარა
ცხოვრებას ისევ იუარესებს.
დღეს რაღაც „ცოლი“ მეუცხოება,
და სიტყვა: „ქმარიც“ იქვებით მავსებს,
ხვალ რა ვიქნები შავა ცხოია,
რომ ჩარჩოებში არ მოვეთავსე?
ძვირფასო დედავ, ნულარ იჯავრებ,
გჯეროდეს მტკიცედ: აღარ შეგარცხვენ,
არა ვარ მიწა მე ხომ, იჯარათ
ქმარის მამულში, რომ ჩავერიცხო.

არ ვარ შოშინო ცირა მონობის,
მე გავეტაცე ახალი მზითა,
შენ საქორწინო ცერემონიებს
თურმე ფიქრობ და ამზადებ მზითევს.
შენ წერილებში ხშირად მარიგებ:
პირველი ღამეს, ქმართან დაწოლით,
ნუ შერცხვები და, თვალს ნუ მარიდებ—
უნდა იხილონ სისხლი ქალწულის.
მწერ: „მოუარე გიშერ ნაწნავებს,
რუსულად ნულარ აიქოჩრები“,—
დავყრი დალალებს, რადგან მაწვალებს,—
ჩვეულებას ვერ დავეჩოქები.
დედაო, ვიცი გამიჯავრდები,
რომ უარვყავი შენი ტაძარი,
გსურს დამაყარონ თავზე ვარდები
და ნატრობ შავას პატარძალობას.
ჩემში მომწიფდა გაპიროვნება,
ღამე წამებით რატომ ვათიო,
არა ვარ მარტო სიამოვნება
ქმარიდან ქმარის ხელში მათრიონ.
მე განვიზრახე:—ამ გზით გავიარ,
ყოფაში გაშლილ მზეში ვთვრებოდე,
რა უაზრობა, რა სიავეა,
რომ ქმარი!ათვის ინივთებოდე.
ჩემი ფიქრების მეათასედიც,
თუმც ვიცი ძლიერ გეუცხოება:
რათ ჩაიდინა საქმე ასეთი?
რათ ილუპება შავა ცხოია?..
მახსოვს შოშინო, ცირა მონობის,
მე კი მოვდიეარ სხვა გვარი მზითა,
ნუ აწყობ ბებერ ცერემონიებს—
თავი ანებე ქორწილს და მზითევს.
ჩემს ქალწულობას ნულარ იჯავრებ,
სხვა ვარ ახლა და სხვა ფერ ვიცხოვრებ,
არ ვარ ნივთი და მიწა, იჯარად
ქმარის მამულში, რომ ჩევერიცხო.

ტფილისი
1|II—27.

თეორია და კრიტიკა

ბენიტო ბუაჩიძე

პროლეტარულ ლიტერატურის ხარისხობრივობისათვის

გარდამავალი პერიოდი ისტორიული აუცილებლობით ჰეგემონიას, ყველა სფეროებში პროლეტარიატს აკუთვნებს. გამონაკლისს არ შეადგენს არც ლიტერატურა,—ხელოვნების სფერო. პროლეტარიატის ლიტერატურული ჰეგემონიის მოსალოდნელობა, უკვე აუცილებლობად არის მიჩნეული და თვით დღევანდელ მომქმედ პროლეტ-ლიტერატურის ძალების სწრაფვა—ამ ჰეგემონიის მიხწევისაკენ არის გამიზნული. პროლეტარულ ლიტერატურის ჰეგემონიის მომავალში, ისტორიულ აუცილებლობათ მიჩნევა, ჩვენ მოწინააღმდეგეებს საბაბს აძლევს ასტეხონ განგაში, ახალი ლიტერატურის ხელოვნური ძალადობით შექმნის—სურვილის შესახებ. ამ ბრალდების უსაფუძვლობა აშკარაა. აქ ადგილი აქვს პროლეტარულ ლიტერატურის ჰეგემონიის პრინციპის დამახინჯებას და ვერ გაგებას. უპირველეს ყოვლისა, პროლეტარულ ლიტერატურის მომქმედ ძალებისათვის' აშკარაა, რომ ჰეგემონიის მიღწევა ლიტერატურულ დეკრეტით, დეკლარაციაში გამოთქმული სურვილებით არ შეიძლება. ჰეგემონიის პრინციპი არ ნიშნავს უეცარ დაპყრობის ცდას. მისი მიღწევის უპირველესი საწინდარია ლიტერატურულ ხარისხის უმაღლეს დონემდე ამაღლება. ამ გაგებით არის წამოყენებული მომავალში ლიტერატურული ჰეგემონიის საკითხი. ის არის ერთად ერთი გზა პროლეტარულ ლიტერატურის შექმნისა და არსებობისათვის.

ამრიგად ჰეგემონია გაიგივეებულია, ლიტერატურულ ხარისხის უმაღლეს საფეხურთან. ამ საფეხურის მიღწევა კი არც ხელოვნურათ და არც უეცრათ არ შეიძლება. ეს ბუნებრივი თანდათანობით მოხდება. ამ პროცესში მთავარი ადგილი წარსულის კულტურის მემკვიდრეობის დაფლობას აქვს, რის ქვაკუთხედი **სწავლის აუცილებლობაა.**

ლიტერატურის განვითარების თანმიმდევრობით რგოლში პროლეტარული ლიტერატურა უკანასკნელი საფეხურია. ლიტერატურის ახალი სახე-ცვლილება კი გულისხმობს, რომ მას შეთვისებული და

შემდეგ დაძლეული აქვს მის წინ მყოფი საფეხურები. ამ რიგათ პროლეტარული ლიტერატურა—თავის ბუნებით, მეტად მოწინავეა ვიდრე უახლოესი მიმართულებანი—სიმბოლიზმი-ფუტურიზმი. ეს იმას ნიშნავს, რომ ის ხარისხით უფრო მაღლა უნდა იდგეს, ვიდრე აღნიშნული მიმართულებანი. ამაშია მისი გამართლება. ამ საკითხთანაა დაკავშირებული, პროლეტარულ ლიტერატურის ძირითად დამახასიათებელი თვისების გარკვევა, რის გაგებასაც ვერ ახერხებენ მისი მოწინააღმდეგენი. პროლეტარული ლიტერატურა ძირეული კლასიური დაპირდაპირებაა, მთელი წარსული ლიტერატურის და არა სკოლური. პროლეტარული ლიტერატურა ისე კი არ უპირდაპირდება თავის უკანა საფეხურს, როგორც მაგალითად სიმბოლიზმს—ფუტურიზმი—ან და ორივეს დადაიზმი,—არამედ ის მთლიანად უპირდაპირდება ყველას, როგორც დიდი მოძრაობა, ძირითად განსხვავებული თავის სოციალურ-ლიტერატურული ბუნებით. როდესაც სიმბოლიზმს უპირდაპირდება ფუტურიზმი—აქ ადგილი აქვს ფორმალურ სხვაობის მხარეებს, ბრძოლას, გამოთქმის სხვა და სხვა ხერხებს შორის, ხოლო ძირითადში სოციალური სარჩული ერთი და იგივე რჩება. ერთი და იგივე სოციალური ფენის—ფსიხოლოგიის ფონზე იშლებიან და იცვლებიან სხვა და სხვა სკოლები.

პროლეტარული ლიტერატურა კი სკოლა არ არის.

ასეთ ვიწრო ჩარჩოებში არ შეიძლება მოთავსება იმ უდიდეს ლიტერატურულ მოძრაობის, რომელიც გარდა ფორმალურ—სკოლურ განსხვავებისა, წარსულ საფეხურებთან—სხვავდება მათგან აგრეთვე თავის სოციალური ფუძით, ფსიხოლოგიის და მასალის ბუნებით. მის მიზნებში შედის არა-ბურჟუაზიულ ლიტერატურის საფეხურების მსგავსათ რომელიმე უკანასკნელი სკოლის უარყოფა და მის მაგიერ თავის დამტკიცება, არამედ მთლიანი დაპირდაპირება და გადამუშავება წარსულის ლიტერატურის. თავის კლასიური ბუნების შესაფერი ლიტერატურული ხერხების გამომეღავნება და ამ გზის საბოლოო ანგარიშში, თავის-თავის სრული გათქვეფა (უკეთ გადაქცევა. ბ.) უკლასო საზოგადოებრივობის ლიტერატურათ. ასეთია პროლეტარიატის როგორც კლასის ბუნება—და იგივე მეღავნდება მის ლიტერატურაშიდაც. პროლეტარული ლიტერატურის მიზნების ასეთი მრავალ-მხრივობის თვისება, იმის მიზეზია, რომ ის იყენებს წარსულ ლიტერატურულ მიმართულებების ზოგიერთ ხერხებს, მეთოდებს, ახდენს მათ შორის შერჩევას კრიტიკულ გადამუშავებით. პროლეტარულ ლიტერატურის ასეთი შემკრებელი ხასიათის, სინთეზის გზას—მის უარსაყოფათ იყენებენ ახალი ლიტერატურის მოწინააღმდეგენი.

პროლეტარულ ლიტერატურას თავის მხატვრული კრედო არა აქვს. თავის ფორმა არ გააჩნია; ის ხან ერთ მიმართულების მეთოდს ხმარობს ხან მეორისასო—აი ის დებულებები—რომელსაც აყენებენ მოწინააღმდეგენი, რომელნიც თავის მხრივ ამჟღავნებენ, ახალი კლასის ლიტერატურის ბუნების ვერ გაგებას, მისი როლის შეუცნობლობას. პროლეტარული ლიტერატურა ხასიათდება—წარსული კულტურის გადამუშავებით, მისი ჯანსაღი ელემენტების გამოყენებით და უვარგისის გაცხრილვით. ასეთი გზით ის ქმნის თავის კლასიურ ფორმას. მისი სამოქმედო ასპარეზი გაცილებით ფართოა ვინემ რომელიმე წარსულის უდღეური ლიტერატურული დაჯგუფებების, რომელიც თავის ოდნავ შებრუნებული ხერხის გამოწვევით, სცდილობს არსებული ჯგუფის უარყოფას და თავის დამტკიცებას. პროლეტარულ ლიტერატურის ბუნებას კი სრულებით არ შეეფერება, შეიზღუდოს სკოლის ჩარჩოებით (ის თვითონაა სათავე მრავალგვარი სკოლების), მისთვის უცხოა რაიმე ახალი „იზმის“ ქურქში გამოხვევა და რომელიმე საეჭვო ხერხის აღმოჩენით, თვითმყოფად სკოლის, პრეტენზიებით თამაში. საკუთარი დამახასიათებელი მხარეებით კი პროლეტარული ლიტერატურა ძირითადათ გამოირჩევა და უმთავრესად მისი დამახასიათებელი ისიც არის, რომ ის იყენებს და გადამუშავებას ახდენს წარსული ლიტერატურის ხერხებისას. ეს პროლეტარული ლიტერატურის თვისება სრულებით უვარგისია მის უარსაყოფათ, ამ თვისებით უარყოფა ქარის წისქვილებთან ბრძოლას წარმოადგენს. ამ რიგათ პროლეტარული ლიტერატურის გზა ზოგად ხაზებში გარკვეულია, ხოლო უმთავრესი მისი შესრულების რაგვარობაშია. ეს კი არის პროლეტარულ ლიტერატურისათვის მეტის მეტად დროული და უმნიშვნელოვანესი საკითხი, მისი ხარისხობრიობის დონის შესახებ. ეს საკითხი უმთავრესია მით, რომ მთელი ლიტერატურის შენაცვლება და ისტორიული ჰეგემონიის მოპოება, მხოლოდ შესაფერი ლიტერატურულ ხარისხის შექმნით შეიძლება.

თავდაპირველი, პროლეტარულ ლიტერატურისათვის მიდგომის ხასიათია; ის თუ როგორ აითვისებს მოვლენებს. მიდგომის განმსაზღვრელი კი კლასიური ბუნებაა. მაშასადამე საკუთარი სახის წინა-პირობა გარკვეულია—მაგრამ აუცილებელია ამ „თავისებურ კლასიურ-ათვისების და მსოფლ-შეგრძნობის შესაფარდი ყალიბის-ფორმის მიცემა. ეს არის მტკივნეული მხარე—პროლეტარულ ლიტერატურის გაშლის პროცესში.

პროლეტარული ლიტერატურა შიშველ მიწაზე არ იბადება. ის იმყოფება ძველი, კლასიკური და თანამედროვე დასრულებულ მწერ-

ლობის გარემოცვაში. ამ გარემოცვის ტრადიციულ სახიდან რომ სხვავდებოდეს, მას გარდა კლასიურ მიდგომისა, უნდა ახასიათებდეს ფორმის ნიშნეულობა. სრული მიმბაძველობა და არსებული ლიტერატურული შტამპების გამეორება, ღირებულებას მოკლებულია და დანიშნულებასაც ვერ ახწევს. ლიტერატურა როგორც ემოციონალურ ზედმოქმედების უნარის მქონე—რთულ პირობების არსებობას ითხოვს, რომ პრაქტიკულათ გაამართლოს თავის უნარი. მკითხველის ათვისების ფსიხოლოგიას, უკანასკნელი მნიშვნელობა არა აქვს, ფორმის დაგვარობაში. განსაზღვრული ფორმა, ხერხი— დანიშნულია გარკვეულ განწყობილების გადმოსაცემათ და უვარგისია მოპირდაპირე განწყობილების გადმოსაცემათ. როგორც შეუთავსებელია, ქარიშხალი ჭიქაში, ისე შეუთავსებელია, რევოლიუციონურ განწყობილების გადმოცემა, კამერულ ტონალობაში, სონეტით და სხვა.

ახალი იდეა, რიტმი, მსოფლ-შეგრძნობა, არ შეიძლება ხელოვნურათ ჩამწყვდეული იქნეს ძველ კალაპოტში. [1]) ეს დებულება არ უნდა გულისხმობდეს, პროლეტარული ლიტერატურისათვის ამ თავითვე, თვითმყოფად ფორმის მოთხოვნას. ასეთი თვითმყოფადობა, არ ახასიათებს ლიტერატურის განვითარების არც ერთ საფეხურს.

ამ შემთხვევაში საკითხი სდგას, თუ პროლეტარულ ლიტერატურის გამოყენების და გადამუშავების თვისება, რომელ სფეროსაკენ უნდა იყოს წამართული. ლიტერატურის განვითარების, რომელ პერიოდს, უფრო შესაძლებელია და საჭირო დაეყრდნოს პროლეტარული ლიტერატურა?

ბურჟუაზიულ ლიტერატურის დეკადანსის ხანა, ყველაზე მეტად საშიში და შეუთავსებელია პროლეტარულ ლიტერატურისათვის, როგორც განწყობილებით ისე შესრულების, ხერხების რა—გვარობით; მიუხედავად იმისა, რომ ის ჩვენი, უახლესი, თანადრული ლიტერატურაა. ამ მოვლენის მიზეზი, ფსიხოლოგიის და სოციალური მდგომარეობის ძირითადი სხვადასხვაობაა. დაცემულობის ხანის ბურჟუაზიის გემოვნება, და მისი სულის-კვეთების გამომხატველი ლიტერატურული ფორმები, უფრო მეტად უცხო და დაპირდაპირებულია პროლეტარიატის რევოლიუციონურ სულის-კვეთებისადმი, ვიდრე იმავე ბურჟუაზიის პირვანდელი, აღმავალ პროცესის დროის სულის-კვეთება და ლიტერატურული ფორმები.

---

[1]) როგორც რუსული, ისე ქართული პროლეტარული ლიტერატურა ჯერ კიდევ საკმაო სიმწვავით ატარებს ამ ახალი მასალის და მისი შესრულების წინააღმდეგობებს. შემდეგ-წერილში, მაგალითებით ფაქტების ანალიზით, განვიხილავთ ამ შეუთავსებლობის მოვლენას; რაც თავის-ნბრივ, ბუნებრივი აუცილებლობაა პროლ. ლიტერატურის განვითარების პროცესში ბ. ბ.

ამრიგათ: პროლეტარული ლიტერატურისათვის უფრო მეტი ორგანიულობაა, დაეყრდნოს და ისწავლოს კლასიკურ ლიტერატურაზე.

აღმავალი და დაცემულობის ხანის ლიტერატურიდან, პროლეტარულ ლიტერატურის გამოყენების უნარი, პირველისკენ უნდა გადაიხაროს. სოციალურ ალღოს კარნახი ასეთია. რასაკვირველია ეს არ რიცხავს, დაცემულობის ხანის ლიტერატურის სახეობებით, სარგებლობას; მაგრამ ეს უნდა იქნეს მეტად პირობით, რომ არ დაიჩრდილოს და დამახინჯდეს, პროლეტარულ ლიტერატურის, საკუთარი გზებით განვითარების სახე.

პროლეტარულ ლიტერატურის დანიშნულება, იმდენად მრავალმხრივია, რომ საჭიროებს სხვა და სხვა გზებს.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გზა არის, ცნობილი რუსი პროლეტარული მწერლის **დემიან ბედნის** შემოქმედება. მუშურ-გლეხური მასსების დამოკიდებულება პროლეტარულ მწერლობასთან, დემიან ბედნიმ ბუნებრივათ გადასჭრა მთელი თავის შემოქმედებით.

ტროცკი და ყველა მისი მიმდევრები, პროლეტარული კულტურის შექმნის აუცილებლობა—სცდილობენ გააბათილონ, მასსის გაკულტუროსნების (**культурничество**) საკითხით. ავიწყდებათ რომ პროლეტარული ლიტერატურა მჭრელი იარაღია გაკულტუროსნების, მასსის მსოფლ-გაგების გადამუშავებისათვის; მისი ენერგიის კომუნიზმის მიმართულებით, წარმართვისათვის.

მასსის უაღრესად ჩამორჩენილი ფენებისათვისაც კი მისაწვდენი და გასაგები **დემიანის** პოეზია, საუკეთესო მაგალითია, იმისათვის თუ პროლეტარული მწერლობის ერთ-ერთი სახე-როგორი ფართო მასშტაბით და უნარით, აკეთებს, მასსის კულტურულ დონის ამაღლების საქმეს. დემიანი—გლეხის შემეცნების არეს ეგუება, უთანაბრდება—მაგრამ ეს არ ნიშნავს დათმობას. ის უბრალო ფორმით, ნაცნობი სახეებით, რევოლიუციონურ მიზნების გრდემლზე სჭედავს ახალ ადამიანს. დემიანის შემოქმედება, ეს ხერხია, მასსის დონემდე დასვლით მისი კულტურული დონის ამაღლება. ეს ერთი სახეობაა პროლეტარული მწერლობის, მეტად მნიშვნელოვანი და აუცილებელი კულტურული რევოლიუციის გაშლისათვის.

გამოყენების და სარგებლიანობის თვალსაზრისით ეს უმთავრესია.

ლიტერატურის განვითარებისათვის, ახალი კულტურულ ღირებულების შექმნისათვის კი ეს სახეობა, (დემიან ბედნი). იმდენათ მნიშვნელოვანი არ არის. ამ სახეობას ამდაგვარივე პოლიტიკურ-ლი-

ტერატურული მნიშვნელობით ეკუთვნის ჩვენი პროლეტარული მწერლების ნაწილი, დაზგიდან (მუშა-მწერლები). ამ მხრივ ტროცკი მართალია, როდესაც აფასებს არა-ლეგალობის დროს ნაბეჭდ მუშურ ლექსებს და დასძენს.

„ეს რევოლიუციონური ლექსები წარმოადგენდენ პოლიტიკურ ფაქტს და არა ლიტერატურულს. ისინი ლიტერატურის ზრდას კი არ უწყობდენ ხელს, არამედ რევოლიუციის ზრდას". (Троцкий. Вопросы Культуры. 95 стр.).

ეს უნებრივია პროლეტარულ ლიტერატურის პირველი სახისათვის; შემდეგი განვითარება და ძირითადი საფუძველი არსებობის კი გულისხმობს ლიტერატურის განვითარების საფეხურებში სიახლეს, მოწინავეობას. პროლეტარული ლიტერატურა იმტკიცებს თავს, როგორც დამოუკიდებელი, საკუთარი სახის მქონე, მაღალი ხარისხით. გაუგებრობის საკითხის დასმა ამ შემთხვევაში გულუბრყვილობას ამჟღავნებს. ახალ ლიტერატურამ მასსის დონის, მკითხველის გემოვნების გადამუშავება უნდა მოახდინოს და არა თვით დავიდეს მის დონემდე. ის კი არ უნდა დაყვეს მასსის გემოვნების გაგებას, არამედ უნდა აამაღლოს იგი. ეს არის ლიტერატურის და მით უმეტეს პროლეტარულის, მოწინავეობის აზრი. პროლეტარული ლიტერატურის ხარისხობრიობის უმაღლესი დონე სრულებით არ არის დაპირდაპირებული მასსის გაკულტუროსნების საკითხთან. არამედ მისი პარალელურია.

ამრიგათ, პროლეტარული ლიტერატურის, მასსის გაკულტუროსნების საჭიროებით უარყოფა (ტროცკი) უსაფუძვლოა.

თანამედროვე ჩამორჩენილ გლეხს, კვარის ხმარების მაგიერ ნავთის ჭრაქის ხმარება რომ შეეაჩვიოთ, ეს არ იქნება ელექტროფიკაციის უკუგდების ნიშანი.

ამრიგათ, ნიშანდობლივი თვისება პროლეტარული ლიტერატურის, მისი ხარისხის სიმაღლეა.

ამ ნიშნის ქვეშ მიდის და აუცილებლათ უნდა მიდიოდეს პროლეტარულ ლიტერატურის განვითარება.

უკანასკნელათ: ამ თვისების შექმნასთანაა დაკავშირებული პროლეტარული მწერლის პროფესიონალობის საკითხი. ცნობილია ელემენტარული დებულება, რომ კულტურის შექმნისათვის, საჭიროა შესაფერისი პირობების არსებობა, ეკონომიური დოვლათი, გარკვეული ფენის მოცალეობა და ენერგიის ამ სფეროსათვის გამოყოფა. სხვა და სხვა ეპოქების კულტურა ამ პირობების არსებობით იქმნე-

ბოდა. წარსულის კულტურის შემქმნელნი პროფესიონალები იყვნენ, თავის საქმის ოსტატები.

კერძოთ პროფესიონალობის საკითხი, დღეს პროლეტარული მწერლებისათვისაც ისმება. ახალი ლიტერატურის სათანადო ხარისხისათვის საჭიროა განსაკუთრებული მუშაობა. **სხვათა-შორის**, კულტურის არც ერთი სახე აო იქმნება, მით უმეტეს თანამედროვეობის მაღალი კულტურის დონე. პროლეტარული მწერლისთვის არ არის აუცილებელი დაზგასთან დგომა. შეუძლებელია დაზგიდან დაზგამდე,—როდესაც ენერგიის დიდი ნაწილი სხვა საქმეზე იხარჯება—ახალი ლიტერატურულ ღირებულების შექმნა.

შემოქმედებითი მუშაობა—შრომაა, ისე როგორც დანარჩენი სხვა.

ეს გარემოება სვამს საკითხს, რომ პროლეტარული ლიტერატურის მუშაკი, მთავარ ენერგიას ლიტერატურულ მუშაობაზე ხარჯავდეს.

პროლეტარული მწერალი უნდა იყოს—პროფესიონალი. ეს ახალი ლიტერატურის შექმნისათვის აუცილებლობაა; მაგრამ დაკავშირებულია საშიშროებასთან, პროფესიონალობის გაყალბების სახით. პროფესიონალობა არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებიდან ჩამოცილება, როგორც ჩვეულებრივ ვითარებიდან ზე-მდგომი სპეცობა. ეს ისეთივე საშიშარია, როგორც სხვათა შორის ზერელეობა.

პროლეტარული მწერალი ისევე უნდა იყოს ჩაბმული ცხოვრებაში, როგორც მუშათა რიგის ჩვეულებრივი წევრი. ის უნდა სცხოვრობდეს საზოგადოების, კოლექტივის ცხოვრებით. უნდა ყოველმხრივ იცნობდეს და განიცდიდეს მას. წინააღმდეგ შემთხვევაში ის არ შეიძლება იყვეს ამ კოლექტივის მწერალი. საკუთარი საზოგადოებრივი წრეა მწერლის შემოქმედების მასაზრდოებელი და მასალა.

კ. რადეკი ხაზს უსვამს ასეთი წრის მნიშვნელობას, ის ლაპარაკობს: „როდესაც მე წავიკითხე **ლიბედინსკის** „შვიდი დღე“, მან მოახდინა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება. მაგრამ მე გავიფიქრე: არ ვიცით, დასწერს თუ არა ის კიდევ ამდაგვარ რამეს, იმიტომ რომ იქ არის განცდილის მასალა, და საკითხავია, შესძლებს თუ არა ის მომავალში მოგვცეს რაიმე კარგი.

ჩვენ წინ სდგას ამოცანა, არ გამოვგლიჯოთ ეს მუშა-მწერლები თავიანთ წრიდან“. (К. Радек „Вопросы культуры“. 90 стр.)

პროლეტარული ლიტერატურის რეალიზმის გზა, ითხოვს ცხო-

ვრების ცოდნას, ორგანიულობას სინამდვილესთან. სინამდვილის უშუალო მასალას კი, პროლეტარული მწერალი საკუთარი წრის, ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩაბმით მიიღებს. უსიცოცხლობა, სქემატიურობა, ყველაზე მეტად უცხო უნდა იყოს პროლეტარული ლიტერატურისთვის;—მით უმეტეს რომ ყოველი ეპოქის და უკანასკნელი —ბურჟუაზიული ლიტერატურის ყველა საფეხურები დაყრდნობილი იყო ცხოვრებაზე, საკუთარ წრეზე.

თანადროული მასალის, მასაზრდოებელი ფენის ფსიქოლოგიის გარეშე—ხელოვნება, არც ერთ ეპოქაში არ არსებობდა.

ხელოვნების ყველა სახეები, ყოველთვის განსაზღვრული ხასიათის შინაარსის მატარებელი იყო და იქმნებოდა ცხოვრების სინამდვილეში მომქმედ ფენებისაგან. რუსი ფორმალისტი **ვ. შკლოვსკი**, რომელიც ლიტერატურის განვითერებას ხერხების ფორმის ცვალებადობის პროცესით ხსნიდა, უკანასკნელ ხანებში,—მწერლის პროფესიონალობის საკითხის გარკვევის დროს,—მიდის თავის წინანდელ შეხედულებებისადმი სავსებით დაპირდაპირებულ მარქსისტულ დასკვნამდე. ის ხაზს უსვამს ნაადრევი პროფესიონალობის უარყოფითობას: „თანამედროვე მწერალი სცდილობს 18 წლიდან გახდეს პროფესიონალი, სცდილობს არ ქონდეს სხვა პროფესია, გარდა ლიტერატურისა. ეს მეტად უხერხულია". **შკლოვსკი** მაგალითებით ამტკიცებს, რომ მწერალს, უნდა ქონდეს კიდევ სხვა პროფესია, გარდა ლიტერატურისა, იმიტომ რომ ეს ძირითადი პირობაა, რომ მწერალმა დასწეროს რამე, იმიტომ რომ: „პროფესიონალური ადამიანი—ადამიანი რომელსაც აქვს პროფესია—აღწერს ნივთებს ისე როგორიცაა აქვს მას მათთან დამოკიდებულება, გოგოლის მჭედელი ვაკულა, ათვალიერებს ეკატირინეს სასახლეს, მჭედელის და მღებავის თვალსაზრისით, და შეიძლება ასწეროს ეკატირინეს სასახლე. ბუნინი როდესაც აღწერს, რომის ფორუმს, აღწერს მას სოფლიდან მოსულ, რუსი ადამიანის თვალსაზრისით. ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოი სწერდა როგორც პროფესიონალი სამხედრო არტილერისტი და როგორც პროფესიონალი—მიწის მფლობელი; **ის მიდიოდა თავის პროფესიონალურ და კლასიურ ინტერესების ხაზით, მხატვრულ ნაწარმოებთა შექმნისათვის.** (ხაზი ჩემია ბ. ბ.).

ამაზე მეტს პროლეტარული ლიტერატურის არც თეორია და არც პრაქტიკის ტენდენცია, არაფერს ამტკიცებს. ეს არის ძირითადი ხელოვნების სოციალური ბუნების გარკვევისათვის, და **შკლოვსკი**, თავის პირვანდელ დებულებების უარმყოფელ,—ეხლახან სწორი ალღოთი მიკვლეულ აზრს—ბოლომდე ანვითარებს და დასძენს:

„ერთად-ერთი ლიტერატურაში, მუშაობა—ეს არა თუ დასკვნებაა მიწის,—არამედ მისი გამოფიტვა. ლიტერატურული ნაწარმოები უშუალოთ არ გამომდინარეობს მეორე ლიტერატურულ ნაწარმოებიდან, არამედ მას სჭირდება კიდევ „პაპა“ სხვა მხრიდან. ეს დროის ზედაწოლა წარმოადგენს პროგრესიულ ფაქტს, ურომლისოდაც არ შეიძლება შეიქმნეს ახალი მხატვრული ფორმა“. (В. Шкловский. О писателе „Новый леф“ стр. 29. 1927).

ამრიგად, მწერალი გარდა იმისა, რომ ის ლიტერატურის პროფესიონალი უნდა იყვეს, უშუალოთ უნდა იყოს თანადროულობის ურთიერთობაში ჩაბმული, უნდა ჰქონდეს კიდევ არა-ლიტერატურის პროფესია, რომ იმ პროფესიის თვალებით და ცოდნით, შესძლოს მწერლობა.

საკუთარი წრის, კლასის გარეშე, იმ ფუნქციების გარეშე რომელსაც ის ასრულებს ცხოვრებაში, მწერალი არ წარმოიდგინება. ლიტერატურის პროფესიონალობა არ ნიშნავს და არ ნიშნავდა, საზოგადოებრივ ცხოვრებიდან გამოთიშვას, ძირითად პროფესიის დაკარგვას: პირიქით უკანასკნელი განმპიროებელია პირველის. მეორეს მხრივ: პროლეტარული ლიტერატურა „Недоросль“-ობით არ შეიქმნება. საჭიროა ცოდნის, კულტურის მარაგით აღჭურვა. ძირითად, პროფესიასთან, კლასიურ მიდგომასთან ერთად საჭიროა ლიტერატურული პროფესიონალობა. მაგრამ: პროფესიონალობა, რომელიც თავის მხრივ საფუძველია ლიტერატურის ხარისხის ამაღლების, პროლეტარულ მწერლისათვის არ უნდა ნიშნავდეს, ცხოვრებიდან ჩამოცილებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ის დაკარგავს, თავის ნიშანდობლივ თვისებებს. ეს არის ძირითადი პირობები პროლეტარული ლიტერატურის ხარისხობრიობის ამაღლებისათვის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოსებ დავითაშვილი

პროლეტარული პოეზიის პირველმა ნაპერწკლებმა საქართველოში გაანათა ჯერ კიდევ დიდი ხნით წინ პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვებამდე. უკვე წარსული საუკუნის მეოთხმოცე და მეოთხმოცდაათე წლებში სწერენ მუშა-პოეტები; ეს ის ხანა იყო, როდესაც ჩვენში ჯერ კიდევ სრულიად არ გაისმოდა ქარხნებისა და ფაბრიკების გუგუნი, როდესაც ჯერ კიდევ მუშათა კლასი ჩვენში არ იყო დარაზმული და არ ჰქონდა ორგანიზაციული სახე.

ერთ-ერთი წარმომადგენელი ამ დროის პროლეტარული პოეზიისა ჩვენში იყო მუშა-პოეტი იოსებ დავითაშვილი. ის გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე მაშინ, როცა ბატონ-ყმობა ახალი გადავარდნილი იყო.

ი. დავითაშვილი დაიბადა სოფ. რუისში (ქართლში).

მამა მისი სვიმონი ყმად ჰყავდა თავად ციციშვილს. შემდეგ მეწისქვილეობა დაიწყო. იოსები ადრე დაობლდა, წერა-კითხვა მას ასწავლა დამ „ქვაბის მურით და ხარის ბეჭზე". მაგრამ ის ცოდნა, რაც მან თავის დისაგან მიიღო რასაკვირველია ვერ დააკმაყოფილებდა მას. პოეტი შემდეგში სულ იმის ჩივილში იყო, რომ ბედმა არ არგუნა მიეღო ფართე ცოდნა:

„მოძმეს რომ შევეწიო
სულ ყოველთვის მხადა ვარ,
მაგრამ ვსტირი ჩემს ბედსა,
უსწავლელი რადა ვარ".

პატარა იოსები უფროსმა ძმამ წაიყვანა თავისთან მსახურად ტფილისში. აქ მას სასტიკად ეპყრობოდენ. ამიტომ იოსები იძულებული გახდა გაქცეულიყო გორში. აქ იოსები შეეყარა შეგირდათ ერთ დურგალთან, რომელთანაც ექვსი თვე დაჰყო. შემდეგ ისევ ძმასთან გაეშურა ტფილისში.

ამ დროს იოსების ძმას მებატონე კ. ციციშვილმა, როგორც ყმას, მოსთხოვა რაღაც საბატონო გადასახადი. რადგან იოსების ძმას ფულის მიცემა არ შეეძლო, ამიტომ ბატონს ფულის ნაცვლად იოსები მისცა მოსამსახურეთ.

ბოლოს, როგორც იქნა, ძმამ გამოიყიდა იოსები და მიაბარა ჩუქურთმის მჭრელს.

იოსებმა ჩუქურთმის ხელობა წარჩინებით შეისწავლა, მაგრამ უფულობის გამო მეჩუქურთმეთა მეთაურისაგან საჭირო მოწმობა ვერ მიიღო.

ეს გარემოება მას ძალიან აბრკოლებდა სამუშაოს შოვნაში. ლუკმა პურის საშოვნელად იოსები დადგა გაზეთის დამტარებლათ. ერთხანს თეატრის სცენაზედაც მსახურობდა უბრალო მუშათ.

თავის ცხოვრების უკანასკნელ ხანებში გადასახლდა ქ. თელავში, სადაც მან დაარსა ხელოსანთა ამხანაგობა. კახეთში იოსები ერთობ გაჭირვებული ცხოვრობდა.

თავის მძიმე და გაჭირვებულ ცხოვრებას ის ხშირად ეხება თავის ლექსებში:

„სოფლელი გლეხის შვილი ვარ,
მუდამ ითა გამოზრდილია,
უკუდო ჩოხის ამარა,
ქალამნებ დაცვეთილია.
ობოლი დავრჩი დედ-მამას,
დრო მადგა გასაჭირია:
სადაცა ვარდსა დავეძებ
იქ მხვდება ეკლის ძირია“.

ან კიდევ:

„არ იქმნა, სადაც მინდოდა,
ვერ გავიყვანე არხია,
ვერ დავაბრუნე, რაღა ვქნა,
წაღმა ცხოვრების ჩარხია“.

იოსებმა ვერ აიტანა გაჭირვებული ცხოვრება. გარდაიცვალა 1887 წლის 13 მარტს.

ი. დავითაშვილის ყოველ ლექსს გულდასმით უსმენდა ჯერ კიდევ ახლად ჩასახული მუშათა კლასი, და როდესაც გაისმა მისი სიკვდილის ხმა, პირველად ტფილისის მუშა-ხელოსნებმა გამოსთქვეს თავიანთი მწუხარება მათი მომღერალი ადამიანის დაკარგვის გამო. ამათ მიბაძეს თელავის და გორის მუშა-ხელოსნებმა.

იოსების კალამს ეკუთვნის 120 ლექსი. თითქმის ყველა ეს ლექსი მიძღვნილია მშრომელი ხალხისადმი; ამ ლექსების მთავარი საგანი, პოეტის დარდი და ჭირვარამი—მშრომელი ხალხია.

წინდაწინვე ხაზი უნდა გაესვას შემდეგს: ი. დავითაშვილის შინაგანი სამყარო ნათელია ბოლომდე, ამიტომ მის მხატვრულ

ფაქტებში არ არის ტენდენციური მიდგომა თემისადმი,— თემა მისთვის მხოლოდ საშვალებაა მის ძირითად სულიერ არსების გადმოსაცემად. ტენდენციას მხოლოდ იქ აქვს ადგილი, სადაც მწერალი არაა გულწრფელი, სადაც ის ცდილობს ნიღაბით გამოვიდეს.

ი. დავითაშვილის შემოქმედებას აქვს ერთი არსებითი დამახასიათებელი თვისება: მასში შეერთებულია გლეხური, სოფლური და ქალაქური, მუშური კულტურის გზები.

პოეტის შემოქმედების პირველი ხანა ხასიათდება მხოლოდ და მხოლოდ სოფლის და გლეხობის ცხოვრების გადმოშლით. პოეტი გვაცნობს, რომ სოფლად კლასიური დაყოფა უკიდურეს საზღვრამდეა მისული, ბატონი უკიდურეს ექსპლოატაციას უწევს გლეხს, მას ადამიანათაც არც კი სთვლის, მაგრამ მაშინდელ საზოგადოებრივ ცხოვრების პირობების გამო გლეხი იძულებულია მაინც ემსახუროს თავის მჩაგვრელს:

„თაყვანს გცემ, მაშ რა გიყო
მე უწყალოდ წვალებულმა?
უნდა ძალა-უნებურად
შემოგცინოს ჩემმა გულმა!..

შეგიპყრივარ სუსტი მძლავრსა,
ვით შეიპყრობს კატას ლომი,
ვით გავბედო გაგიცხადო
მე უძლურმა მძლავრსა ომი?

მეც კაცი ვარ, შემიბრალე,
აღარ მიდგა მკლავში ღონე,
შენ კი ამბობ: „რაც გინდა სთქვი,
მძლავრი ვარ და დაგიმონე!

უნდა ეგრე მემსახურო,
ბატონი ვარ, გამიგონე!
კაცი ვარო? ვის უბედავ
ან საიდამ მოიგონე?

რასა ჰროტავ, გლეხო, ბრიყვო,
უგუნურო, მხეცო, მუშა;
თუ რომ კაცი ჰყოფილიყავ,
შენი საქმე რამ დაფუშა.?!“

ასეთ მოტივებს, თემების ასეთ გაშლას ბევრს შეხვდება მკითხველი ი. დავითაშვილის შემოქმედებაში. ერთი სიტყვით მისი შემოქმედება მტკიცე კავშირშია სოფელთან, გლეხთა ცხოვრებასთან. მათთვის საკმაოდ ბევრი ლექსი აქვს მიძღვნილი. მაგრამ მიუხედავათ დიდი სიყვარულისა გლეხთა ცხოვრებისადმი და გლეხთა შრომისადმი, დავითაშვილი ქალაქის პოეტია,—პოეტი მისი მკვეთრი წინააღმდეობების, სადაც განცხრომა-ფუფუნებასთან ერთად არის სილარიბე და გაჭირვება. მის ლექსებში ხშირად მოსჩანს ისეთი სახეები, რომლებიც დამახასიათებელია ქალაქის ყოფისათვის.

ი. დავითაშვილი თავის ლექსების უმეტესობაში იმ აზრს, თვალსაზრის ატარებს, რომ ყოველი ადამიანი უნდა შრომობდეს, უნდა იჩენდეს მამაცობას ამ დარგში, რომ ცხოვრების უფლებას მხოლოდ შრომა იძლევა:

„თვალს მოსწონს და გულს ახარებს,
ვინც შრომაში მამაცია“.

მისი აზრით შრომა არის არა მარტო არსებობის მთავარი პირობა, არამედ მშრომელთათვის იგი არის ბედნიერების წყაროც. ერთ-ერთ ლექსში სწორედ ის ამის შესახებ ლაპარაკობს:

„მშრომელებმა შრომა ვიწყოთ,
გავაცოცხლოთ კვლავ იმედი,
თუ რომ შრომა გვეყვარება,
გაგვიღიმებს სვე და ბედი“.

პოეტი დიდათ ბედნიერათ სთვლიდა თავის თავს იმით, რომ ის თავის საარსებო საშვალებებს პატიოსანი შრომით შოულობს და არა მატყუარობა—გაიძვერობით, რომელიც გამეფებული იყო მის დროის საზოგადოებაში:

„მეც მისწავლია რამე:
ხელოსნათა ვწერივარ,
ხელში მიჭირავს ხვედა,
ჩუქურთმის მჭრელი ვარ.

ყალბათ და მატყუარად
„არვის დაუჭერივარ“,
შრომით ლუკმას ვშოულობ
და მით ბედნიერი ვარ“.

მას კარგათ აქვს შეცნობილი საზოგადოების ორ მოწინააღმდეგე კლასათ დაყოფის არსებობა და შინაარსი, კლასიურ ინტერესთა

სხვა და სხვაობა, საზოგადოებაში გამეფებული მშრომელი ხალხის ექსპლოატაცია გაბატონებული კლასის მიერ:

„რამ დაგაშრო, შე ოხერო,
ღარიბების ბედის წყარო?!
ამოდუღდი, რომ ქვეყანა
ერთნაირად გაახარო!
მე გულსა მწვავს ეს სოფელი
ორნაირად გაყოფილი!
ბედით ჩაგრულს უღვთოთ სჩაგრავს
თავის ბედით კმაყოფილი!
ზოგი ხარობს და ზოგი კი
ბნელს მარხია, როგორც ჭური,
და ამ სოფელსა ვაგლახი
გაუწიოს სამსახური?“

ამ სტრიქონებში დაჩაგრულ კლასის თვალთახედვით მოცემულია ცხოვრების ფაქტი, ცხოვრების სახე.

გაბატონებული კლასი დაჩაგრული კლასის ხარჯზე ცხოვრობს, იმით იკმაყოფილებს თავის საარსებო მოთხოვნილებას, მაგრამ სამაგიეროთ კი მას მუშა წარმოდგენილი ჰყავს ისეთ არსებათ, რომელიც ცხოველებზედაც კი დაბლა სდგას. ჩვენი პოეტი რასაკვირველია, ასეთ მდგომარეობას ვერ ურიგდება, ის პირდაპირ ეუბნება გაბატონებულ კლასს, თუ ვინ და რა არის ის. ერთ-ერთ ლექსში ის ამბობს, რომ „მუშა ვარ, ნება მიბოძე ცნობისა“ და სხვა:

„რა გინდა ჩემო მტარვალო,
კაცი ვარ, კაცად მიცანი!
მე შენ სარჩენად რათა მაქვს
ორთითი, არნად-ფიწალი?

ენაზე მარილს ნუ მაყრი,
არ მინდა კიტრის წნილადა,
დედამ მასწავლა ეს ენა,
მასთან ვსაუბრობ ხშირადა.“

ი. დავითაშვილი, როგორც ოვით მუშა-ხელოსანი ნათლად ხედავს და გრძნობს თავის მოძმეების მდგომარეობას, მათ გაჭირვებულ და შევიწროებულ ცხოვრებას, მაგრამ ეს მას არ აგდებს პესიმიზმში, პირიქით ის სიამაყითაც კი გაიძახის, რომ მუშის, მშრომელის ხვედრი—ეს შრომაა:

„მუშა ვარ და კიდეც ვიცი,
მუშის ბედი თუ რაც არის:
ის ულელში გაბმულია
ქედ მოდრეკით, როგორც ხარი.
მის გარუჯულ მაგარ კანსა
მუდამ რეცხავს ოფლის ღვარი“...

მას შეგნებული აქვს ის, რომ მდიდრები, გაბატონებული კლასი მშრომელ ხალხს არ შეიბრალებს. ამის ილუსტრაციას ის იძლევა ლექსში „ღარიბი და მდიდარი“. როდესაც „მშიერი, ორივ თვალით უჩინო, ჯან მიხდილი, ხნიერი“ ღარიბი მიადგა მდიდრის კარს ლუკმა პურის სათხოვნელად, მდიდარი მას სასტიკად და შეუბრალებლათ უმასპინძლდება და მიმართავს:

„გასწი, დაიკარგევი,
მაწანწალა გლახაო!“
გააგდო უბედური,
ლანძღა და გალახაო:
„წადი იმან გარჩინოს,
ვინც რომ გამოგსახაო.“

აქ უკვე გარკვევითაა განსაზღვრული ის კლასიური დაპირისპირება, რომელიც მდიდრებსა და ღარიბებს, უქმათ მყლაპავებსა და მუშებს შორის არსებობს. პოეტი ხედავს, რომ გაბატონებულ კლასს და მუშათა კლას შორის ხიდი ჩატეხილია, მაგრამ ის ვერ გარკვეულა მაინც იმაში თუ საიდან უნდა ელოდეს მშრომელი ხალხი თავის განთავისუფლებას გაბატონებულ კლასების ბრძოლებისაგან. ლექსში, რომლითაც მან მიმართა პოეტებს, შემდეგს ამბობს:

„ჩვეულებრივ ვართ მშრომელი
ქართველისა შვილი ძლიერი,
დღეს ჩვენი შრომა სხვას მიაქვს,
და ჩვენ კი ვრჩებით მშიერი.

მაგრამ ვინ გვიხსნის ტანჯულებს
და ვინ გაგვიხსნას გონება,
რომ არვინ სცდილობს დაამხოს
საწყალი მუშის მონება“.

პოეტის შეგნება სრულ კლასიურ გათვითცნობიერებამდე, როგორც სჩანს ჯერ კიდევ ვერ ყოფილა მისული. და მართლაც, არ უნდა ვიფიქროთ თითქოს ი. დავითაშვილი თავიდანვე და გარკვევით მთლიანად და ყოველ მხრივ გამოსულიყოს, როგორც თანამიმდევა-

რი პროლეტარული პოეტი. არა! ი. დავითაშვილის პოეზია არ არის კვალიფიკაციური მუშის პოეზია, პოეზია მუშათა არისტოკრატიის, არამედ ის არის გამოძახილი უბრალო მასოვიკის გრძნობების, აზრების და სულიერ მდგომარეობის. ლიტერატურულ სფეროშიაც აქვს ძალა კ. მარქსის მიერ აღმოჩენილ კანონს **პროლეტარიატის თანდათანობით სხვების მიმართ კლასისაგან თავისთავის კლასად გარდაქცევისა.**

* * *

დღეს, ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვების შემდეგ, როდესაც ჩვენთვის ნათელი და მნიშვნელოვანი გახდა წინაპართა როლი,—ჩვენ კარგათ გვესმის მნიშვნელობა ი. დავითაშვილის პოეზიის. ჩვენ ვიცით, რომ ობიექტიური პირობები ხელს უშლიდა პროლეტარული პოეზიის ამ პიონერს განესაზღვრა თავისი ადგილი მუშათა კლასის განთავისუფლების ბრძოლაში, დაესვა და გადაეჭრა საკითხები ისე გარკვევით და მკვეთრათ, როგორც ამას სჩადის პროლეტერული პოეზია; მის შემოქმედებაში თითქმის ვერ შეხვდებით იმ აზრებს, თვალსაზრის, რომელიც ბატონობს თანამედროვე პროლეტარულ პოეზიაში: აზრებს მუშათა კლასის ძლიერებაზე, კლასიურ ინტერესთა შეურიგებლობაზე, დარაზმულ ბრძოლის აუცილებლობაზე და ა. შ. და მეორის მხრივ არაა საჭირო დიდი მხატვრული გემოვნება და განვითარება, რომ ი. დავითაშვილის შეშოქმედებაში დავინახოთ მხატვრული შესრულების მხრივ ნაკლი ანუ ფორმალური სისუსტე: ის არ ხასიათდება დიდი ლიტერატურული ბრწყინვალებით. მის ლექსებში არ არის ნათელი და მომჯადოებელი სახეები, არც გამოსახვის დიდი ძალა, მაგრამ განა ყოველ ლიტერატურულ ეპოქის დასაწყისი ასეთივე არ იყო... მთავარი და საყურადღებო აქ თვით ფაქტია ქართულ ლიტერატურაში ისეთი მწერლის გამოჩენის, რომელსაც ახასიათებს სულ სხვა თემები, სახეები, ცხოვრების გაგება და გადმოშლა.

ი. დავითაშვილის პოეზია საყურადღებოა იმით, რომ ის მღერის ისე, როგორც მას შეუძლია, იღებს გონებაში პირველად მოსულ სიტყვებს და თავისებურ-მხატვრულათ ამეტყველებს მას;—და კიდევ საყურადღებოა იმითაც, რომ ის თვით მასიდანაა მოსული და მისი პოეზიაც მასიურია და მისი პირით თვით მშრომელი ხალხი ლაპარაკობს.

* * *

ამრიგათ ი. დავითაშვილის პოეზია, ეს იყო პირველი ძახილი პროლეტარულ ლიტერატურის, ეს იყო მხოლოდ ჩანასახი, რომელიც დიდი მომავლის იმედებს იძლეოდა. თავისთავად „ცხადია, რომ პროლეტარულ მხატვრულ ლიტერატურას სრული გაშლა შეუძლია მხოლოდ მუშათა კლასის გაბატონებულ კლასად გარდაქცევის, მხოლოდ პროლეტარიატის მიერ ხელისუფლების დაპყრობის, ოქტომბრის შემდეგ. ამხ. ვ. ვოროვსკი ერთ-ერთ თავის წერილში სწერდა, რომ პროლეტარულ ხელოვნებას შეუძლია წარმოიშვას მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მუშათა კლასში წარმოიშობა თავისი შემოქმედებითი პსიქიკა არა ხელოვნების სფეროში, არამედ რეალური ცხოვრების სფეროში. ცხადია, მართლაც შემოქმედებითი ფსიქიკა რეალურ ცხოვრების სფეროში მუშათა კლასში შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ეს კლასი მიიღებს შესაძლებლობას დამოუკიდებლათ აშენოს თავისი ცხოვრება, დამოუკიდებლათ შექმნას ის;—მხოლოდ მას შემდ, როდესაც ეს კლასი შეიქმნება საზოგადოებრივ ცხოვრების ბატონ-პატრონი, ე. ი. პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების შემდეგ. მანამდე კი პროლეტარიატს სრულიად უბრალოთ არ აქვს შესაძლებლობა რამოდენიმეთ მაინც მნიშვნელოვანი ყურადღება მიაქციოს მხატვრულ შემოქმედებას.“ (ლელევიჩი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარალელური შენიშვნები

I.

პროლეტარული კულტურის შესახებ. პროლეტარიტის კლასიური შეგნება აზროვნებისა და მოქმედების კონკრეტობით ხასიათდება. წინასწარი აღრიცხვა მასალების და პერსპექტივების მოცულობის ცოდნა. პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის და დაპირდაპირების გზა ამ კონსტრუქტიულ ნიშნით მიმდინარეობს. თანამედროვე სოციალისტური აღმშენებლობა გეგმიან და შეგნებულათ გათვალისწინებულ ფარგლებში სწარმოებს.

პროლეტარული მთლიანი მსოფლხედვა მეცნიერული მეთოდებით არის შეიარაღებული. მეცნიერების უკანასკნელ მიღწევებზე ემყარება. **მარქსმა** და **ენგელსმა** მუშათა კლასის მოძრაობის და კაპიტალიზმის განვითარების კანონების დაკვირვებით სოციალიზმის შესაძლებლობა უტოპიიდან მეცნიერულ საზღვრებში ჩამოაყალიბეს.

პროლეტარიატი ბურჟუაზიული კულტურის უკანასკნელ მიღწევებიდან გამოდის. ბურჟუაზიული კულტურის განვითარების მიმდევრობის დაძლევით და გადამუშავებით. **ლენინი** რუსეთის კომკავშირის მე-3 ყრილობაზე 1920 წელს თავის სიტყვაში ხაზგასმით ამბობდა: „პროლეტარული კულტურა არ წარმოადგენს საიდგანლაც შემოხვევით გამომხტარ მოვლენას ან ადამიანთა შეთხზულ ამბავს, რომლებიც თავს თვლიან პროლეტარულ კულტურის სპეცებათ. ეს მიქარვაა. პროლეტარული კულტურა უნდა განვითარდეს ცოდნათა იმ მარაგის კანონშეზომილ მიმდევრობიდან, რომელიც კაცობრიობამ შეიმუშავა ფეოდალურ, კაპიტალისტურ და ჩინოვნიკურ საზოგადოებათა ჩაგვრის ქვეშ“.

ყოველგვარი წინსვლა საზოგადოებრივ-ეკონომიურ ცხოვრებაში დამოკიდებულია ტეხნიკურ პროგრესზე. კაპიტალისტური წესწყობაც და პროლეტარიატის დიქტატურის გარდამავალი პერიოდი ერთიდაიგივე ქვედებულზე, ერთ ტეხნიკურ საფუძველზე შენდება. ტეხნიკის ანუ წარმოების იარაღების შინაგანი კანონები კოლექტიური შრომისა და მოხმარებისათვის არის განზომილი. კაპიტალისტურ საზოგადოებაში წარმოების საშუალებათა ინდივიდუალური მითვისება

ბადებს ბურჟუაზიულ საზოგადოებრიობის, ფსიქოლოგიის და მთლიანად კულტურის ინდივიდუალისტურ და ანარქიულ ხასიათს. პროლეტარულ სახელმწიფოში, პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში, ძირითადათ შეცვლილია წარმოებისა და კულტურულ მშენებლობის ხელმძღვანელობისა და მოხმარების ფორმები.

ამიტომ ბურჟუაზიულ კულტურის ინდივიდუალისტურ ტენდენციებს, ძირითადათ უპირისპირდება პროლეტარული საზოგადოებრიობის, ფსიხოლოგიის და მთლიანათ პროლეტარული კულტურის ნიშანდობლივი მხარე, როგორც კოლექტივიზმის მატარებელ კლასის, მაგრამ თავის დიქტატურის პერიოდში კლასობრივი ბრძოლის გამმახვილების, **იმდენათ, რამდენათ** ბურჟუაზიული საზოგადოებრიობიდან სოციალისტურ საზოგადოებრიობამდე, გარდამავალ პერიოდის დიალექტიურ შუალედში, პროლეტარიატი აწარმოებს წარსული კულტურულ მემკვიდრეობის კრიტიკულ მიღებას და აშენებს თავის კლასიურ პროლეტარულ კულტურას, როგორც მომავალ სოციალისტურ კულტურის საფუძველს.

აქედან პროლეტარული კულტურის შინაარსი და დანიშნულება ირკვევა, როგორც ისტორიულათ აუცილებელ, კლასობრივათ დაპირდაპირებულ და კოლექტიურათ გამიზნულ კულტურულ სისტემის.

მაშასადამე, პროლეტარიატის კლასობრივი თვითგანმტკიცების კულტურა შენდება ბურჟუაზიული კულტურის განუწყვეტელ განვითარების შემდგომ საფეხურებზე. ჩამორჩენილ მასების მიერ კრიტიკული შეთვისება წარსული კულტურის ფაქტებისა. **კულტუროსნობა** ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციიდან დაწყებული—ელექტროფიკაციამდე. კულტურულ რევოლიუციის ამოცანების გადაწყვეტიდან, ორგანიულათ გამომდინარეობს პროლეტარიატის კლასიური კულტურის მშენებლობა.

ოსტატობა თუ ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენისა და შეგნების ქვეშ მყოფი მხატვრული ინტელიგენცია **„ზეშთაგონება“**. თვით შემოქმედებითი პროცესის ბუნებას ზე-ბუნებრივ და შეუგნებულ აქტათ სთვლის. ეს გაგება გამომდინარეობს ყოველ ექსპლოატატორულ კულტურის ინდივიდუალისტურ ხასიათიდან. ეს არის გაგება ხელოვანის, როგორც **ქურუმის**, რომელიც შეგნებულათ იმიჯნება დაქვეითებულ ბრბოს მიწიერ მოღვაწეობიდან და თავის შემოქმედების ბუნებას „ღვთაებრიობის“ გარსში ხვევს. (მაგ. **პუშკინის** ლექსი „Чернь“, **ილ. ჭავჭავაძე** „მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის მიწიერი ზეციერსა“ და სხვ.).

ძველ ბერძნულ საზოგადოებაში ადამიანის მოქმედების და სა-

ზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მოვლენებს „ბედის“ არსებობით ხსნიდენ. ქრისტიანულ საზოგადოებაში „ღმერთი“ იყო აღიარებული ქვეყნის გამგეთ. ფეოდალიზმის ეპოქაში „ღმერთის მიერ ბოძებული სახელმწიფოებრივი უფლება“. ბურჟუაზიულ საზოგადოების ანარქიულ იდეოლოგიას ახასიათებს ძლიერი პიროვნების კულტი. ამ ეპოქების გასწვრივ დღევანდლამდე, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიურ განვითარების განსაზღვრულ საფუძველზე იქმნებოდა შესაბამისი საზოგადოებრივი ფსიხოლოგია, რომელიც ყოველი მჩაგვრელი კლასის იდეოლოგიას იმუშავებდა და კერძოთ „სულიერ კულტურის“ სფეროში აკანონებდა „უზენაეს დანიშვნის“ ქურუმობის იდეას.

კაპიტალიზმის სამეურნეო სისტემა ხასიათდება ბაზრის ანარქიულ პრინციპით. სრული მოუწესრიგებლობა მოთხოვნილებასა და მიწოდებას შორის. ბაზარზე საქონელი გამოაქვთ მხოლოთ საცვლელი ღირებულების ანუ მოგების მიზნით. კაპიტალისტის ხედვის ველში მასიურ მომხმარებელის ინტერესები არ შედის.

ბურჟუაზიული ხელოვნება კაპიტალიზმის სტრუქტურას ემორჩილება. ბურჟუაზიული ხელოვანი მისთვის უცნობ და განუზღვრელ ბაზრისთვის მუშაობს. თავის შემოქმედებაში ის მხოლოთ საკუთარ-პიროვნულ შეჩვევა-დახელოვნებით (навык) ხელმძღვანელობს. მისთვის შემოქმედების პროცესი შეუგნებელ და სტიქიურ მოვლენას წარმოადგენს. მისთვის ხელოვნება „დამოუკიდებელი პიროვნების“ შემოქმედებითი შესაძლებლობის საზომია. ის მხატვრული შემოქმედების მასალის და ხერხების ინდივიდუალური შერჩევით ხასიათდება. ხელოვნურ ფაქტის მასალა-ხერხობრივი უტილიტარული გამიზნა მის იდეოლოგიურ გაგნებას არ უდგება. „ბურჟუაზიული მხატვარი გამოდიოდა თავის თავიდან, ამბობს **ბ. არვატოვი** (იხ. „Искуство и производство“) და მხოლოთ თავის თავიდან. ნივთებს ის ჰქმნიდა, ისე, როგორც მას სურდა ან როგორც მას უკარნახებდა თავისი სუბიექტიური გემოვნება, „ინტუიცია“, „ზეშთაგონება“. ის იყო ოსტატი, მაგრამ თავისი ოსტატობის ბუნება, მისი სოციალურ-ტეხნიკური კაკონები არ იცოდა და არ ესმოდა. ამიტომ თავის შემოქმედებას აფასებდა, როგორც რაღაც ზე ან ქვე-ცნობიერს, როგორც წმინდა ემოციონალურ-სტიქიურ რიგის მოვლენას“.

შემოქმედების ფსიხოლოგიას დღესაც მეტაფიზიკურათ ხსნიან ზოგიერთი „მარქსისტები“. ეს კი მათ ბურჟუაზიულ იდეოლოგიიდან თავდაუხსნელობას ამტკიცებს. მაგ. **ა. ვორონსკის** შემოქმედებითი აქტის ბუნება ინტუიტიურ ძალისხმევიდან გამოჰყავს და ასკვნის, რომ „საჭირო აზრები და იდეები ინტუიციაში წარმოიშო-

ბიან ქვე-ცნობიერ სფეროდან. ისინი ამოიჭრებიან შემეცნების ზედაპირზე—შემთხვევით, უშუალოთ და მოულოდნელათ". (А. Воронский „Об искусстве").

ა. ვორონსკი შემოქმედებითი აქტის ნიშნეულ თვისებათ, სახელდობრ, მის „მოულოდნელობას", მის „შემთხვევითობას" სთვლის. ეს კი მხოლოთ „ზე-შთაგონების" ანუ „ინტუიციის" საშუალებით თუ შეიძლება აიხსნას, თორემ მხატვრულ შემოქმედებასთან მეცნიერული მეთოდოლოგიის გზით მისვლა მას შეუძლებლათ მიაჩნია.

შემოქმედებითი უნარიანობა, „ფანტაზია", წარმოსახვა, (воображение) „რაღაც" გამოურკვეველ მიზეზებზე კი არ არის დამოკიდებული, არამეთ კონკრეტულათ დამოკიდებულია შემოქმედი ერთეულის თუ ჯგუფის განსაზღვრულ ემოციონალურ მარაგზე, რომლის შემოქმედებით აქტში დაცლა, გარკვეულ მიზეზებით და კანონებით შეიძლება აიხსნას. შემოქმედებითი ძალა ყოვლის შემძლე მოვლენათ არ უნდა მივიღოთ, რომ თითქოს არაფრიდან მას შეეძლოს რაიმეს შექმნა. შემოქმედი სარგებლობს იმ მასალით, რომელიც წინათ მიღებულ იქნა შეგრძნებათა და **აღქმის** (восприятие) საშუალებით და შენახულ იქნა მეხსიერებაში. მაშასადამე აღქმა აუცილებელ პირობას შეიცავს შემოქმედებისთვის. აღქმის საშუალებით შემოქმედის ფსიქიურ ველში გროვდება და ინახება ის აუცილებელი მასალა, რომელიც შემდეგში გახსენებისა და შთაბეჭდილებათა აღდგენის (воспроизведение) საშუალებით, შემოქმედების აქტში და მის შედეგათ გვევლინება გადამუშავებულ და გაღრმავებულ სახით.

შემოქმედებითი აქტის ძირითადი ფაქტი მდგომარეობს მის **ენაში**, ორ დაპირისპირებულ ფორმის, ცნობიერ და არა არა-ცნობიერ სფეროს შორის. „აქ მთელ რიგ კონკრეტულ ფორმებში ჩვენ ვხედავთ, რომ ის რაც ცნობიერია იძირება არა ცნობიერ სფეროში, რომ კვლავ წარმოიშვას თავის ცნობიერ, მდიდარ შინაარსიან სახით. დამახსოვრების პროცესები, ქვე-ცნობიერ სფეროში გადამუშავებული და წარმოსახვის აქტში ახლათ აღდგენილი—ასეთია შემოქმედების აქტი მთელი თავის ხასიათით. როდესაც აღქმულ მოვლენის ცნობიერი დაყენებით და ხშირი ინტენსიური მუშაობის შემდეგ, ჩვენ ვერ ვაღწევთ შედეგებს და მას ვიღებთ მზა სახით, მხოლოთ გაცილებით გვიან, როგორც ქვეცნობიერ სფეროში ინტენსიურ მუშაობის ნაყოფს". (проф. К. Корнилов. „Современная психология и марксизм").

მარქსიზმი იღებს ფსიხოლოგიურ მეცნიერებაში უკანასკნელ ხანებში შექმნილ მიმართულებას პავლოვის, ბეხტერევის და სხვ. მიერ.

ე. წ. რეფექსოლოგიას ანუ მოძღვრებას პირობითი რეფლექსების შესახებ. ეს მიმართულება ამომწურავათ სარგებლობს ობიექტური მეთოდით ფსიქიური პროცესების მიმართ და თავის კვლევა-ძიებაში დაცული აქვს ფსიქო-ფიზიოლოგიური მონიზმი. დიალექტიური მეთოდის გამოყენება ფსიქოლოგიაში შეიძლება იმ მასალებზე, და მიღწევებზე, რომელსაც იძლევა თანამედროვე ფსიქოლოგია რეფლექსოლოგთა სახით. ადამიანის ფსიქიური ცხოვრებაც მოძრაობის კანონებით ხასიათდება. შემოქმედების აქტიც დიალექტიკის კანონებს ემორჩილება.

კლასიური შეგნება ადამიანებს შორის იქმნება გარკვეულ სოციალ-ეკონომიურ ურთიერთობის ნიადაგზე. კაპიტალისტურ საზოგადოებაში ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის კლასობრივი შემეცნება დიამეტრალურათ უპირისპირდება ერთი მეორეს. კლასიური ცნობიერების განვითარება და გაღრმავება დამოკიდებელია ადამიანთა ჯგუფის ცხოვრების პირობების ერთგვარობაზე. ამ ნიადაგზე მუშავდება საერთო შეხედულება ქვეყნისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენების მიმართ. პროლეტარიატის დიდი მასსის დაგროვება სამრეწველო ცენტრებში ჰქმნის იმ აუცილებელ პირობებს, რომლის საფუძველზე ყალიბდება მუშათა კლასის მთლიანი კოლექტიური მსოფლ-მხედველობა.

პიროვნების წარმოდგენა ქვეყნის შესახებ მუშავდება იმ შთაბეჭდილებათა ჯამიდან, რომელსაც ის იღებს გარესკნელიდან. აღქმით მიღებული მასალა გადამუშავდება პიროვნების ფსიქიური წყობის და ხასიათის მიხედვით. გარედან მიღებულ მასალების მოცულობა და თვისება ისაზღვრება პიროვნების **ინტერესით**, რომელიც განპირობებული და გამოწვეულია მისი **კლასიური მდგომარეობის** მიხედვით.

მაშასადამე შემოქმედებითი აქტი კონკრეტულ ფაქტორებით არის გამოწვეული და გარკვეული დანიშნულების ანუ გამიზვნის მქონეა.

შემოქმედებითი აქტი უდრის მხატვრული ფაქტის გაკეთების პროცესს. რაიმე რომ გაკეთდეს, ამისთვის საჭიროა უპირველეს ყოვლისა **მასალა**,—მერე ამ მასალის მხატვრული დამუშავების **ხერხები**. (приемы). მხატვრული ფაქტი მასალის და ხერხის ოპერაციის შედეგია. მხატვრული შემოქმედება ხელოვნურ ფაქტის წარმოებაა. ამიტომ შეიძლება ვიხმაროთ მხატვრული ნივთის ცნება. **ნივთის ფორმას ანუ კონსტრუქციას განაპირობებს და განსაზღვრავს,**

როგორც მასალის ხასიათი, ისე თვით წარმოების ტეხნიკური პროცესი.

მაშასადამე მხატვრული ფაქტი „ზე-შთაგონების“ ნაყოფი არ არის. არც „უმანკო ჩასახვა, წმინდა მამათა სავანეში“. შემოქმედების აქტში საიდუმლო ძალები არ მონაწილეობენ. შემოქმედებაც განსაზღვრული შრომის პროცესია. **ილ. ჭავჭავაძე** წლობით ამუშავებდა თავის „განდეგილს“. **ვლ. მაიაკოვსკი** თვეობით სწერდა „Облако в штанах“-ს. მრავალი მაგალითები შეიძლება მოყვანილ იქნას ამის საბუთად.

დიდი პოეტები ყოველთვის დიდი ოსტატები იყვენ. პოეტის ოსტატობა განიზომება იმის მიხედვით, თუ რამდენათ, ფლობს და იმორჩილებს მასალობრივ ელემენტს თავისი მხატვრული ხერხების საშუალებით.

ფორმა და შინაარსი, თუ ხერხი და დანიშნულება.

ძველი კლასიფიკაცია ლიტერატურულ ფაქტის ფორმათ და შინაარსათ დაყოფვის შესახებ მეთოდოლოგიურათ არ აოის სწორი. მეცნიერული მეთოდოლოგიის თვალსაზრისით ლიტერატურული ფაქტი მასალობრივ და ხერხობრივ ფაქტორებისაგან შესდგება.

ლიტერატურულ ფაქტის მასალის ცნებაში შედის: პოეტის მსოფლ-გაგება (შინაარსი) და **სიტყვა** ყველა თავის ატრიბუტებით. ხერხი კი არის მასალის განსაზღვრული აგება—კონსტრუქცია.

სიტყვა, აკუსტიურ (ბგერადი) და სემანტიურ (აზრითი) ელემენტებით ხასიათდება. პოეტი ამ მასალობრივ მოცემულობას, განსაზღვრულ ხერხის თუ ხერხების კომპლექსით ამუშავებს. ბგერადობა: მეტრი და რიტმი. სემანტიკა: მეტაფორა, სახე, (образ), სინტაქსისი და სხვ. ამ ფაქტორებას სათანადო ხერხობრივი შესრულებით კონკრეტულ შემთხვევებში ხასიათდება ლიტერატურული სკოლები თუ ცალკე პოეტი.

ამიტომ ლიტერატურის ისტორია ვიწრო მეცნიერების თვალსაზრისით, მხატვრული ხერხების განვითარების ისტორია არის. ამასთანავე ლიტერატურულ ფაქტების ცვლა, გარკვეულ სოციალურ-მატერიალურ ცვლის შედეგია.

მხატვრული ფაქტი სოციალური მოვლენაა. პოეტის მსოფლ-გაგება თავისი სოციალური ჯგუფის მიხედვათ ეწყობა. პოეტი თავისი ნაწარმოებით გარკვეულ მსოფ-ხედვას იძლევა. მისი პოეტური ფაქტი თავისი სოციალური ჯგუფის იდეოლოგიური მიმართულებით არის გამიზნული.

პოეტის სოციალური გაგნება განაპირობებს, როგორც მასალის არჩევის, ისე პოეტურ ხერხების ანუ მხატვრული ტეხნიკის შინაგან სტრუქტურას. მაშასადამე მხატვრული ფაქტის ძირები გარკვეულ სოციალურ არის პირობებში უნდა ვეძიოთ.

ამით მაინც არ მართლდება ფორმულა „შინაარსის პრიმატი ფორმაზე", რომელიც მხატვრული ნაწარმოების ფორმათ და შინაარსათ დამყოფ თეორეტიკოსებს გამოაქვთ. ეს გაგება პლეხანოვიდან მოდის. **პლეხანოვი** ლიტერატურის განვითარების ეპოქებს ფორმის და შინაარსის მეტ-ნაკლებობის საზომით ხსნიდა. (იხ. „Г. Плеханов. „История русской общественной мысли"). ფორმა მჭიდროთ დაკავშირებულია შინაარსთან ამბობს პლეხანოვი, მაგრამ არის ეპოქები როდესაც ფორმა სჭარბობს შინაარს და პირიქითო.

ვ. მაიკოვსკიმ ფორმის და შინაარსის მონოლიტობის მისამართზე, მახვილათ სთქვა: „ზოგისთვის ფორმა და შინაარსი ხელოვნებაში იგივეა, რაც გენერალი მუნდირში". **ა ლუნაჩარსკი** ამ კალამბურს გამოსავალ თეორეტიულ დებულებათ იხმარს და დაასკვნის, რომ „ზოგიერთ მხატვართა შემოქმედება მუნდირია უგენერლოთ. (ფორმა უშინაარსოთ). ზოგის გენერალი მუნდირში და გენერალი უმუნდიროთ. ამის საილიუსტრაციო მაგალითათ მოჰყავს **დოსტოევსკის** შემოქმედება. დოსტოევსკი, სახელდობრ, ისეთი მხატვარია ამბობს ლუნაჩარსკი, რომელიც თავის შემოქმედებაში გვერდს უვლიდა ტუალეტს, (ე. ი. ფორმას — მუნდირს) და მხოლოთ დაუვარცხნელ უმუნდირო გენერლის (შინაარსის) ფაქტს იძლეოდაო. (А. Луначарский „Достоевский как художник и мыслитель").

ეს მოსაზრება და საერთოთ ამდაგვარი მოსაზრებანი ძირითადათ შემცდარია.

ლიტერატურულ ფაქტში **აუცილებლათ** შედის განსაზღვრული შინაარსი-მასალა, განსაზღვრული მსოფლ-მხედველობითი ელემენტი.

როდესაც ლიტერატურის განვითარების ზოგიერთ ეპოქებს, დაცემის (დეკადანსის) ეპოქებს უწოდებენ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ პერიოდში შექმნილი მხატვრული ნაწარმოები, გარკვეულ კლასიურ შინაარსის, განსაზღვრულ მასალის მატარებელი არ იყოს. ამ შემთხვევაში ეს შინაარსი—ეს მსოფლ-გაგება, აქტუალური და მებრძოლი ხასიათის არ არის, მაგრამ **სახელდობრ—შინაარსის**—ბურჟუაზიის იდეოლოგიის დაცემულობის შინაარსობრივ ფაქტს გვიდგენს.

ამ შინაარსის—მასალის—**ამთვისებელისთვის** გასამზადებლათ საჭიროა განსაზღვრული მხატვრული ხერხების მოხმარება—მისი მხატვრული შესრულება, თორემ მასალა მხატვრულათ შეუსრულე-

ბელი, მხატვრული ხერხის გარეშე, **მასალის საზღვრებს არ სცილ-დება** და ამთვისებელის ემოციონალურ მიმღეობისთვის უვარგისი რჩება.

კერძო მაგალითზე, დოსტოევსკის შესახებ, თქმა იმისა, რომ დოსტოევსკი თავის რომანებს ყოველგვარ მხატვრულ ხერხების გარეშე სწერდა, ეს მიქარვაა.

მთავარი ამბავი—მთავარი შინაარსი—თემატიური ნაწილების მთლიანობა, რომელზედაც მოთხრობილია ნაწარმოებში არის მასალობრივი-ფაბულარული მხარე. მაგრამ **მასალისადმი მიდგომა**, მისი განსაზღვრულ მხატვრულ კონტექსტში მოქცევა და განვითარება, არის **სიუჟეტის აგების ხერხი**. მაშასადამე ფაბულა არის, ის **რაც** იყო ნამდვილათ და სიუჟეტი კი, **როგორ** გაიგო ამის შესახებ მკითხველმა. დოსტოევსკის თხრობის მხატვრული უნარი, სწორეთ ამ სიუჟეტურ ხერხების გამოყენებაში მდგომარეობს.

დასკვნა: ხელოვნურ ფაქტის სპეციფიური, არსებითი მოვლენა არის ხერხი. მხატვარი შემოქმედების აქტის ანუ მხატვრული ფაქტის გაკეთების პროცესში, მხატვრულ ხერხების საშუალებით თანდათანობით იმორჩილებს მასალას, აყალიბებს განსაზღვრულ კონსტრუქციებში, ისე, რომ ნაწარმოების დასრულების შედეგათ მასალის საზღვრები მთლიანათ გადადის ხერხობრივ მოცულობაში.

ხელოვნების კონსტრუქტიულ ნიშნათ არ შეიძლება **ფორმა** მივიჩნიოთ, რადგან, როგორც ამბ. **ბუხარინი** ამბობს, ფორმა ნიშნეული და დამახასიათებელია მთელ რიგ სხვა კათეგორიებისთვისაც. არსებითი ხელოვნებისთვის არის **მასალის ემოციონალური ხასიათი**. ეს არის ძირითადი ნიშანი, რომელიც ნამდვილათ ანსხვავებს ხელოვნებას სხვა საზოგადოებრივ მოვლენათა წყებიდან.

მასალას, რომ ემოციონალური ხასიათი მიეცეს, ამისთვის ის განსაზღვრულ მხატვრულ ხერხებით უნდა გაკეთდეს, ამ მოსაზრებით ხერხის ცნება ემოციონალობის ცნებას ემთხვევა.

მხატვრული ფაქტები გარკვეულ ემოციებს იწვევენ აუდიტორიაში. ახდენენ ფსიხიკის ორგანიზაციას განსაზღვრულ მიმართულებით. ეს არის მხატვრული ფაქტის სოციალურ-ტეხნიკური მიზან-შეწონილება ანუ მისი **დანიშნულება**, რომლის შესახებ შემდეგ წერილებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუჩიშვილი—პროლეტარული პოეტი

(მისი ლექსების წიგნის „შრომისა და ბრძოლის სიმღერები“-ს გამოსვლის გამო. სახელგამი. 1926 წ.).

პოეტი ყოველთვის მოწოდების ზარი უნდა იყვეს, იტყოდა ხოლმე მოხუცი გერცენი. ქუჩიშვილი დაიბადა სწორედ იმიტომ, რომ პირველი მეზარეთაგანი გამხდარიყო შრომის, სამოქალაქო და რევოლიუციონურ მოტივების ქართულ პოეზიაში. დავითაშვილისა და ევდოშვილის შემდეგ—ქუჩიშვილი, ჩხიკვაძე და ზომლეთელი სამი მთავარი ფიგურა ხალხური რევოლიუციონური პოეზიის, და დამახასიათებელია, რომ ზომლეთელთან ერთად,—თუმცა ზომლეთელზე უფრო გვიან ქუჩიშვილიც საბოლოოდ შეეზარდა პროლეტარულ რევოლიუციასა და სოციალისტურ აღმშენებლობას.

ბრძოლის ტრიბუნი და ნამდვილი სახალხო პოეტი ქუჩიშვილი—დიდი პოპულიარობით სარგებლობს და მით უმეტეს სარგებლობდა წინეთ მშრომელ მკითხველთა წრეებში, იგი თავისი მხატვრული პროდუქციის რაოდენობით და ხარისხობრივადაც საკმაოდ საგრძნობ ფიგურას წარმოადგენს, მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა ქუჩიშვილის შემოქმედება აქტუალურ გამოძახილს არ ჰპოებს ლიტერატურული კრიტიკის სფეროში, რაიც პროლეტარული კრიტიკის სისუსტედ უნდა ჩაითვალოს. ეს პატარა შენიშვნა, რა თქმა უნდა, ვერ გამოასწორებს ამ ნაკლს,—ქუჩიშვილი ლიტერატურის ისტორიაშია უკვე შესული და როგორც ასეთი ლიტერატურულ-ისტორიულ კვალიფიკაციას ითხოვს.

მეტად მდიდარია ქუჩიშვილის წარსული!

კაპიტალისტური ქალაქის ქუჩა, თავისი განაპირა უბნებით, სამიკიტნოებით, პროსტიტუციითა და განაწამები ლუმპენ პროლეტარიატით—ასეთია პირველი ატმოსფერა პოეტის. მაგრამ როგორც ქალაქის მუშათა კლასის, მისი ბოგემის და ნაძირალების,—სწორედ ისე ქუჩიშვილის წარსულიც გლეხურია. ყოველივე ეს გასაგები და ბუნებრივია. საყურადღებოა მხოლოდ ის გარემოება, რომ ქუჩიშვილის შემოქმედებაში სოფელი სულ სხვა მსოფლ-შეგრძნობით, სულ

სხვა თვალთახედვით არის წარმოდგენილი, ვიდრე ქალაქი. თუ ქალაქში ქუჩიშვილი—სოციალურ ფსიქოლოგიით იმსჭვალება, სოფელში იგი უმთავრესად იდილიისა და ბუნების იდეალიზაციის პოეტად გვევლინება. მოგონება სოფლის შესახებ და ლექსები სოფლის ცხოვრებიდან ქუჩიშვილს ავიწყებენ ქალაქის სოციალურ ბოროტებას, სოფელი თითქოს ამ მხრივ ქალწულია, თითქოს იქ არ იყვეს სოციალური უთანასწორობა. იქაც, სადაც ქუჩიშვილი სოფლის შრომას ასახავს, ეს შრომა მეტად იდეალური და უნაკლოა, აქ იგი ვერ ნახულობს სოციალურ ბოროტებას. ასეთ დასკვნას მივიღებთ ისეთი ლექსების შესწავლის შემდეგ, როგორიცაა: „ყანაში“ (იდილიური სურათი გლეხური შრომის), „ირმის ჩივილი“ (ჩვეულებრივი ჰუმანიზმი), „მწყემსის სიმღერა“ და სხვ. ასეთი იდეალიზაცია აღმზრდელი სოფლისა („მომენატრება მშობლიური სოფელი მერე“) გამოწვეულია კონტრასტების გრძნობით. ქალაქი, რომლის მკვიდრი და პოეტი ხდება ქუჩიშვილი ბოროტად აშიშვლებს სოციალურ ავადმყოფობებს, სოფელში კი ეს შედარებით ნაკლებ მწვავეა, შეფერადებულია და აქედან სოფლის იდეალიზაცია—ხალხოსნური ტენდენციები.

* * *

სოფელი ერთ-ერთი მხარეა ქუჩიშვილის შემოქმედების. მთავარია ქალაქი და აქ იგი პირველად ყოვლისა გვევლინება ლუმპენ პროლეტარიატის ტრიბუნად. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია 1915 წელს გამოშვებულ წიგნისადმი წამძღვარებული პროზაული მიძღვნა, რომელიც ბევრად ფურო ძლიერად მეტყველებს, ვიდრე ლექსი:

„მათ, რომელთა გმინვა-გოდებასაც დაუხეთქნია ქალაქის მარმალილოს ცივი კედლები.

მათ, რომელთა მომსკდარ ცრემლთა ღვართქაფსაც აუყრია ქუჩის ქვაფენილები;

მათ, რომელთა სიშიშვლესა სიძვალტყავესაც დამფრთხალ ცახცახით შემოუვლია სიმდიდრით სავსე ძუნწი ქალაქი და რომელთა საზრდოც ყოფილა ნერწყვი;

მათ, რომელთაც არ გააჩნიათ თავშესაფარი და რომელთა მოთქმა-ვაებასაც დაურღვევია მყუდროება მძინარე ღამის.

საყვარელ ჩემს დებს, პროსტიტუტკებს, ქუჩის დობილებს და ყველა ლოთებს, სამიკიტნოს შეზრდილ ძმობილებს;

უსინათლო მემუსიკეებს, რომლებიც დადიან ქუჩიდან-ქუჩაში, ეზოდან-ეზოში და სტირიან მათთვის დაკარგულ მზეზე;

ათასი სენით, ათაშანგით პირ-დაჭმულ ქუჩებს და ამ ქუჩებში

მოწანწალე ჩემს დიდს ტკივილებს: ოხერ და ობოლ ქუჩის ბავშებს, ქუჩის ყვავილებს, რომელთაც ადრე შესწყვეტიათ ზრუნვა-ალერსი და უპატრონოდ იღრჩვებიან გარყვნილებაში—ვუძღვნი ამ წიგნაკს...“

წრე, რომლითაც უმთავრესად დაინტერესებულია ქუჩიშვილი ამ მომენტში—ქალაქის ქუჩის მცხოვრებთა წრეა. დაწყებული მოხეტიალე მუსიკოსით, პროსტიტუტკით და გათავებული მუშით. პროსტიტუტკას ქუჩიშვილი იმიტომ სცემს პატივს, რომ იგი სოციალურ უთანასწოროების მსხვერპლია. ჯერ კიდევ დოსტოევსკის გმირი როსკოლნიკოვი („Преступление и наказание“) აცხადებდა, რომ ქურდობა პროტესტია განსაზღვრულ სოციალურ წყობილების მიმართ, რადგან არსებული თადარიგი არ აკმაყოფილებს ადამიანს. ქუჩიშვილის ლექსების: „ლოთი“-ს, „უთვისტომო“-ს, „ნაგავში“-ს, „პაწაწინა მათხოვარი“-ს, „ქუჩის ქალი“-ს და სხვათა გმირები პროტესტანტებია. განსაკუთრებით უყვარს ქუჩიშვილს მოხეტიალე მემუსიკე და კერძოთ ქურხული,—რადგან იგი ქალაქის ამ ტანჯულ პროტესტანტთა ატირებული სულის მომღერალია, ქუჩიშვილთან ერთად:

„იხეტიალე ქუჩის ჭრელ ბრბოში,
სთესე ჰანგები ზე-ქვეყნიური,
და თან ჩაიტა ოხერ კუბოში
მისდამი ტრფობა და სიყვარული.“

მეტად დამახასიათებელი და სიმვოლიურია ქურხულის და ქუჩიშვილის ასეთი ყოველმხრივი და უმთავრესად კი სულიერი მეგობრობა—პირველი ქუჩის მუსიკოსია, მეორე მისივე პოეტი. რით არ არიან ქუჩიშვილის პერსონაჟები სულით ისეთივე მაღალი და მდიდარი, როგორც ქურხული. ვინ დაამტკიცებს, რომ ის ლოთი, რომელზედაც ასეთის ძმური და პოეტური მზრუნველობით სწერს ქუჩიშვილი: პატიოსანი მშრომელი არ არის, და ლოთობაში გადავარდნილი იმისთვის, რომ პოლიციამ მისი პიროვნება ჩაჰქოლა? ვინ იტყვის, რომ პროსტიტუტკა, რომელიც ასე მწარედ გამოიტირა ქუჩიშვილმა—ეგნატე ნინოშვილის ქრისტინეს უმცროსი დაი არ არის. გათელილი ადამიანის, დაცემული ადამიანის, მშრომელის, ყოფილი მშრომელის, ან ეხლა მაწანწალასი, ან გაუბედურებულ ყოფილი ოჯახის პატრონის,—ამ ცხოვრების ფსკერზე (На дне) უნუგეშო წიწილებივით თავმოყრილთა ბედს, რომელთაც სინამდვილე მტაცებელი ქორივით დასტრიალებს—უმღერის ქუჩიშვილი. ამ თემაში, ამ სფეროში, ამ ადამიანებში შეუდარებელია ქუჩიშვილი. სამწუხარო მხოლოდ ის იყო, რომ ამ ადამიანთა ასახვის დროს ქუჩიშვილი ხშირად იმავე ანარქო-სასოწარკვეთილ განწყობილებებს ემორჩილებოდა, როგორსაც

განიცდიდენ მისი გმირები. ეს გასაგებიც არის. თვით ქუჩიშვილი ხომ მათი განუყოფელი ნაწილი იყო. ამ მხრივ,—ესე იგი თემატიურად და ინდივიდუალური მწერლური ფსიქოლოგიით ქუჩიშვილს ბევრი რამ ნათესაური აქვს რუსეთის უდიდეს მწერალ მაქსიმ გორკისთან. ქუჩა ქართულ ლიტერატურაში ყველაზე ძლიერად და ადრე ქუჩიშვილმა აამღერა. ის იყო ქუჩისა და ლუმპენ პროლეტარიატის პოეტი და უმთავრესად ამ მხრივ შედის იგი ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

ლუმპენ პროლეტარიატს არ ახასიათებს გარკვეული მიზნობრიობა. იგი ანარქიულია, უკმაყოფილო, უიმედო, მებრძოლად განწყობილი და სამი მთავარი პერსპექტივა ესახება, პირველი: ბოგემა, სოციალური ფსკერი (дно), მეორე: ორგანიზაციულად დარაზმულ კოლექტივისტურ პროლეტარიატის რიგებში განმტკიცება, ან და მესამე: წვრილბურჟუაზიული „მზის სინათლეზე“ ამოსვლის სურვილი. ყველა ეს სამივე თვისებები ახასიათებენ ქუჩის პოეტსაც. ამიტომ აღმოჩნდა შესაძლებელი ქუჩიშვილის, თუმცა დროებითი, მაგრამ მაინც დამახასიათებელი გატაცება იმ წვრილბურჟუაზიულ ილიუზიებით, რომელსაც მენშევიზმი ჰქვია. ასეთი ავანდმყოფური წვრილ-ბურჟუაზიული იდეები საკმაოდ დიდხანს ასულდგმულებდენ პოეტს, რის გამო მარქსისტული კრიტიკა და კომუნისტები იძულებული იყვენ ებრძოლნათ მის წინააღმდეგ, მაგრამ საქართველოს გასაბჭოების, ჭეშმარიტ სოციალისტურ რევოლიუციის ჩვენს ქვეყანაში გამარჯვების შემდეგ, ნამდვილმა პროლეტარულმა რევოლიუციონერმა თანდათან დასძლია ქუჩიშვილში წვრილ-ბურჟუაზიულ ანარქიულ პოეტს. დღეს კი ქუჩიშვილი თანდათან უახლოვდება პროლეტარული პოეტის ტიპს, რომელსაც მთელი თავისი ბუნებით შეუგნია და შეუგრძნია როგორც პროლეტარიატის მიზანი, ისე გზა ამ მიზნის განხორციელებისა. ამაში დასარწმუნებლად საკმარისია შევისწავლოთ სახელგამის მიერ გამოცემული წიგნის პირველი განყოფილება:

I. „ცეცხლი.
მაშ ცეცხლი.
გააჩაღეთ,
დაანთეთ ცეცხლი.
ცეცხლის ალმურში ჩაიფერფლოს
ქვეყანა ძველი.
ჩვენ ავაშენებთ:
ახალსა და ლამაზ ქვეყანას

ახალ კულტურით
და ახალი ყოფა-ცხოვრებით“.
(„პროლეტარიატ“)

II. „ქარხნის საყვირი ჰიმნია დილის
ჰიმნი ბორკილ-აყრილი შრომის;“
(„ქარხნის საყვირი“)

III. „თქვენი მუზაა ნაზი ამური,
მის საამური
ჰიმნიც შეჰქმენით;
მე კი, რუხ ქარხნებს
მივაპყარ ყური და მედიდური
ხმათა მოსმენით,—
შევქმენ ლექსები,
მუსიკალური, პროლეტარული
განცდით და რწმენით.
და თუ დამიწყეთ
კვლავ სამდურავი,
რომ არ ვღიღინებ
თქვენებურ ხმაზე,—
გეტყვით: ნუ სწუხართ ჩემთვის ნურავინ,—
შრომაში ვპოვე მე სილამაზე“.
(„ჩონგური შრომის, ჩონგური ბრძოლის“)

დამახასიათებელია აგრეთვე „ახალი ნანა“. თუ შევადარებთ ამ ნანას ქუჩიშვილისავე 1905 და 1910 წლებს შორის დაწერილ „ქუჩის ნანას“,—დავინახავთ თუ როგორ განვითარდა პროლეტარული მიმართულებით პოეტი.

„ქუჩის ნანაში“ „ქუჩის შვილთა მოთქმა და ზარი“ ისმის, „ახალ ნანა“-ში კი „განახლებულ ცხოვრების მზე“ უცინის ბავშვს: ეს ნანა (ახალი) თამამად შეიძლება გახდეს პროლეტარული ოჯახის კუთვნილებად, მომავალი თაობის აღსაზრდელად. თუ კი ილია ჭავჭავაძის ნანაზე იზრდებოდა წინეთ ახალი თაობა, დროა პროლეტარული „ნანა“ შევიდეს ახალ ოჯახში.

დამახასიათებელია აგრეთვე ქუჩიშვილის შემოქმედების უახლოესი პერიოდისთვის: „ლენინი“, „სტამბაში“, „გულის ხმა“, „გაფრთხილება ყველა ქვეყნის შოვინისტებსა და რეაქციონერებს“ და სხვ. მხოლოდ სათაურები რომ ჩამოვსთვალოთ, ჩვენთვის ნათელი გახდება თუ რა აინტერესებს, რა თემებში ტრიალებს უკანასკნელ

ხანებში ქუჩიშვილი. ავიღოთ მაგალითები კიდევ: „მუშა ქალს“, „ქარხნის საყვირი“, „სტამბაში“, „სადურგლოში“, „ქარხანაში“, „საფეიქროში„ და სხვ. რა თქმა უნდა მხოლოდ თემით არ ხასიათდება მწერლის პათოსი. მწერლის პათოსის გამოსარკვევად საჭიროა ვიცოდეთ თუ „როგორ“ უდგება მწერალი საკითხს; ამ მხრივ ჩვენთვის საკითხი გამორკვეულია ზემოდ მოყვანილი ამონაწერებიდან და საერთო დახასიათებიდან.

*
* *

რაიც შეეხება ქუჩიშვილის მხატვრულ ფორმას, აქ განსაკუთრებულს ვერაფერს ვიპოვით მის შემოქმედებაში. ქუჩიშვილში ერთდება ორი მთავარი ფორმალური დასაბამი: კლასიკები (აკაკი, ვაჟა, ილია) და ხალხური ლექსი. ალაგ-ალაგ განსაკუთრებული დამუშავება ხალხური შაირის იძლევა არაჩვეულებრივ მხატვრულ ეფექტს:

„დოქით წყალზე მიდიოდა
გოგო ფეხ-შიშველი,
თვალი მომკრა და შეჩერდა
როგორც ნაზი შველი“.

(„შეხვედრა“)

შევხვდებით ბარათაშვილის „მერანი“-სებრ ადგილებსაც:

„ნურც დამლევია
ზიზღითა და ფურთხით ხსენება,
მთელ სიცოცხლეში სულმა ჩემმა
ნუ გაიხაროს;
ვერსად გავექცე ხალხის წყევას
და შეჩვენებას,—“
. . . . და სხ.

(„ჩემი გულის თქმი“)

როგორც ცნობილია, ქუჩიშვილი სახალხო ტრიბუნია, ამიტომ იგი პოპულიარული და გასაგები უნდა ყოფილიყო. ასეც არის სინამდვილეში, მისი ლექსი არ არის დატვირთული სახეებით, და მეტაფორებით. მთავარი „სამკაული“ ქუჩიშვილის ლექსისა რითმები და დამაჯერებელი მხატვრული თქმებია. ძლიერ მხატვრულ საშუალებათაგან, რომლითაც შეგიძლია ინტიმური და საგრძნობი გავლენა მოახდინო მსმენელზე—ქუჩიშვილს კარგად გამომუშავებული აქვს საკუთარი სასაუბრო ენა:

„გინდათ გაიგოთ
ამა მსხვერპლთა

რაოდენობა?
მაშ დაითვალეთ:
ზღვაში ქვიშა,
ცათა ფრინველნი,
ანდა ვარსკვლავნი,
მათ თვალებს რომ
მოგვაგონებენ!“
(„პროლეტარიატ“)

ჟანრის მხრივ ‘ქუჩიშვილი უფრო ლირიკოსია ვიდრე ეპიკოსი, თუმცა ეპიური პოემები და მოთხრობები საკმაოდ მოეპოება.

*
* *

ჩვენ შეეცადეთ მოკლედ დაგვეხასიათებია ქუჩიშვილი იმ წიგნის მასალებით, რომელიც გამოიცა სახელგამის მიერ. დასკვნა, რომელსაც ჩვენთან ერთად მკითხველიც გაიზიარებს, შემდეგში მდგომარეობს:

ქუჩიშვილის ლიტერატურული წარსული ლუმპენ პროლეტარული, ანარქიული და ამასთანავე წვრილ-ბურჟუაზიულია, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი შეთავსება წვრილ-ბურჟუაზიულ და ლუმპენ პროლეტარულ ტენდენციებისა მეტად საკვირველი და თავისებურია. დღეს ქუჩიშვილი თემების სიახლისა და ორიგინალობის მხრივ და აგრეთვე ფორმალურადაც ვერ უთანასწორდება თანამედროვეობის მოთხოვნილებებს, მაგრამ თავისებურად, ზიგზაგებით მაინც მოვიდა პროლეტარულ მწერლობასთან, თუმცა არ შედის პროლეტარულ მწერალთა იმ ოჯახში, რომელსაც პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია ჰქვია. უკანასკნელი გარემოება სრულებით არ გვაძლევს უფლებას დავამციროთ ქუჩიშვილი, როგორც მოქალაქე და პოეტი.

სიმონ ხუნდაძე

ნარკვევები ქართული აზროვნების ისტორიიდან

I

პარიზის კომუნა და ჩვენი ინტელიგენცია 70-იან წლებში

პარიზის კომუნას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საერთაშორისო მუშათა მოძრაობისა და სოციალიზმის ისტორიაში. მე-XIX-ე საუკუნის სოციალური ბრძოლის ისტორიაში პარიზის კომუნარების ცდები განსაკუთრებულ ღირებულებას წარმოადგენენ საზოგადოებრივი აზროვნების გამოსაფხიზლებლად და რევოლიუციონური შეგნების გამოსამუშავებლად. დღეს ისტორიული ფაქტია ის, რომ პარიზის რევოლიუციის მთავარი გმირები თავიანთი სოციალური ყოფით პროლეტარები იყვენ, და რომ პარიზის მუშათა კლასმა სრულიად სტიქიურად და შეუგნებლად,—გარკვეულ ობიექტიურ პირობების ზეგავლენით—მოინდომა თავისი საკუთარი, პროლეტარული რესპუბლიკის დაწესება. ამ რიგად პარიზის კომუნა გარკვეული პროლეტარული მოძრაობა იყო, შეიძლება ჯერ კიდევ ბუნდოვანი, მაგრამ მაინც კლასიური პროლეტარული შეგნებითა და მიზნებით. თუ ევროპის რევოლიუციებს, დაახლოებით 1848 წლამდე მეთაურობდა ბურჟუაზია და ძირეულად ეს რევოლიუციები მიმართული იყო ფეოდალური წყობილების წინააღმდეგ, 1848 წლის ივლისის დღეებიდან გარდუვალი უფსკრული გაითხარა წინად ფეოდალიზმის წინამღმდეგ ერთად მებრძოლ პროლეტარიატსა და ბურჟუაზიის შორის, ხოლო პარიზის კომუნის მოძრაობა უახლესი და ულრმესი გამოხმაურება იყო ამ ახალი კლასიური ბრძოლისა.

ამ წერილის მიზანს არ შეადგენს პარიზის კომუნის ისტორიის შესწავლა. ჩვენ სხვა განზრახვა გვაქვს. ჩვენი მიზანია გამოვარკვიოთ, თუ როგორი გავლენა მოახდინა პარიზის მუშების აჯანყებამ ქართულ ინტელიგენციაზე 70-იან წლებში. სამწუხაროდ ამ თემას ჯერ-ჯეროობით ჩვენს ლიტერატურაში არავინ შეხებია. ხოლო ჩვენს პრესაში (70-იან) წლებში დაგროვილი მასალები საშუალებას გვაძლევენ და-

ახლოვებით გამოვარკვიოთ ის თუ, როგორი იყო ჩვენი ინტელიგენციის შორეული გამოძახილი პარიზის მუშების რევოლიუციაზე.[1]

როგორც ზევით ვწერდით, პარიზის კომუნის მოძრაობა გარკვეული კლასიური პროლეტარული შინაარსისა იყო, და ამიტომ მას განსაკუთრებული გავლენა შეეძლო მოეხდინა სოციალისტურად და რევოლიუციონურად განწყობილ ინტელიგენციაზე. კითხვა იბადება იყო კი ინტელიგენციის ასეთი კონტინგენტი ჩვენში 60-70-იან წლებში?

ამ კითხვაზე ჩვენ შეგვიძლია დადებითად უპასუხოთ. ვინც 60-70-იან წლების ჩვენ პრესას გულდასმით გადაიკითხავს, ის ნათლად შეამჩნევს, რომ ამ პერიოდში ჩვენს ლიტერატურაში უკვე შემოიჭრა რუსეთისა და ევროპის უტოპიურ სოციალიზმის თეორიები; რომ ჩვენი ახალთაობის ინტელიგენციამ უკრიტიკოდ შეითვისა ეს სოციალისტური სისტემები და მათი გადმონერგვა მოინდომა საქართველოს ნიადაგზე.

ცნობილია, რომ 50-იან წლების მიწურულებსა და 60-იან წლების დასაწყისში რუსეთში იწყება დიდი საზოგადოებრივი მოძრაობა; განსაკუთრებით **ნ. ჩერნიშევსკის** სოციალისტური თეორიების ზეგავლენით დაიწყო რევოლიუციონურ აზროვნების შემუშავება და სტუდენტთა მოძრაობა არსებულ წყობილების წინააღმდეგ. ამ საერთო რევოლიუციონურ გატაცებაში მოყვა ჩვენი ახალთაობის ინტელიგენციაც, რომელიც მაშინ მოსკოვისა და ლენინგრადის უნივერსიტეტში სწავლობდა. ცნობილია, რომ ჩვენი სტუდენტების საგრძნობმა ნაწილმა (ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, კ. ლორთქიფანიძე, ღოღობერიძე და სხვა) მონაწილეობა მიიღეს 1861 წ. ლენინგრადის სტუდენტთა მოძრაობაში და ამ რიგად ეზიარენ რუსეთის საერთო რევოლიუციონურ მოძრაობას. ისიც ცნობილია, რომ ნაწილი ამ ახალი თაობისა ჩერნიშევსკის დიდ გავლენას განიცდიდა და საერთოდ ნაროდნიკული თეორიებით იყო გატაცებული. აი მაგ. რას სწერდა 1865 წ. **ნ. ნიკოლაძე** ჰერცენის **კოლოკოლში**: „ჩვენ რელიგიურად დარწმუნებული ვართ იმაში, რომ ერთად ერთი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების ფორმა, რომელსაც შეუძლია მოუტანოს ნამდვილი სარგებლობა საქართველოს, არის თემობრივი (общинное) განაწილება მიწისა და ყველა სხვა საკუთრებისა, და თემობრივი ორგანიზაცია, როგორც სახალხო შრომისა, ისე სახელმწი-

[1]) ამ წერილში ჩვენ მხოლოდ ნაწილობრივ ვიძლევით მასალებს ამ საკითხის გასაშუქებლად. უფრო ვრცლად ეს საკითხი განხილული იქნება ქართული სოციალისტური აზროვნების ისტორიასთან დაკავშირებით ჩვენ წიგნში: „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში“.

ფოებრივი მმართველობისა..ღრმად დარწმუნებულნი ასეთ სახელმწიფოებრივი წყობილების უდიდესს სარგებლობიანობაში, ჩვენ უნდა ვცდილობდეთ, რაც შეიძლება უახლოეს დროში შემოვიღოთ იგი (თემობრივი წყობილება) საქართველოში"...[1]) აქ უკვე ნათლად გამოკვეთილი ნაროდნიკული აზრი არის გამოთქმული. ცხადია, რომ ჩვენმა ინტელიგენციამ უკვე მე-60-ე წლების დასაწყისიდან შეითვისა ნაროდნიკული თეორიები და უკრიტიკოთ შეუდგა მის გადმონერგვას საქართველოში. გაზ. **დროების** (დაარსდა 1866 წ. გ. წერეთლის რედაქტორობით) ფურცლებზე ჩვენ უხვად გხვდება ნაროდნიკული თეორიების ზეგავლენით დაწერილი წერილები, ხოლო 1872 წელს ქართველმა ნაროდნიკებმა უკვე პარტია დაარსეს ჩვენში. მაგრამ არა მარტო ნაროდნიკული თეორიები, არამედ ევროპის უტოპიურმა სისტემებმაკ ჰპოვეს ჩვენში მიმდევრები. ასეთი არის მაგ. **გრ. თარხანმოუარვის** წერილები 1868-72 წლების **დროებასა** და ჟურ. **მნათობში.** ლასალსაც გამოუჩნდა ჩვენში თავისი დამცველი და მოწინააღდეგე (იხ. **დროება** 1870 წ. და **მნათობში** 1872 წ) **ან. ფურცელაძემ** მოგვცა 1871 წ. პირველი ცდა ევროპის უტოპიურ სოციალიზმის მოძღვრებათა განმარტებისა (იხ. **მნათობი** 1871 წ.). აქვე უნდა აღინიშნოს **ნ. ინაშვილისა** და **მ. ქიქოძის** წერილები მნათობში (1869-71 წლებში). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ნიკოლაძე საქართველოში დაბრუნების შემდეგ (1868-9 წლებში) მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში და თავისებურად იცავდა სოციალურ პრინციპებს. ამავე ნიკოლაძეს **დ. მიქელაძესთან** (მეველე) ერთად 1873 წელს გამოუცია პარიზში ქართული გეკტოგრაფიული გაზეთი შემდეგი სათაურით: **„დროშა", ქართული სოციალური გაზეთი,** რომლის სამი ნომერი ამ ჟამად ბრიტანეთის მუზეუმში ინახება. აქედან ცხადია, რომ ჩვენში 60-70-იან წლებში უკვე მოღვაწეობდა სოციალისტურად განწყობილი ინტელიგენცია. ჩვენ აქ არ შევეხებით, უკეთ ადგილის უქონლობის გამო ვერ შევეხებით იმ საკითხს, თუ როგორ **ისტორიულ-სოციოლოგიურ საფუძვლებზედ** აღმოცენდა ჩვენი ინტელიგენციის ასეთი გადახრა სოციალისტური მიმართულებით. ამას ვრცლად ვეხებით ზემოდ დასახელებულ ჩვენს ნარკვევში.

აქ ჩვენ აღვნიშნავთ კიდევ შემდეგ ფაქტს. უკვე 70-იან წლების დასაწყისიდანვე ჩვენი ინტელიგენციის წინაშე ფაქტიურად წამოიჭრა ჩვენში მუშათა საკითხი; ჩვენში უკვე დაარსდა რამოდენიმე ფაბრიკა

[1]) იხ. Рио-Нели (ნ. ნიკოლაძე) „Освобождение Крестьян в Грузии" ჟურ. **Колокол** № 199, 1865 წ.

და ჩვენი სოციალისტურად განწყობილი ინტელიგენციაც შეეცადა ტფილისის მუშათა საკითხის „წესიერად“ მოგვარებას (იხ. დროება № 45. 1871, აგრეთვე 1872 წ. № 3 და სხვ.). ამრიგად როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად ჩვენი ინტელიგენცია სცდილობდა მუშათა საკითხის მოწესრიგებას და მასთანვე იგი დიდ ყურადღებას აქცევდა მუშათა მოძრაობის საქმესაც ევროპაში. რასაკვირველია, ეს იყო მაშინდელი ინტელიგენციის მიერ თავისებური მიდგომა აღნიშნულ საკითხებისადმი: სწორი მეცნიერული შეხედულება მას არ შეიძლება ჰქონებოდა.

ზემოდ მოყვანილი ფაქტები საკმაოდ ამტკიცებენ იმას, რომ ჩვენი ინტელიგენცია 60-70 წლებში დაინტერესებული იყო მუშათა და სოციალიზმის საკითხებით. ამას ნათელს ფენს აგრეთვე შემდეგი —მეტად საინტერესო ლიტერატურული დოკუმენტები: რამოდენიმე წერილი **პირველი ინტერნაციონალის** (1864-72 წ.) შესახებ და აგრეთვე მთელი რიგი წერილებისა და ის აღფრთოვანება და თანაგრძნობა, რომელიც გამოუცხადა ქართულ ინტელიგენციის ნაწილმა **პარიზის მუშების აჯანყებას**. ამაზე ქვევით. რაც შეეხება პირველ დოკუმენტს—ის საინტერესო არის რუსეთის ლეგალურ პრესაში პირველ ინტერნაციონალის შესახებ ცენზურის პირობების გამო არაფრის დაწერა არ შეიძლებოდა იმ ხანებში. ჩვენში ამ წერილების გაშვება ალბად აიხსნება ჩვენში მომქმედ ცენზორის ჩამორჩენილობით და უყურადღებობით.[1] ჩვენ არ შეგვიძლია ეს დოკუმენტი არ მოვიყვანოთ მთლიანათ, რადგან მასში გამოთქმული არის ჩვენი ნორჩი ინტელიგენციის სიმპატია მუშათა პირველ საერთაშორისო ორგანოებისადმი, რომელსაც მეთაურობდა კ. მარქსი. ცხადია 70-იან წლებში ინტელიგენციის ნაწილი იცნობდა კ. მარქსა და მის მოღვაწეობას. მასთანავე ამ დოკუმენტისათვის ჩვენს ლიტერატურაში ჯერ კიდევ არავის არ მიუქცევია ყურადღება; იგი კი ღირსი არის არ იქნეს დამტვერილი ისტორიის მიერ. აი ეს დოკუმენტი.

ხალხთა შორის მუშების საზოგადოება.

ზოგიერთს გაზეთებში სწერენ ამ უკანასკნელ დროს, რომ პარიზში არეულობის მომხდენი და მოთავე ის მუშების საზოგადოება იყო, რომლის სახელი ჩვენ ზევით ამოვიწერეთ: ამბო-

[1] 80-იან წლებში ბოროზდინი უსაყვედურებდა ტფილისში მომქმედ ცენზორს, რომ იგი არ აქცევდა შესაფერისს ყურადღებას პრესას, და ამიტომ ნ. ნიკოლაძეს შეძლება ჰქონდა ევრცელებია ხალხში თავისი ნიღილისტურ-სოციალისტური აზრები. (იხ. Былое 1907 წ.)

ბენ, რომ პარიზის მუშებს, ლონდონისა და ბერლინის კომიტეტებიდან მოსდიოდა ინსტრუქცია და დარიგება—თუ როგორ უნდა მოქცეულიყვენ ისინი და როგორ უნდა წაეყვანათ არეულობის საქმე. ამიტომ ამ საზოგადოებას ახლა უფრო მომეტებულ მნიშვნელობას აძლევენ და ამიტომაც ბევრს სწერენ იმაზე გაზეთებში. აქ მოგვყავს შემოკლებითი **ცნობები მართლა ამ ბევრის მხრით შესანიშნავს საზოგადოებაზე.**

ეს საზოგადოება ან ასოციაცია შემდგარია თითქმის მხოლოდ მუშა ხალხისაგან, მაგრამ იმის წევრებათ არიან აგრეთვე ისეთი მწერლებიც და სხვა პირებიც, რომელნიც გამოჩენილი არიან თავის ხალხის მოყვარული აზრების და, რომელთაც ჰსურთ მდაბიო ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესება. სულ წევრების რიცხვი ორ მილიონ ნახევარია (2.500.000). ესენი თითქმის მთელ დედა-მიწაზე არიან გაფანტულნი: **ყველგან, ხაცა კი ცოტაოდნათაა შესული მუშებში განათლების სხივი, ყველგან ნახავთ ამ ასოციაციის წევრებს.** ცენტრალური მმართველობის კომიტეტი კი ლონდონშია, აქ სწყდება ასოციაციის ყველა საზოგადო და ღირსშესანიშნავი საქმეები. სხვაგანაც, სატახტო ქალაქებში, არიან ამ კომიტეტის განყოფილებანი, მაგალითად: პარიზში, ბერლინში, ვენაში, ფლორენციაში, ბრიუსელში, ჟენევაში, და აგრეთვე ამერიკის ბევრ ქალაქებში. უმთავრესი, ანუ ცენტრალური ლონდონის კომიტეტი თუთხმეტი წევრისაგან არის შემდგარი, ყოველ კვირას ამ კომიტეტს უცხო-ქვეყნების კომიტეტებისაგან მოსდის იმათი მოქმედების ანგარიში და სხვადასხვა საჭირო ცნობები, როგორც მაგალითად: 1. ადგილობრივ პოლიტიკურ მოძრაობაზე და სავაჭრო საქმეებზე; 2. უწყება ახალ წევრებზე; 3. თავის ლონის-ძიების მდგომარეობაზე; 4. მდიდართ ფაბრიკანტებისა და თანხის პატრონების სია. 5. თავიანთი მოქმედების და გადაწყვეტილების ანგარიში და სხვა. ამ ასოციაციას ძალიან დიდი შეძლება აქვს: ყოველი წევრი, ყოველი მუშა, შეძლებისა და გვარათ, თითო-ოროლ შაურს სწირავს კვირაში და აქედან დიდი ფული შესდგა. **უმთავრესი დანიშნულება ამ საზოგადოებისა ისაა, რომ ყოველ ლონის-ძიებით და ყოველ შემთხვევაში მუშებს ხელი მოუმართოს და ეცადოს მისი ცუდი მდგომარეობის გაკეთებაზე.** ამ აზრის მისაღწევად ასოციაცია სცემს წიგნებს და გაზეთებს მუშებისათვის, ჰკითხულობს საპუბლიკო ლექციებს, მართავს იმათთვის საავათმყოფოებს და

საკითხავ ოთახებს და სხვა. **ეს ასოციაცია არის მთელი ქვეყნის მუშების შემაერთებელი. ის სცდილობს, რომ ყველა მუშებს ერთი აზრი, ერთი წადილი და ერთნაირი მოქმედება ჰქონდეთ.** ვსთქვათ სადმე რომელიმე ფაბრიკანტი მუშებს ავიწროებს, ცოტა ჯამაგირს აძლევს ან ბევრს ამუშავებს და ამის გამო ამათ შუა უთანხმოება მოხდა და მუშებმა თავი დაანებეს მუშაობას (შეადგინეს „სტაჩკა"), რომ ამათ ჯამაგირი მოამატებინონ ფაბრიკანტს; მაშინვე ცენტრალური კომიტეტი უგზავნის ამ მუშებს ფულებს, რომ დრომდი შეიძლონ ცხოვრება და დარიგებას აძლევთ ამათ, თუ როგორც უნდა მოიქცენ.

ერთი სიტყვით, სხვა არა იყოს რა, ეს ასოციაცია მარტო იმითაა შესანიშნავი, რომ ამდენი წევრები და შეძლება, მგონი არც ერთ სხვა საზოგადოებაში არ იპოვნება, და თუ ამ სახსრებით რიგიანათ მოხმარება დასცალდათ და შეიძლეს, უეჭველია იმას ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება შემდეგში, როდესაც მუშების მდგომარეობას ახლანდელზე უფრო მომეტებული ყურადღება ექნება მიქცეული".[1] (კურსივი ჩვენია).

მკითხველი შეამჩნევს, რომ წერილის ავტორი ერთობ ფრთხილად ლაპარაკობს პირველი ინტერნაციონალის შესახებ: ინა-ლის პოლიტიკურ მხარეებს და პროგრამის საზოგადო მიზნებს თითქმის სრულიად არ ეხება, უკეთ ვერ ეხება. ეს აიხსნება ცენზურული პირობებით. ავტორმა იმდენად დეტალურად იცის პირველი ინტერნაციონალის ორგანიზაციული სტრუქტურა, მისი მოღვაწეობა და მნიშვნე-

---

[1]) იხ. გაზ. დ რ ო ე ბ ა № 23 ხელმოუწერელი წერილი: „ხალხთა შორის მუშების საზოგადოება", ერთ-ერთ უცხოეთის მიმოხილვაში 15 აპრილის ნომერში დროების თანამშრომელი სწერს: „ამბობენ, რომ ახლანდელი პარიზის რევოლიუციის პლანები ლონდონში დაუწყია მ ა რ ქ ს ს, ა ს ს ი ს, ბ ე ნ ტ ი ნ ი ს ა და ლარნოტს; ყველა ესენი არიან სხვა და სხვა ქვეყნების წარმომადგენელი წევრები ლონდონის ხალხთა შორის მუშების ლიგისა, (ე. ი. პირველი ინტერნაციონალის. ს. ხ.) ამ ლიგის მიტინგებში როცა პარიზში რევოლიუციის მოხდენაზე ყოფილა ლაპარაკი დიდი მონაწილეობა მიუღია აგრეთვე ბ ლ ა ნ კ ი ს" (იხ. დ რ ო ე ბ ა № 15, 1871 წ.) ისტორიულად ეს ფაქტი არ არის მართალი. კომუნა სტიქიურად წარმოიშვა; მასში ინტერნაციონალის კომიტეტს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. თუმცა კომუნაში, ინ-ის რამოდენიმე წევრი ღებულობდა მონაწილეობას. შემდეგში ე ნ გ ე ლ ს ი სწერდა, რომ კომუნის რევოლიუციის მოსახდენათ ინ-ლს თითი-თითზედ არ დაუკრავს. მაგრამ იგი (კომუნა) მაინც ნაყოფი იყო იმ დიდი სოციალისტური მოღვაწეობის, რომელსაც აწარმოებდა ჩვენი ასოციაცია თავისი დაარსების დღიდანო.

ლობა, რომ შეუძლებელია მას არ სცოდნოდა ამ ასოციაციის მთავარი მიზნები, სოციალიზმი და კლასთა ბრძოლის პრინციპი, არ სცოდნოდა მისი მეთაური კ. მ ა რ ქ ს ი და თუ სიმპატიას უცხადებენ, ეს იმას ნიშნავს, რომ წერილის ავტორი სიმპატიას უცხადებდა მთლიანად აღებულ ინტერნაციონალის მოღვაწეობას და მიზნებს: ცენზურული პირობები მას საშუალებას არ აძლევდა სხვა ენით ელაპარაკა და ამიტომ აირჩია „ეზოპის ენა“.

მეორე ავტორი **ბ. ჯ.** (ბესარიონ ჯაფარიძე) აღნიშნავს ინტერნაციონალის დიდ მნიშვნელობას მუშათა განთავისუფლების საქმეში და ამ საზოგადოების მიზნებს. (იხ. **„დროება“** № 7, 1872 წ.) ხოლო მესამე ავტორი **დ. ზურაბისშვილი** ჟენევიდან სწერდა: „...ხალხთა შორის საზოგადოებას (ინტერნაციონალებს) ყოველ სახელმწიფოში—გარდა ინგლისისა და ამერიკისა—სდევნიან, და ეულ ფავრის მანიფესტი კიდევ უფრო ამტკიცებს ბურჟუაზიის შიშსა და თრთოლვას ინტერნაციონალის პრინციპების წინაშე“... მოყავს რა ავტორს ინტერნაციონალის წესდების შინაარსი მთლიანად, თავის მხრით დაასკვნის: „როგორ მოგწონთ, რომ იმ საზოგადოებას, რომელსაც ამისთანა უმანკო და გონიერი მიზანი აქვს, ისე სდევნიან, როგორც ძველ ქრისტიანებს ნერონის დროსა? მაგრამ ქრისტიანებს იმ ტანჯვითა და წამებით, რომელიც მათ გასწიეს, არა წაუგიათ რა, უგუნურმა მტერმა, არ იცოდა, რომ რაც უფრო მხურვალეთ ებრძოდა ქრისტიანებს, ის მით წევრს და ძლიერებას იძენდა. ყოველი ახალი სწავლის ბედი, რომელიც ჯერ საზოგადოებას არ მიუღია, ამნაირია“ (**დროება** № 47, 1872 წ.).

ასე სწერდა ჩვენი მაშინდელი პრესა პირველი ინტერნაციონალის შესახებ. ამ წერილებში ნათლად სჩანს ჩვენი ინტელიგენციის თანაგრძნობა და სიმპატიები პირველი ინტერნაციონალ ისადმი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს განსაკუთრებული სიმპატია და თანაგრძნობა პირველ ინტერნაციონალისადმი ჩვენს ინტელიგენციაში გაცხოველდა პარიზის კომუნის ზეგავლენით. როგორც 1861 წლის სტუდენტთა მოძრაობამ, ისე 1871 წლის პარიზის კომუნის მოძრაობამ დიდი გავლენა მოახდინა ჩვენს ინტელიგენციაზე. 70-იან წლებში რამოდენიმე ქართველი სტუდენტი სწავლობდა ევროპის სხვადასხვა ქალაქებში. ეს სტუდენტობა ეცნობოდა ემიგრანტ-კომუნარებს და ხშირად **დროებაში** მათ შესახებ კორესპონდენციებსაც სწერდენ. ემიგრანტები-კომუნარები დაარსებულან აგრეთვე ჟენევის ქართველ კოლონიაშიაც. 1874 წ. ჟენევაში გ. წერეთლის თავმჯდომარეობით გა-

მართულ ქართველთა კონგრესზე ფეხზე ადგომით პატივი სცეს დაღუპულ კომუნარების ხსოვნას.

პარიზის კომუნამ დიდი სიმპატია და აღფრთოვანება გამოიწვია ქართულ ინტელიგენციის ნაწილში. ხოლო მისმა დამარცხებამ არა ნაკლებად დააღონა ისინი.[1]) დროების ფურცლებზე არა ერთხელ არის გამოთქმული სიმპატიები პარიზის მუშებისადმი. დროების 9 აპრილის ნომერში შემდეგი საყურადღებო დახასიათება არის მოთავსებული პარიზის არეულობის შესახებ.

„არეულობა პარიზში, რომელიც 6 (18) მარტს დაიწყო მას შემდეგ ძალიან გაგრძელდა, ასე რომ ამ ჟამა მთელი პარიზი აჯანყებულების ხელშია. აჯანყებულები არიან ნაციონალური გვარდიის ჯარი და მუშა-ხალხი, რომელთაც არ მოსწონთ ახლანდელი მიმართულება და მათი მოქმედება; იმათ ეშინიათ, რომ ტიერის, ჟულფავრის და პიკაბისთანა პირებისაგან შედგენილი მმართველობა და ახლანდელი ნაციონალური კრება, რომელიც მონარქიული დეპუტატებისაგან არის შემდგარი, უღალატებს რესპუბლიკის პრინციპს. ამას გარდა იმათ არ მოეწონათ კიდევ ის გარემოება, რომ პარიზი მიატოვეს და საფრანგეთის სატახტო ქალაქათ ვერსალი გახადეს. აჯანყებული ნაციონალური გვარდია თხოულობს ამასთანავე, რომ ჩვენი უფროსები ჩვენვე უნდა ამოვირჩიოთო, მმართველობისაგან დანიშნული პირების ნდობა ჩვენ არა გვაქვს,--ისინი ვერ დაიცვენ საფრანგეთის რესპუბლიკასო. აი ეს არიან უმთავრესი მიზეზები ახლანდელი პარიზის არეულობისა. **ნამდვილი მიზეზი კი განხეთქილებისა, როგორც თითქმის ყოველთვის ლუკმაპურის საქმეა: მუშებს არა აქვთ ნდობა ახლანდელი მმართველობისა. რომელნიც მდიდრებისაგან და ბურჟუაზიული პარტიის მომხრეებისაგან არის შემდგარი; იმათ იციან, რომ ამისთანა პირები ხშირად უფრო თავის საკუთარი სარგებლობისათვის მოქმედებენ, ვიდრე საზოგადოებისა და მდაბიო ხალხისათვის**“ (ხაზი ჩვენია).[2])

30 აპრილის ნომერში ვკითხულობთ:

„ეს ახლანდელი ბრძოლა—ლუკმა პურისათვის ბრძოლაა, და ამიტომ არის ისე გაცხარებული, ბურჟუაზიას (ვერ-

---

[1]) იხ. ილ. ჭავჭავაძის ლექსი: „პ ა რ ი ზ ი“ (კრებული № 5 და 6. 1873 წ. გვ. 354). და ნ. სკანდელის (ნიკოლაძის) წერილი: „სხვათა შორის“. კრებული № 4, გვ. 293, 200, 1873 წ.).

[2]) იხ. წერილი „უცხო ქვეყნები—საფრანგეთში“. „დროება“ № 14. 1871 წ.

ხალის მმართველობას) სურს ჩაიგდოს ხელში, საფრანგეთის საქმეების გამგეობა და უწინდებურად ისარგებლოს მუშა-ხალხის შრომით. მუშა-ხალხს კი თავის მხრით ჰსურს თავის საქმეები თვითონვე (ნამდვილი რესპუბლიკის) საშუალებით განაგოს და არავის არ მისცეს თავის შრომის სარგებლობის ნება. აი, ნამდვილი მიზეზი ახლანდელი არეულობისა; როდესაც პარიზელები თავიანთვის სხვა და სხვა უფლებებს თხოულობენ, იმათ მხოლოდ ის მიზანი აქვთ მხედველობაში, რომ შემდეგში კაპიტალისტებისაგან დამოუკიდებლობას აპირებენ"[1] (ხაზი ჩვენია).

ვფიქრობთ, ამოწერილი ციტატები ნათლად ამტკიცებენ იმას, თუ საით იყო **დროების** თანამშრომლის სიმპატიები მიმართული და როგორ ესმოდა მას პარიზის აჯანყების მთავარი მიზეზები. გაზ. **დროების** თანამშრომელმა აქაც ნათლად დაგვანახა, თუ როგორ ღრმად იყო დაინტერესებული 70-იან წლებში ინტელიგენციის ნაწილი მუშათა და სოციალისტური მოძრაობის საკითხებით.

აქ ზედმეტი არ იქნება მკითხველთ გავაცნოთ ნ. ნიკოლაძის საყურადღებო წერილებიდან (**სხვათა-შორის** ნაგრძნობი და განაგონი) შენიშვნები პარიზის კომუნის შესახებ. 1872-1873 წლებში ჩვენმა პუბლიცისტმა იმოგზაურა რუსეთსა და ევროპაში და შემდეგ თავისი „ნაგრძნობი-განაგონი" გადმოგვცა ჟურნ. „კრებულის" ფურცლებზე. 1872 წ. ივნისის თვეში ე. ი. პარიზის კომუნარების დამარცხების ერთი წლის შემდეგ იგი პროლეტარიატის სისხლით შეღებილი საფრანგეთის დედა ქალაქშია. ავტორი შემდეგნაირად აგვიწერს თავის შთაბეჭდილებას.

„დიდის ყურადღებით გავსინჯე ის ადგილი, სადაც ეკლესიის კედელთან, ეკლესიის ბოძზე განუსჯელად დახვრიტეს პარიზის დეპუტატი მილერი. აგრეთვე, როგორც ის ქუჩა, სადაც მაკ მაჰონის ჯარმა, ბარიკადის აღების შემდეგ ბარიკადის უკან სამასი კაცი ერთად დახვრიტა და იქვე, ბარიკადის ორმოში ჩაფლო, თუმც უმეტესი ნაწილი იმათაგანი სანახევროთ ცოცხლები იყვნენ... ვნახე მთელი ის გზა, რომელზედაც რვა დღის განმავლობაში დაუზოგველი ბრძოლა იყო, და რომლის თითოეული ნაბიჯი ასი და ათასი კაცის სისხლით მოირწყო. ვნახე ორიოდე იმ ეზოებთაგანი, სადაც ჯარმა ხუთას-ხუთასობით პარიზელი მუშები შეამწყვდია და განუსჯელად, დაუთელელად, განუკითხავათ ყველანი მიტრიალებით დახვრიტა. ის ად-

[1]) იხ. წერილი „უცხო ქვეყნებში. პარიზის არეულობა". „დროება" № 17. 1871 წ.

გილიც ვნახე, სადაც დამარცხების შემდეგ ბარიკადზე გამოვიდა გამოჩენილი მწერალი **დელეკლუზ**, გულხელი დაკრიფადროშას ამოუდგა, ექვსი ტყვია ირგო გულში და ბარიკადის ქვეშ მკვდრათ დაეცა. ის ადგილებიც გავსინჯე, სადაც თორმეტი წლის მებრძოლი მუშები, თექვსმეტი წლის მათი დები და მოხუცი დედ-მამა დახვრიტეს. ერთის სიტყვით ვავიარე ის გზა, რომელზედაც გამწარებულმა და სამი თვის ბრძოლით დაუღალავმა პარიზის ხალხმა უზენაესი გმირობის თვისება-მოკვდომის ცოდნა და სიადვილე გამოიჩინა".

ცოტა ქვევით ჩვენი ავტორი განაგრძნობს: „მუშა-ხალხზე კი რა ითქმის? წარმოიდგინე მკითხველო, რომ შენ დიდი შრომით და გაჭირვებით **ჩინებული ხილი** გიპოვნია, რომლის ჩამოსატანად უშველებელ ხეზე აფორთხებულხარ და კისერი კინაღამ ათასჯერ მიგიმტვრევია, ჩამოსულხარ ხიდგან და იმ დროს როცა ხილის შეჭმას ემზადები, სტაცებს ვინმე ხელს იმ შენ ხილს და ხელიდან გააცოცებს. შენ გრძნობ, რომ ხილს ველარ შეინარჩუნებ, რომ ის გერთმევა, ნახევარიც აღარ გიჭირავს ხელში, აი ორი თითი კიდევ გაგეხსნა, აი ეს არის გამოგისხლტება ხელიდან ის ნაწილიც, რომელსაც ნახევრამდე ჩაერჭო შენი თითები. შენ გრძნობ ამას და დახმარების, გამაგრების იმედი არსაით გაქვს. რა გუნებაზე იქნები შენ მაშინ, თუ მართლა ის ხილი გიყვარს და მისი შერჩენა გულ დაგულ გინდა? რა ქეიფზე დაგაყენებს შენ ის გრძნობა? რა სიმწარე და ბრაზი გამოიხატება შენს პირის სახეზე? განსაკუთრებით თუ ხილის წართმევის დროს, ორიოდე თითი მოგამტვრიეს და მთელი მკლავი დაგილურჯეს? აი სწორეთ, ამ გუნების და პირის სახის მეჩვენა მე პარიზელი მუშა-ხალხი, როცა იმას გვერდი უარე, შინ რომ მივდიოდი მოსასვენებლად". [1]).

მკითხველი მიხვდება, რომ ჩვენი ავტორი საცენზურო პირობების გამო, შედარებით ლაპარაკობს; მაგრამ ამ წერილიდან ნათლად, გარკვევით სჩანს ის ღრმა თანაგრძნობა და სიმპატიები, რომელსაც უცხადებდა ქართული პუბლიცისტი პარიზის აჯანყებულ მუშებს.

ნიკოლაძეს კარგად ესმოდა, რომ პარიზის პროლეტარებმა თავისი **სანატრელი ხილი** ჩაიგდო ხელში 1971 წ. მარტის თვეში, მაგრამ ასეთი ექსპერიმენტისათვის ბურჟუაზიამ იგი გაანადგურა და

[1]) იხ. კ რ ე ბ უ ლ ი № 4, 1873 წ. ნ. ს კ ა ნ დ ე ლ ი ს წერილი: „ს ხ ვ ა თ ა შ ო რ ი ს".

სისხლისაგან დასცალა. ნიკო ნიკოლაძე იმ პერიოდში რევოლიუციონურად და სოციალისტურად განწყობილი მწერალი იყო და სრულიად ნათლად დაინახა პარიზის რევოლიუციის კლასიური და პროლეტარული შინაარსი.

1871 წლის „დროებაში“ „პარიზის არეულობის“ შესახებ მოთავსებული ხელმოუწერელ მიმოხილვების გადაკითხვამ ჩვენ დაგვარწმუნა იმაში, რომ ამ წერილებს სწერდა გამოკდილი ხელი, საერთაშორისო პოლიტიკისა და მუშათა მოძრაობის კარგად მცოდნე პიროვნება. ვფიქრობთ, შესაძლებელი არის მისი ავტორიც ნიკო **ნიკოლაძე** უნდა იყოს. ამ მიმოხილვებს დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდათ ჩვენში სოციალისტური და რევოლიუციონური აზროვნების გავრცელების საქმეებისათვის. ფაქტიური მიმოხილვა პარიზის აჯანყების ვითარებისა, კომუნის გამოცემაც მნიშვნელოვანი დეკრეტები, მოწოდებები, მანიფესტები და საგანგებო წერილები. მათი პროგრამა, სხვადასხვა ჯგუფების მიმართვები,— ფართოდ — იბეჭდებოდა „დროები-“ს ფურცლებზე ცენზურის ცხვირის წინ. ვფიქრობთ, რომ ასეთი „თავისუფლება“ პარიზის კომუნის შეფასებაში არც ერთი პრესა არ სარგებლობდა რუსეთის ტერიტორიაზე. ეს ისტორიული დოკუმენტები პარიზის კომუნის მოღვაწეობიდან და გაზეთის მხრით მათი პრინციპიალური შეფასება აუცილებლად დიდ როლს თამაშობდა ჩვენი ნორჩი ინტელიგენტურ ძალების რევოლიუციონურად გათვითცნობიერების საქმეში.

საინტერესო არის გავიგოთ, თუ როგორ ხსნის **დროების** თანამშრომელი კომუნის დამარცხებას. იგი სწერს: „...უპირველესი მიზეზი მისი (კომუნის) დამარცხებისა ის იყო, რომ მის წევრებს და საქმეების გამგებლებს შუა მუდამ განხეთქილება და უთანხმოება სუფევდა ამისთანა დროს, განსაკუთრებით სამხედრო საქმეების გამგეობა, ყოველთვის ერთი კაცის ხელში და ერთი პლანით უნდა იყოს.

ამნაირი ყოფისაგან კომუნის საქმეები აირდაირია და ამით ყველაზე უკეთ, რასაკვირველია, ვერსალის ნაციონალურმა კრებამ ისარგებლა“. (იხ დროება № 20 1871 წ).

ასე სწერდენ გაზ. **დროება** და მისი თანამშრომლები პარიზის კომუნის შესახებ 1871-3 წლებში. ამ წერილებში სჩანს ღრმა თანაგრძნობა და სიყვარული პარიზის კომუნისა და მუშებისადმი. 70-იან წლებიდან პარიზი ქართველი მოწინავე ინტელიგენციისთვის თავისუფლებისა და ბრძოლის გამომსახავ სიმბოლოდ გადაიქცა. აი რო-

გორ აგვიწერს პარიზს 70-იან წლების ცნობილი პუბლიცისტი **ხ. მესხი** ერთ თავის წერილში მან ერთი წელი (1873-4 წ.) დაჰყო საზღვარგარეთ და თავისი შთაბეჭდილებანი გაუზიარა თავის მკითხველს. 1874 წ. იგი სწერდა:

„პარიჟის პირველ დანახვას, იმის ნიადაგზე პირველი ფეხის დადგმას გამაშტერებელი და ჩამაფიქრებელი ზედმოქმედება აქვს კაცის გონებაზე. თვალი ხედავს ხლაპრის ქალაქივით თვალ-უწვდენელ ქალაქს, დაუბოლავებელ, სწორე ქუჩებს, კოშკებივით ამაღლებულ ექვს და შვიდ ეტაჟიან სახლებს და ამ სახლებზე კიდევ უმაღლესს ეკლესიებს, კოშკებს და ძეგლებს. გული გრძნობს, რომ შენი ფეხი დგას ისეთს ნიადაგზე, რომელზედაც რამდენსამე ასს შთამომავლობას უცხოვრია, უმოქმედნია, რომელზედაც რამდენიმე რევოლიუცია მომხთარა; გრძნობ, რომ ყოველი ნაბიჯი ამ ქალაქის მიწისა საფრანგეთის თავისუფლებისათვის დაღვრილ სიხხლით არის მორწყული; გრძნობ, რომ შენ ხარ იმ ნიადაგზე, იმ ქალაქში, რომელიც არის ერთსა და იმავე დროს თავი და გული მთელი საფრანგეთისა. სადაც ცემს მაჯა პოლიტიკური და სოციალური ცხოვრებისა; უნებურათ წარმოგიდგება თვალ წინ პარიჟის წარსული ცხოვრება, იმის ხალხის ბრძოლა, იმის მუშის თავშეწირულება, იმის მოწინავე კაცებისა და მეცნიერების გავლენა მთელი ქვეყნის გონებით ცხოვრებაზე,—და ყველა ეს აზრი ისეთ ნაირათ გაგიტაცებს, ისეთ ნაირათ შეგიპყრობს, რომ შტერდები და ძარღვების უნებური ცახცახი მოგდის.

მე არ ვიცი, რა ემართებათ და როგორი გრძნობით შედიან მაჰმადის თაყვანის-მცემლები თავის წმინდა ქალაქს,—ქაბაში, მაგრამ მგონია, რომ იმათი გრძნობა ძალიან უნდა გვანდეს აღმოსავლეთიდამ პარიჟში პირველათ შემომავალი კაცის გრძნობასა.

. . . . . .

„უცხო ქვეყნებისა და ხალხების დანახვამ ჩემი ქვეყანა და ხალხი უფრო მომეტებულათ შემაყვარა. იმათ ცხოვრების გაცნობამ საუკეთესო მომავლის იმედი და მომეტებული ენერგია აღძრა ჩემში... ეს იმედი იქნება ჩემი წინამძღოლი და ენერგია ჩემი საქმის წინ წამწევი“... [1])

ამ წერილიდან პირდაპირ სცემს ქართველი პუბლიცისტის რელიგიური აღტაცება და თაყვანისცემა კომუნარების სამშობლოსადმი. ჩვენც ამით დავათავებთ ამ წერილს.

---

[1]) იხ. ს. მ ე ს ხ ი ს ნაწერები ტ. 1 გვ. 193-94, 210-11, 1904 წ.

ბიბლიოგრაფია

ზ. ზ.

ფილიპე მახარაძე. თხუზლებათა კრებული. ტომი მე-5. სიტყვა-კაზმული მწერლობა და მისი კრიტიკა. სახელგამის გამოცემა.

კითხულობთ ამხ. ფ. მახარაძის ამ წიგნს, რომლის ზოგიერთი ნაწილი 35 წლის წინად არის დაწერილი და ბგონია ავტორი სადღეისო საკითხებზე სწერს.

ეს რასაკვირველია, მოწმობს ჩვენი ცხოვრების ზოგიერთ დარგების ნელი ტემპით განვითარებას. მაგალითისათვის ავიღოთ საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმე. ამ მხრივ მდგომარეობა დღესაც თითქმის ისეთივეა როგორც 35 წლის წინად იყო. ჩვენი წარსული ყოფა-ცხოვრების შესწავლას დღესაც შემთხვევითი ხასიათი აქვს და არსებულ მასალების კრიტიკულად განხილვას, დაფასებას და მასზე ახალი მეცნიერული შეხედულების დამყარებას ახლაც მოკლებული ვართ; საქართველოს ისტორია ახლაც მეფეების ცხოვრების და ომების აღწერით იწერება.

ასეთსავე მდგომარეობაშია ლიტერატურული კრიტიკის საკითხიც. ამხ. ფ. მახარაძის აზრებს ლიტერატურულ კრიტიკის შესახებ ახლაც სიამოვნებით წაიკითხავს მკითხველი, მაგრამ არა როგორც ისტორიულ ხასიათის წერილს, არამედ როგორც სადღეისო და საჭირბოროტო საკითხზე დაწერილ წერილს. ამხ. მახარაძე კრიტიკის შესახებ სწერდა:

> კრიტიკა მწერლობის უდიდესი იარაღია. მისი საშუალებით მწერლობა და ცხოვრება ერთიმეორეს უახლოვდება. უკრიტიკოდ მწერლობა გზა აბნეულია და ცხოველმყოფელობას მოკლებული. კრიტიკის საშუალებით ჩვენ ვეცნობით როგორც მწერლობას, ისე ცხოვრებას, ვინაიდან კრიტიკა ერთი მხრივ აფასებს, ოგორც სინამდვილის გამომსახველ მოვლენას და მეორე მხრივ არკვევს და შუქს ფენს ყოველივე მოვლენას, რომელიც კი ცხოვრებაში იჩენს თავს, მაგრამ რომელსაც მწერლობა ზოგჯერ უყურადღებოდა სტოვებს. დიდი მნიშვნელობა აქვს კრიტიკას აგრეთვე ძველ რწმენათა და შეხედულებათა დარღვევაში და მათ მაგიერ ახალის გავრცელებაში.
>
> ამ წერილს უდიდესი სადღეისო მნიშვნელობა დღემდისაც აქვს.

ამ ტომში მოცემულია, გარდა წვრილმან კრიტიკულ წერილებისა, ორი საკმაოდ მოზრდილი შრომა „ხალხური პოეზია და მელიტონ კელენჯერიძე“ და „დანიელ ჭონქაძე და მისი დრო“. ორივე ეს შრომა დიდი ერუდიციითა და ღრმა ცოდნით არის დაწერილი.

ამხ. ფ. მახარაძემ პირველმა შემოიტანა ლიტერატურულ კრიტიკაში მარქსისტული თვალსაზრისი. ამ თვალსაზრისით მან პირველმა განიხილა ჩვენი უახლოესი ხანის საყურადღებო მომენტი, დანიელ ჭონქაძის დრო და მისი მწერლობა. ეს იყო ჩვენს მწერლობაში ერთგვარი რევოლიუცია. მან მართლაც დიდი ახმაურება გამოიწვია თავის დროზე. ყველა იოლად ვერ შეურიგდა ძველი კერპების ასე ულმობელად დამსხვრევას; დანიელ ჭონქაძე მაშინდელ საზოგადოებისაგან უმნიშვნელო მწერლად მიჩნეული ამხ. ფილიპე მახარაძემ თავისი კრიტიკით აიყვანა სათანადო სიმაღლეზე. ასეთი სერიოზული და ყოველმხრივ დასაბუთებული შრომა, როგორიცაა დანიელ ჭონქაძე და მისი დრო, მეორე არ მოიპოვება ქართულ ლიტერატურაში.

ამგვარად ჩვენ ვხედავთ რომ ქართულ ლიტერატურულ მარქსისტულ კრიტიკას ამხ. ფ. მახარაძის შრომის სახით მაგარი საფუძველი აქვს ჩაყრილი. საფიქრებელი იყო, რომ ამ მაგარ საფუძველს მაგარი შტოებიც გამოესხმოდა, მაგრამ სამწუხაროდ, მრავალ ობიექტიურ მიზეზთა გამო ეს ასე არ მოხდა და მხოლოდ ახლა ექცევა ამ საგანს ჯეროვანი ყურადღება. ამიტომაც ამხ. ფ. მახარაძის ამ შრომის ახლად გამოცემა მეტად დროულად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან, როგორც აღვნიშნეთ, მას აქვს უდიდესი სადღეისო პრაქტიკული მნიშვნელობა.

ჩვენის აზრით სწორათ არ ჩაითვლება ავტორის აზრი ვეფხის ტყაოსანზე. მართალია ეს ნაწარმოები ვერ გახდებოდა რომელიმე ნაყოფიერ მოძრაობის ან მოვლენის სათავეთ, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ავტორს ახლა არ მიაჩნია ვეფხის ტყაოსანი ისეთ ზღაპრულ პოემათ, სადაც გაღმერთებულია მონური წესწყობილება და მონური ცხოვრება და ამიტომ კარგი იქნებოდა ამ ნაწარმოებისათვის სათანადო შენიშვნაც გაეკეთებია.

წიგნში დაბეჭდილია 1926 წელს მწერალთა ყრილობაზე გაკეთებული მოხსენება, სადაც ავტორი პროლეტარულ პოეზიაზე არა საესებით სწორ შეხედულებას ანვითარებს. ვფიქრობთ არ შეიძლება ითქვას, რომ პროლეტარულ კულტურას, პროლეტარულ ხელოვნებას ვერ დავისახავთ მიზნად, ისევე როგორც არ შეიძლება უარყოფა ხელოვნებისა და კულტურის კლასიურობის. სოციალიზმში რასაკვირველია, ზეკლასიური ხელოვნება და კულტურა გვექნება, მაგრამ პროლეტარულ კლასიურ ხელოვნებისა და კულტურის საფუძვლებზე აგებული და ამიტომაც არ შეიძლება მიზნად არ გვქონდეს დასახული პროლეტარული ხელოვნებისა და კულტურის განმტკიცება.

შენიშვნების სახით მოცემულია წიგნის ბოლოს ზოგიერთ სიტყვების ახსნა. წიგნის ეს ნაწილი ძალიან სუსტად შედგენილია. ეს რასაკვირველია რედაქტორის ბრალია და არა ავტორის.

მაგალითად ი. ნაკაშიძის შესახებ სწერია: იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე, გადაიცვალა ამა და ამ წელს. კიტა აბაშიძის შესახებ ასევე, მისი ფედერალისტობის დამატებით. პ. იოსელიანზე—გამოჩენილი მეცნიერი და ფილოსოფოსი იყო. ეს, სხვა რომ არ იყვეს ცოტა სასაცილოცაა. პლ. იოსელიანის ღვთის მორწმუნეობა და ამ

დარგში ნაშრომები არ შეიძლება ჩაითვალოს გამოჩენილ და ცნობილ მეცნიერებათ. ასევეა სხვა ავტორების ახსნაც.

წიგნი დაბეჭდილია შედარებით მდარე ქაღალდზე. არ ვიცით, ზოგიერთ მწერლებს რისთვის აქვს უპირატესობა, რომ მშვენიერ ქაღალდზე იბეჭდებიან.

ო. ე.

ლეო ქიაჩელი. „ტარიელ გოლუა". სახელგამი. გვ. 200. ფასი 90 კაპ.

1905 წლის რევოლიუციის პერიოდი მეტად მდიდარ მასალას იძლევა მხატვრულ პროზისათვის. ქართულ ლიტერატურას ჯერ კიდევ თითქმის სრულებით გამოუყენებელი აქვს ეს მასალა, და ეს მაშინ, როდესაც—1905 წლის რევოლიუციონურ მოძრაობა, მძაფრათ და ძლიერად გამოიხატა საქართველოში. არის მხოლოდ შეუმჩნეველი და სუსტი ცდები. ქიაჩელის რომანი „ტარიელ გოლუა" გამონაკლისია. ის თითქმის ერთად-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია 1905 წ. ლიტერატურიდან. „ტარიელ გოლუა" სოციალური რომანია. 1905 წ. მოძრაობა—განსაკუთრებით გლეხობის მასაში რელიეფურათ სჩანს. ავტორი სიუჟეტის მოხერხებული გაშლით, ანვითარებს გლეხობის აქტიურ როლს განმათავისუფლებელ მოძრაობაში. მახვილი კუთხითაა დასმული მაშინდელი საჭირ-ბოროტო პრობლემები და მათი გადასაჭრელ ზომების პრაქტიკული სახე. ამბის განვითარებაში—მთავარი გმირების მოქმედებაში, ორგანიულად ჩაქსოვილია მასსის სულისკვეთება, მთელი სოფლის ცხოვრება. აქ ერთი-მეორეს კი არ ჩრდილავს, არამედ ავსებს; ეს კი მხატვრის უნარიანობას ამეღავნებს. ტარიელ გოლუა ტიპიური სიმბოლოა, ქართველი რევოლიუციონერი გლეხის დარბაისლურ ბუნების, უდრეკი ნებისყოფის და უაღრესი აქტიურობის, რის მეოხებითაც ის მოთავე და სულის ჩამდგმელია გახმათავისუფლებელ მოძრაობის. მასში სავსებით ამომწვარია, გლეხის მორჩილი ბუნება. გამახვილებულია ბრძოლის ინსტიქტი. ეს დარბაისელი მოხუცი რევოლიუციონერი, გამანთავისუფლებელ მოძრაობის სადარაჯოზე სდგას. ის უპირველეს ყოვლისა თავის შვილს არ აძლევს უფლებას, ოდნავ მაინც დაამახინჯოს პირადი ინტერესით, ერთობის საქმის მაღალი დანიშნულება. ტარიელ გოლუა, როგორც ტიპი, რომანის ცენტრალური ფიგურა, ძლიერი და ყოველმხრივი ფერებით არის მოხაზული. შედარებით სუსტადაა მოცემული მისი შვილის, აჯანყების მეთაურის, ლევანის სახე; მაგრამ მთავარი ხაზი მაინც დასრულებულია, ძლიერათ და ბუნებრივათაა ასახული ლევანის ფსიქოლოგიის შინაგანი ბრძოლა, სიყვარულის და საზოგადო საქმის დაპირდაპირება. სიუჟეტის ყველა ნაკვთები ავტორს გამიზნული და გამოკვეთილი აქვს. ბაჩუა—ვითომც მეორე ხარისხოვანი და გვერდზე მდგომი ფიგურა, ძირითად და აუცილებელ ძარღვათ ჩანასკვულია ამბავის განვითარებაში. ქიაჩელის შემოქმედებაში რო-

მანი „ტარიელ გოლუა“ საუკეთესო ნაწარმოებია. ის ღირებული და მნიშვნელოვანია, როგორც მხატვრული სიძლიერის მქონე, ცოცხალი მემატიანე, 1905 წ. რევოლიუციონურ მოძრაობის ეპიზოდების. მასში არ არას დამახინჯება და სიყალბე. ამბავის ქარგაზე ბუნებრივათ იშლება ისტორიული სინამდვილე 1905 წლის ქარიშხლიანი ხანა, მდიდარი, ნოყიერი და ამოუწურავი მასალა, მხატვრული პროზისათვის. ამ ხანის მასალით შექმნილი ლეო ქიაჩელის რომანი „ტარიელ გოლუა“, თავის მხატვრული შესრულებით და სისავსით, ჯერ კიდევ გაუფართოებელი და გადაუჭარბებელი ნაწარმოებია ქართულ ლიტერატურაში.

თ. ი.

„საბჭოთა ხელოვნება“. განათლების სახალხო კომისარიატის ხელოვნების განყოფილების ორგანო. პ.�д. რედაქტორი; შ. დუდუჩავა. № 1, 2, 3 და 4. 1927 წ. იანვარი და თებერვალი.

ასეთი ტიპის ჟურნალის არსებობა საქართველოში აუცილებლობას წარმოადგენს, მით უმეტეს, როდესაც სხვა ჟურნალები უმთავრესათ ლიტერატურულ ხასიათის მასალებით არის დაკავებული. ეს კი ბუნებრივათ აყენებდა საჭიროებას ხელოვნების ყველა დარგების შემცველ ორგანოს გამოცემის შესახებ. ამ მხრივ განათლების სახ. კომისარიატის ხელოვნების განყოფილების მიერ გადადგმული ნაბიჯი ყოველმხრივ გამართლებულია.

საბჭოთა საზოგადოებრიობის ნიშნის ქვეშ საქართველოში აღორძინდა საბჭოთა ხელოვნების თითქმის ყველა დარგები. (აკადემიური და მუშათა თეატრები, სამხატვრო აკადემია, სამუსიკო სასწავლებლები, სახ. კინო-მრეწველობა და მრავალი მუშათა კლუბები და პროვინციის თეატრები), ყველა ამ სამხატვრო დაწესებულებებს აუცილებლათ ესაჭიროება ერთი შემკრებელი ორგანო, სადაც უნდა გაშუქდეს, როგორც საბჭოთა ხელისუფლების სამხატვრო პოლიტიკა, ისე თვით სამხატვრო დაწესებულებათა ყოველდღიური ცხოვრება და აგრეთვე საბჭოთა ხელოვნების სამხატვრო, თეორეტიული და პრაქტიკული საკითხები.

რუსეთში ამ მიზნით მრავალი ჟურნალ-გაზეთი გამოდის. როგორიც არის „Советское искусство“, „Новый зритель“. „Кинофронт“, „Советский экран“, „Кино газета“ და სხვ.

მწერლობაში უფრო თვალსაჩინოთ სწარმოებს ძალების გადაჯგუფება, ვიდრე ხელოვნების სხვა დარგებში. თუ საქართველოს გასაბჭოების ექვსი წლის თავზე ჩამოყალიბდა პროლეტარული მწერლობის საკმაოთ ძლიერი კადრი, იდეოლოგიურ-სამხატვრო ფრონტის სხვა სანიშნოებზე ჯერჯერობით მცირედი არის გაკეთებული. მუსიკა, მხატვრობა, თეატრი, კინო არის ის დარგები, სადაც ძირითადათ

უნდა განმტკიცდეს საბჭოთა საზოგადოებრიობის და პროლეტარულ რევოლიუციის თვალსაზრისი. ამისთვის კი, ერთერთ მიზან-შეწონილ საშუალებას წარმოადგენს, პრესის საშუალებით საბჭოთა საზოგადოებრივი აზრის შექმნა სამხატვრო პოლიტიკისა და სხვა სპეციალური ხასიათის საკითხების გარშემო. „საბჭოთა ხელოვნების“ № 1-ის მოწინავეში ვკითხულობთ: „ჩვენი ჟურნალის დაკვრითი ამოცანათ არის მიჩნეული მარქსისტულ კრიტიკის პრობლემათა სისტემატიზაცია და მისი გამოყენება საბჭოთა ხელოვნების ყველა დარგებისადმი“-ო. ჟურნალის საპროგრამო ცენტრალური ამოცანა ეს უნდა იყოს.

თუ მივიღებთ მხედველობაში ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში გამჯდარ, შემთხვევით, ჰონორარით გაწუწკებულ და უპასუხისმგებლო რეცენზენტებს, რომელთა შეფასება, ყოველგვარი საღი კრიტიკისა და თანამედროვე გაგების გარეშეა, მაშინ მით უფრო მთავარი ყურადღება უნდა მივაქციოთ იდეოლოგიურათ გამართლებულ და მხატვრული საქმის მცოდნე რეცენზენტების და ბიბლიოგრაფების კადრის შექმნას.

ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ გამოსულ ოთხ ნომერში და განსაკუთრებით პირველ ნომერში, დაშვებული იყო ზოგიერთი ლაპსუსები, რომელიც არღვევდა ჟურნალის მეთაურში დაყენებულ დებულებებს. ამხ. შ. დუდუჩავა თავის წერილში „ჩვენი სათეატრო პოლიტიკის შესახებ“, პროლეტარულ მწერლობაში ამხ. ბუხარინის მიერ წამოყენებულ თავისუფალ კონკურენციის პრინციპს, საბჭოთა ლიბერალიზმათ“ იგებს. ჯერ დაუშვებელია თვით „საბჭოთა ლიბერალიზმის“ ცნების შექმნა, მერე პარტიის სამხატვრო პოლიტიკა იდეოლოგიურ ფრონტზე სრულებით არ გულისხმობს მართლაც ყველა მხატვრულ მიმართულებათა ისეთ ანარქიულ კონკურენციას, რომ ამით ისარგებლოს და თავისუფლათ ამოისუნთქოს მხატვრულ კონტრ-რევოლიუციამ.

ამის პრაქტიკული დამამტკიცებელი საბუთია პირველ ნომერშივე მოთავსებული იდეოლოგიურათ საეჭვო ბიბლიოგრაფიები (ბ. ჟ. „ქართული მწერლობა“, შ. ა. „წმინდანიანი“ და სხვ.).

საერთოდ ჟურნალში მოთავსებული მასალები ინტერესს არ არის მოკლებული. განსაკუთრებით აღსანიშნავია შ. ალხაზიშვილის წერილები, რომელსაც საქმის ცოდნასთან ერთად კლასიურ-სოციალური მიდგომაც აქვს.

ჟურნალის გამოცემის შესახებ უნდა ითქვას, რომ ოთხივე გამოსული ნომერი, სხვადასხვა ფორმატის, ფასის და მასალობრივი შერჩევის არის. სისტემატიურათ არ გამოდიოდა და უკანასკნელათ რატომღაც შეჩერდა.

ჟურნალ-ს გამოცემის გაგრძელება კი აუცილებლათ საჭიროა, რაშიდაც დაინტერესებული უნდა იყვეს ყველა სამხატვრო დაწესებულებანი და განსაკუთრებით სახ-კინ-ძრეწვი.

მაგრამ ჟურნალს კამერული ხასიათი არ უნდა მიეცეს (მხოლოთ რეცენზიები), როგორც ეს უკანასკნელ ნომრებში არის, არამედ

უფრო მეტი მასშტაბის აღება არის საჭირო. ფორმატი კარგი არის მეორე ნომრის. ეს ჟურნალი უნდა გაიდეს დაახლოებით ლენინგრადის ჟურნალის „Жизнь искусства“-ს ტიპის.

დ. რუნდელი.

ვოლტ უიტმანი. რჩეული პოემები. თარგმანი და წინასიტყვაობა კონსტანტინე გამსახურდიასი. 1926 წ. სახელგამი. გვ. 94. ფასი 1 მ.

ვოლტ უიტმანი—მსოფლიო გაშლის პოეტია. მას შეეძლო დაბადებულიყო მხოლოთ ამერიკის შეერთებულ შტატებში. მისი პოეზია ამერიკის ნაციონალური კოლორიტის შემცველია. უიტმანის თანამედროვე ამერიკის წვრილ-ბურჟუაზიული დემოკრატია ერთგვარ გმირულ განწყობილებით ხასიათდება. ეს იყო ,ეპოქა შეერთებულ შტატებში პროლეტარიატის კლასათ ჩამოყალიბებამდე, როდესაც შეერთებული შტატები უტოპიური სოციალიზმის მოძღვრების საცდელ მინდვრათ გადაიქცა.

ამიტომ უიტმანის პოეზია დემოკრატიისა და სოციალიზმის შორის მანძილის პერსპექტივებს შლის. სანამდე ამერიკაში გამძლავრებული არ იყო სამრეწველო კაპიტალიზმი, მანამდე შესაძლოთ მიაჩნდათ პოლიტიკური დემოკრატიის გზით სოციალური თანასწორობის მიღწევა. დემოკრატია ყველა მოვლენების არსებით თანასწორობას სცნობს: ადამიანების, საგნების, გრძნობების. ის განურჩეველია ყველა ფენომენის მიმართ. რომელიმეს არ ირჩევს და უპირატესობით არ ეკიდება.

უიტმანიც ასეთი სწრაფვის პოეტია:
„ამხანაგობა მინდა დავნერგო ვრცელ ამერიკის
მდინარეთა გაღმა-გამოღმა“.
„სალამი თქვენდა! გისურვებთ კეთილს ჩემდა თავათ
და ამერიკაც.
ყველა თქვენგანი საჭიროა,
ყველა თქვენგანი უსაზღვროა, განუზომელი
და ყოველ თქვენგანს უფლება აქვს დედამიწაზე
გაიზიაროს მარადიულ ცხოვრების აზრი“.

(სალამი სამყაროს)

ვოლტ უიტმანი ევროპის კონტინენტის, ძველ დეკადენტურ და ესთეტიზმით დაავადებულ პოეზიასთან შედარებით, სრულიათ წინაალმდეგი პოლიუსის პოეტია. უიტმანი უარყოფს ძველ გაგებას პოეტების ზებუნებრივ წარმოშვების შესახებ. როგორც ამერიკელს არ ამძიმებს წარსულის რომანტიზმი. იგი ახალი მატერიალური კულტურის და ინსტინქტის პოეტია.

უიტმანში ორი საწყისი ორგანიული მთლიანობით არის მოცემული. ბუნების პანთეისტური გრძნობა და ქალაქურ კულტურის

ურბანისტული ხმა. უიტმანი ინტერნაციონალურ მისწრაფების და მსოფლიო ერთსულოვნების პოეტია.

უიტმ.ნი უმღერის ფოლადის თაობას. მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, როგორც ეს კონსტან. გამსახურდიას ეჩვენება წიგნში დაწერილ წინასიტყვაობაში. ის უიტმანის ჯან-საღობის იდეალს ფრიდრიხ ნიცშეს ზე-კაცის კულტს უტოლებს, „ახალი არისტოკრატიზმის“ სახელით.

უიტმანის ძალოვნება, ინდივიდუალიზმის დაძლევასა და კოლექტიურ გრძნობათა მთლიანობაში მდგომარეობს.

უიტმანში დამახასიათებელია ძველი მხატვრული ტრადიციების (ხერხების) დარღვევა. ამიტომ მას „ტლანქი და მოუხეშავი“ სტილის პოეტათ სთვლიან. ისე როგორც ამავე განწყობილების პოეტებს. ვერჰარენს, ნეკრასოვს და მაიაკოვსკის. ეს თვით უიტმანის პოეზიის არსებითი მხარის ვერ გაგებას ამტკიცებს.

უიტმანი არ ხმარობს რითმას. არ იცავს მეტრს. მისი სტროფიული წყობა აშლილია. ის თავისუფალ რიტმში შლის თავის ინტერნაციონალურ ფსიხიკას.

თუ მართალია, რომ მასალა განსაზღვრავს მხატვრული ხერხის ბუნებას, მაშინ ისიც მართალია, რომ უიტმანის მხატვრული თავისებურება, მისი პოეტური ხერხი, ძველ დაკანონებულ ლექსის ესთეტიურ კანონების უარყოფასა და რიტმიულათ გაშლილ პოეტურ ენის მოხმარებაში მდგომარეობს. ეს არის ეპოქალური პოეტური ხერხი, რომელიც ვერ ეტევა კამერულ ლექსის რითმით და მეტრით შეკრულ კედლებში და იწყებს თავისუფალ მიმდინარეობას. ამას ასაზრდოებს სოციალური გადაჯგუფებისა და პროლეტარიატის ინტერნაციონალური მოძრაობის გადამწყვეტი ეპოქები. ამიტომ ჰგავს მაიაკოვსკი უიტმანს და ყველგან კლასობრივ ბრძოლის გამახვილების პროცესში, ასეთი „მოუხეშავი და ტლანქი“ სტილი ყოველთვის მიაღწევს სოციალური ზედ-მოქმედების მიზანს.

ბ. ბუაჩიძე

რაფიელ ერისთავი. რჩეული ლექსები. საქ. პროფკავშირების გამომცემლობა. „შრომა“ 1927 წ. გვ. 84. ფასი 45 კაპ.

რაფიელ ერისთავის შემოქმედების გზა, მე-XIX საუკუნის ინტელიგენციის განსაზღვრული ნაწილის გზაა. ის, ქართული ლიტერატურის პირვანდელ, ზოგად და მუდმივ თემებიდან, სამშობლოს და სიყვარულის აპოლოგიიდან გადადის კონკრეტულ და მისთვის მეტად ახალ სფეროში. რაფიელ ერისთავი გლეხობასთან მისული მწერალია, მაგრამ იმდენათ ორგანიულათ მისულია, რომ სავსებით სამართლიანად და მართებულათ დაიმკვიდრა სახალხო პოეტის სახელი. აღნიშნულ გამოცემაში პოეტი უმთავრესად წარმოდგენილია თავის გლეხურ ლექსებით. მთავარი რაფიელის შემოქმედებისათვის

ის არის, რომ ის საოცარ უშუალობას ამეღავნებს. ის გლეხებისათვის და „გლეხებზე“ კი არ სწერს, არამედ გლეხების მასსიდან სწერს. მის შემოქმედებაში მე-XIX საუკუნის ქართულ საზოგადოებრივობის უდიდესი გლეხობის მასსაა ამეტყველებული იმ სულისკვეთებით და ყოფით, რომელშიაც ის მაშინ იმყოფებოდა. სოფლის ფონზე იშლება პოეტის შემოქმედება, გლეხის ნაღველი, გასაჭირი, არსებობისათვის ბრძოლის მძიმე პირობები, სიხარული, გატაცება და იმედები, მასში ისეთს გამოძახილს ჰპოულობს, რომ არ წარმოიდგინება, რომ პოეტს თვით არ ქონდეს განცდილი გლეხის ყოფის წვრილმანი და არსებითი მხარეები. ერისთავის შემოქმედება ლიბერალური არ არის. ის მაღლიდან არ იცოდებს გლეხს. მისი ფსიხოლოგიური ჩაწვდენის უნარი იმდენათ ღრმაა, რომ ავტორის პიროვნებასა და მის შემოქმედების ობიექტს შორის ზღვარი არ არსებობს. აქ უშუალო მთლიანობაა. როგორც მხატვარი, რაფიელ ერისთავი ძლიერია. მისი ფერები არ არის მკრთალი და „ხელოვნური“. ის— როგორც მძლავრი ოსტატი, ხალხური ენის სავსებით მფლობი, დამაჯერებელი და გადამდები ემოციონალობით არის გამორჩეული. პოეტი დიდი უნარიანობით იმორჩილებს მასალას. უბრალო გამოკვეთილობით, ფორმის კლასიკურ შედეგრებს იძლევა, რომელიც დიდ მხატვრულ ღირებულებასთან ერთად, მისაწვდომი იყო და არის საზოგადოების ყველა ფენების ფართო მასსისათვის. დასრულებულ მხატვარში ფერების კოლორიტად გადადნობილია გლეხობის სოციალური სული, ყოფის რეალობა და სწრაფვის მიმართება. მე-XIX საუკუნის გლეხობის ყოფის შემომქმედი მკვეთრი სურათებით გვიჩვენებს იმ ექსპლოატაციის მარწუხებს, რომელიც ღრღნიდა გლეხის კუნთებს, რითაც ამეღავნებს წინააღმდეგობებით დასერილ, კლასიურ საზოგადოებრივობის ანორმალობას, სიმახინჯეს. მართალია, პოეტი ჯერ კიდევ არ არის გახრჯნილი ბრძოლის აუცილებლობის შეგხებით, მისი სახით გლეხები უფრო წუწუნებენ, ჩივიან, ვიდრე მეორულ განწყობილებას ამეღავნებენ; მაგრამ ეს დროის დაღია, ნიშნეული გლეხობის თვითგამორკვევის ისტორიაში. ამ სახით არის წარმოდგენილი აღნიშნულ წიგნში რაფიელ ერისთავის შემოქმედება. საერთოთ რ. ერისთავის შემოქმედებას სხვა მხარეებიც აქვს, რომელნიც ნაწილობრივ სხვა-გვარ სოციალურ ბუნებას ამეღავნებენ. წიგნს დართული აქვს წინასიტყვაობა, რომლის ავტორიც გულ-ხელის დაკრეფაში—პროტესტანტობას ხედავს; პასიურობაში—„რაღაც მრისხანების ტორტმანს“, რომელსაც სანიმუშოთ მოყავს ინგლისის ისეთი ტიპის მუშათა მეთაური, რომელიც ამბობს: „მუშებს ერთი დიდი იარაღი გვაქვს და ეს გაგვამარჯვებიებს: ხელებს გულზე დავიკრეფავთო.“ ვერ გაგვიგია, გამომცემლობისათვის რა საჭირო იყო, ასეთი მენშევიზმის ფილოსოფიით დაწერილი წინასიტყვაობის წამძღვარება, ანდა რ. ერისთავის შემოქმედების ასეთი ინტერპრეტაცია. წიგნში რ. ერისთავის შემოქმედების მასალები განსაზღვრული შერჩევითაა შედგენილი, რაც პლიუსია „შრომას“ ასეთი ხასიათის გამოცემები მეტად საჭირო და გამართლებულია. გამოცემა კარგია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

(ავტორები ანბანზე)

მხატვრული ლიტერატურა:

ნიკო ასლამაზაშვილი—ჩვენები მოდიან! (მოთხრობა) 5
სანდრო ეული—ოქტომბრის ღამე და გათენება (ლექსი) . . 18
კარლო კალაძე—მემანქანე (ლექსი) 19
კონსტანტინე ლორთქიფანიძე—ნილაბის ქვეშ (პოემა) 22
პეტრე სამსონიძე (ქუთათელაძე)—პასუხი (ლექსი) 31
კონსტანტინე ლორთქიფანიძე—ფოტოგრაფი (მოთხრობა) . . 32
კალე ფეოდოსიშვილი—საბჭოთა სოფელში (ლექსი) 46
ელიზბარ პოლუმორდვინოვი—ორი მზე (მოთხრობა) 47
ფრიდონ ნაროუშვილი—შავა ცხოია (პოემა) 74

თეორია და კრიტიკა:

ბენიტო ბუაჩიძე—პროლეტარული ლიტერატურის ხარისხობრივობისათვის 87
შალვა რადიანი—იოსებ დავითაშვილი 96
დავით რონდელი—პარალელური შენიშვნები 104
პლატონ ქიქოძე—ქუჩიშვილი—პროლეტარული პოეტი . . . 112
სიმონ ხუნდაძე—ნარკვევები ქართული აზროვნების ისტორიიდან 119

ბიბლიოგრაფია:

გ. მ.—ფილიპე მახარაძე—თხზულებათა მე V-თე ტომი . . . 131
ო. ე.—ლეო ქიაჩელი „ტარიელ გოლუა“ 133
თ. ი.—„საბჭოთა ხელოვნება“ 134
დ. რონდელი—ვოლტ უიტმანის ქართული თარგმანი 136
ბ. ბუაჩიძე—რაფიელ ერისთავი—რჩეული ლექსები. გამოცემა—„შრომა“ 137

გრძელდება ხელის მოწერა

ყოველთვიურ სალიტერატურო—სამხატვრო

ჟურნალ

„პროლეტარულ მწერლობა“-ზე

ორგანო სრულიად საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის.

რედაქტორი: სარედაქციო კოლეგია. სახელგამის გამოცემა.

ჟურნალი შეიცავს 150 გვერდს.

მიიღება ხელისმოწერა სახელგამის ყველა მაღაზიებში, როგორც ტფილისში, ისე პროვინციაში.

ტფილისში მიიღება ხელისმოწერა:

ცენტრალური მაღაზია—რუსთაველის პრ. № 22.
მაღაზია № 2—პლეხანოვის პრ. № 98.
მაღაზია № 3—ავლაბრის მოედანი № 3.
მაღაზია № 4—თავისუფლების მოედანი № 3.
მაღაზია № 5—გოგოლის და ვაგზლის ქუჩის კუთხე.

პროვინციაში სახელგამის მაღაზიებში:

ბათომსა, ქუთაისსა, ფოთსა, სოხუმსა, ახალ-სენაკსა, გორსა და ჭიათურაში.

გარდა ამისა ხელის მოწერა შეიძლება ამიერ-კავკასიის და საქართველოს ყველა საფოსტო განყოფილებებში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა